

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
И И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

არქეოლოგიური კვლევა-ძიება
საქართველოში 1969 წელს
АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ
В ГРУЗИИ В 1969 ГОДУ

თბილისი 1971 Тбилиси

სარედაქციო კოლეგია:

- ა. აფაქიძე
- ბ. გობეჯიშვილი
- ა. კალანდაძე
- გ. ლომთათიძე
- ვ. ართილაყვა (მდივანი)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

- А. Апакидзе
- Г. Гобеджишвили
- А. Каландадзе
- Г. Ломтатидзе
- В. Артилаква (секретарь)

**ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ზღვისპირეთში
(1969 წლის საველდ მუშაობის შედეგები)**

საქართველოს ზღვისპირეთში ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ირკვევა, რომ აქ თითქმის ყოველ დიდსა და პატარა მდინარეთა ხეობაშია შემონახული ქვის ხანის ადამიანთა ნაკვალევი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, ბუნებრივად გამიჯნულ ხეობებში ძეგლების კვლევისას, ქვედაპალეოლითური ნაშთები აღმოაჩინა როგორც ზღვისპირეთის ტერასებზე, აგრეთვე ხეობათა შიგნით, ზღვიდან რამდენიმე ათეული კმ-ით დაშორებულ პუნქტებში.


განვლილი ორი წლის მანძილზე ექსპედიციამ ქვედაპალეოლითური ნაშთები მოიპოვა როგორც ბორცვებზე, აგრეთვე კავკასიონის სამხრეთ განშტოებათა მაღალმთიან ზონაში (აგვაგარა, არადუ — 400—500 მ, ოსრე — 700 მ, ხოლო ოჭაკეში — 1800 მ სიმაღლეზე). აღსანიშნავია წარმოების ნაშთებთან ერთად ხელნაჯახების აღმოჩენა (იხ. სურ. მე-4 გვ.).

1969 წ. გრძელდებოდა მდ. ოქუმის ხეობაში (გალის რ.) 1964 წ. მიკვლეული მღვიმური პალეოლითური ნამოსახლარის თხრა, რომელიც მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 400 მ აიმაღლეზე (რაზმის უფროსი გ. ხუბუტია). მღვიმე კარსტულია. მის ატაკზე კარსტულ-ბრეჩქიული დანალექის მძლავრი ფენა იყო გადაკრული. ასეთი იშვიათი ბუნებრივი ფაქტორის გამო, მისი მომდევნო ქვედა კულტურულ ფენათა სტრატეგრაფიული თანმიმდევრობა კარკად იყო დაცული. მღვიმის ცენტრალურ ნაწილში დედაქანამდე გათარის შედეგად დადგინდა ფენათა რაოდენობა. 8 ფენა, რომელთა საერთო სიმაღლერე 1,5 მ არ აღემატება ლითოლოგიურად დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათი გენეზისი ცარცულ კირქვებში სოქმედ კარსტულ პროცესს უკავშირდება. ფენათა სტრატეგრაფია ქედგენილია მათი შეფერილობისა და ფენებში ჩართული დანალექი ნანების შემადგენლობის მიხედვით ფენათა წყების ზედა ნაწილში 1—3 ფენა), კარბონატულ და ბრეჩქულ დანალექებს შორის მღე-

ბარე ჰუმუსურ ფენაში კაქთან ერთად ჩართული აღმოჩნდა თიხის კურკლის ნატეხები (მე-2 ფენა).

პალეოლითური ნაშთები ქვედა ოთხ ფენაში (4, 5 და 6, 8) მოვიპოვეთ. მე-6—8 ფენებს შორის 0,5 მ სიმაღლის უნაშთებო ფენა იყო დალექილი. პალეოლითურ ფენებში კაქის როგორც შრომის იარაღები, აგრეთვე წარმოების ნაშთები მრავლადაა აღმოჩენილი. აქვეა მოპოვებული მეოთხეულის ძვლები, რომელთა მიხედვითაც დადგენილია შემდეგი სახეები: (*Capra caucasica*, *Cervus elaphus marai*, *Bison sp.* *Ursus spelaeus*, *Ursus arctos* и т. д.).

კაქის ინვენტარი ტექნიკურ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითის გვიანი პერიოდის ძეგ-



კაქის ხელნაწახები.

ლებთან (მღვიმევი, გვარჯილას კლდე და ა. შ.). ქვედა კულტურულ ფენაში (8) უფრო აღრეული, მუსტიურის პერიოდისათვის დამახასიათებელი იერის ნაშთებიც ჩანს. შესაძლებელია, ოქუმის ნამოსახლარი ზედა პალეოლითის მრავალფენიან ძეგლს წარმოადგენდეს.

ჯერჯერობით გათხრილია ძეგლის მხოლოდ $\frac{1}{4}$ ნაწილი, თუმცა პირველი შედეგი მაინც იძლევა საფუძველს აღვნიშნოთ მისი დიდი მნიშვნელობა ზღვისპირეთის პალეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური პერიოდიზაციის საკითხების კვლევი-

სათვის. ოქუმის მღვიმე იმ ეპოქის მასალებს ავლენს, რომლის შესახებაც ამ მხარეში დღემდე მეტად მწირი მასალა მოგვეპოვებოდა.

საანგარიშო წელს ექსპედიციის მეორე საკვლევ ობიექტს სერგულის კლდის (კიათურის რ.) მღვიმური ნაბინარი წარმოადგენდა. გარდა ამისა. ექსპედიციამ გათხრითი არქეოლოგიური ძიება ჩაატარა შემდეგ პუნქტებში: ა) სოფ. ღუმურიშში (ნეოლითური ნამოსახლარი), ბ) მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე (რაზმის უფროსი ვ. ბჟანია).

საანგარიშო წელს, ექსპედიციამ იმუშავა აგრეთვე მდ. შაქარისა

და გუმისტის ხეობებში, სადაც უპირატესად ქვის ხანის მომდევნო ეპოქების ნაშთებია აღმოჩენილი (რაზმის უფროსი მ. ბარამიძე).

ექსპედიციამ ხანმოკლე საველე სამუშაო ჩაატარა მდ. კოდორის ზემო წელში (ჩხალთა-აყარის ხეობები). აქაც, ჯერჯერობით, მოგვიანო პერიოდების (გვიანი ბრინჯაო, ადრეფეოდალური) მასალა ჩანს. საყურადღებო შედეგი გამოიღო აყარის, ომარიშარის და „ჯგურაგ შუყერიშის“-ის ბორცვებზე მუშაობამ (რაზმის უფროსი შ. ჩართოლანი).

საანგარიშო წელს მოპოვებული ქვის ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ზღვის დონიდან 1 700—1 800 მ სიმაღლეზე (მთა ოფუნჯე) აღმოჩენილი ზედაპალეოლითური ნაშთები. ამ აღმოჩენას, უფრო სწორად, ნაშთების აღმოჩენის ადგილს ერთგვარი სიახლე შეაქვს საქართველოს პალეოლანდშაფტის შესახებ არსებულ ცოდნაში და აზუსტებს ამ რეგიონში მიმდინარე უძველესი განსახლების პროცესის საკითხებს.

დ. თუშაბრამიშვილი

ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების შიერ 1969 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საანგარიშო პერიოდში გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ძუძუანას მღვიმეში, ხოლო დაზვერვები ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე.

ძუძუანას მღვიმეში სამუშაოები მიმდინარეობდა როგორც წინა, ისე შიდა ფართობზე. გაკეთდა ორი განივი და ერთი გრძივი ჭრილი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს აქ დადგენილ ფენათა ხასიათსა და მათ ურთიერთმონაცვლეობაზე. მღვიმეში ჯერჯერობით წარმოდგენილია ორი კულტურული ფენა: ადრეული ბრინჯაოს (?) და ზედაპალეოლითური. სტრეილური შრე მათ შორის არ შეემჩნევა. გაირკვა, რომ I კულტურული ფენა მღვიმის შესასვლელიდან 16—16 კვადრატებამდის გვხვდება, ხოლო უფრო ღრმად, მღვიმის შიგნით, აღარ ვრცელდება, კერძოდ აღნიშნული ფენა, აღარ გვხვდება 18—18 კვ. დასასრულის განივ ჭრილში სადაც ხუთი ფენაა ფიქსირებული (გათხრები კლდოვან იატაკამდის დაყვანილი არ არის). ეს ფენებია:

1) მუქი მოწითალო თიხნარი; საშუალოდ 0,10—0,12 მ სიმძლავრის;

2) წვრილი ღორღნარი ცალკეული ლოდებით, მოყავისფრო-მოწითალო თიხის ჩანართებით, საშუალოდ 0,15—0,20 მ სიმძლავრის;

3) კირქვოვანი ღორღნარი მუქი მოყავისფრო თიხნარით, მაგანეცის ბუდეების ჩანართებით, საშუალოდ 0,80—0,85 სიმძლავრის;

4) ნაქერალი შრე, მოყავისფრო-მოშავო, ღორღის მინარევით, საშუალოდ 0,20 მ სიმძლავრის;

5) მოყვითალო-მოყავისფრო მძიმე თიხნარი, კირქვის დიდი ნატეხების-ჩანართებით; საშუალოდ 0,20—0,25 მ სიმძლავრის.

ფენების საერთო სიმძლავრე 1,50—1,55 მ შეადგენს. ყველა ფენა ზედაპალეოლითური მასალების შემცველია, განსაკუთრებით ნაქერალი შრე, სადაც მრავლად აღმოჩნდა კაჟის ნაქეთობანი და ფაუნისტური მასალა. როგორც ვხედავთ, პირველ ფენას თავზე არ ადევს სტერილური ფენა, რაც კარსტული წყლების პერიოდული, მაგრამ ინტენსიური მოქმედებით შეიძლება აიხსნას. გადარეცხვის ნიშნები ჭრილებში წარმოდგენილი ფენების ხასიათშიც შეიმჩნევა.

I კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ყვირილის ხეობის კარსტული მღვიმეებისათვის დამახასიათებელი ადრეული ბრნჯოს ხანის მასალები, წარმოდგენილი არქაული იქრის ქურჭლის ფრაგმენტებით (მათ შორის მეჰეჰიან-ორნამენტიანი), გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღებით, ქვისაგან ნაქეთები სამაჭურებით, ძვლის სადგისებით, კაყის ისრისპირებით და კაყისავე სხვა ნაწარმით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ფენის კაყისა და ფაუნისტურ მასალაში შერეულია ქვედა ფენისეული (პალეოლითური) მასალაც, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ისინი სტერილური შრით ურთიერთ გამოყოფილი არ არიან.

II კულტურულ ფენაში მოპოვებულია კაყის ქვის მრავალრიცხოვანი ნაწარმი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძუძუნას მღვიმეში ზედაპალეოლითურ ადამიანთა ჯგუფს ხანგრძლივი დროის მანძილზე უცხოვრია და აქვე უწარმოებია ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება. 1969 წ. მოპოვებული ქვის ინვენტარი წარმოდგენილია საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი ნაქეთობებით, მაგრამ მათ შორის გვხვდება დამუშავების ტექნიკის მხრივ განსხვავებული ნივთები, რაც დღემდე უცნობი იყო საქართველოს პალეოლითისათვის. ეს ნივთებია: სპეციალურად მიკროლამელების მისაღებად განკუთვნილი ორი ნუკლეუსი, ნაქეთები სეგმენტისებური მოყვანილობის

ბრტყელ ანატკეცებზე; მოყავისფრო კაჟის ანატკეცზე ნაკეთები ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული საფხეკი და ორმხრივ დამუშავებული სატეხისებური იარაღის ფრაგმენტი. საფხეკის ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავების ხერხები ანალოგიურია გვიანი მუსტიეური ხანის ძეგლზე — ჭრუჭულაში აღმოჩენილი ზოგი წვეტანის დამუშავების ტექნიკისა, რაც იარაღის გასწორების, შემსუბუქებისა და ტარში ჩასმის მიზნითაა გამოყენებული. ამ მხრივ ძუძუანას მღვიმე ყველაზე ახლოს დგას ჭრუჭულის მასალებთან და ნაწილობრივ ორმხრივი დამუშავების ტექნიკის ტრადიციების აღმდგენლად თუ გამგრძელებლად გვევლინება.

ძუძუანას მღვიმეში მოპოვებულ ფაუნისტურ მასალებს სწავლობს პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი ო. ბენდუქიძე. წინასწარული მონაცემებით აქ დადგანილია ცხოველთა შემდეგი სახეები:

1. Ursus sp(?)	მურა დათვი(?)
2. Ursus spelaeus	მღვიმური დათვი
3. Bison priscus	პირველყოფილი დომბა
4. Cervus elaphus	კეთილშობილი ირემი
5. Capra cf caucasica	დასავლეთ კავკასიური ჭიხვი
6. Equus caballus	გარეული ცხენი
7. Equus hidruntinus	პლეისტოცენური ვირო (?)

ძუძუანას მღვიმის II ფენის მასალები წინასწარულად შეიძლება დათარიღდეს საქართველოს ზედა პალეოლითის ადრეული და განვითარებული საფეხურის მიჯნით.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ ერთდღიანი სამუშაო ჩაატარა მდ. საძალეხევის აუზში, სოფ. სვერის ტერიტორიაზე მდებარე კოწიას კლდის მღვიმეში (ძეგლს მივაკვლიეთ ჭიათურელი არქეოლოგიის მოყვარულის ს. ხითარიშვილის დახმარებით), სადაც განადგურებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა გახეხილ-გაპრიალებული ქვის სატეხი, ნაეისებური¹ მოყვანილობის ხელსაფქვავის ნატეხი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აღნიშნული მასალა მსგავსია სამერცხლე კლდის მღვიმის ზედა ფენის ინვენტარისა და წინასწარულად ადრე ბრინჯაოს ხანას მივაკუთნეთ.

**ეძანის მეზოლითური ნაბინევის (თრიალეთი,
საქართველოს სსრ) შესწავლასთან დაკავშირებით
დ. სონევილ-ბორდისა და ე. პეროს სტატისტიკური
მეთოდის გამოყენების შედეგები**

1. დ. სონევილ-ბორდისა და ე. პეროს მიერ შემუშავებული სტატისტიკური მეთოდის გამოყენება ისევე, როგორც მათ მიერ შემოთავაზებული გრაფიკები, ხელს უწყობენ ქვის ხანის ამა თუ იმ ძეგლის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თვისებების გამოვლენას.

2. ამ მეთოდის გამოყენებისათვის სავალდებულო პირობაა საკმარისად დასაბუთებული ტიპოლოგიის არსებობა. ამიტომ სონევილ-ბორდისა და პეროს მეთოდის გამოყენების ცდას ეძანის მღვიმური ნაბინევის შესწავლისას წინ უსწრებდა საკმარის შრომატევადი სამუშაო ტიპოლოგიური სიის შესადგენად, სადაც გათვალისწინებულ იქნა ხსენებულ ავტორთა ტიპოლოგიის ზოგიერთი ნაკლი და უზუსტობანი. ჩვენი ტიპოლოგიური სია შემოთავაზებულია როგორც კავკასიის, ისე წინა აზიისა და ნაწილობრივ მახლობელი აღმოსავლეთისათვის.

3. ეძანის შესახებ მიღებული სტატისტიკური მონაცემები, გამოსახულნი შესაბამის ჰისტოგრამებსა და დიაგრამებზე, თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ამ ნაბინარზე მოპოვებულ იარაღთა წამყვან ნაწილს შეადგენენ ასიმეტრიული სამკუთხა მიკროჩასართები, რომელთაც მოსდევენ ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები. ლამელის ბოლოზე, თავირბრეტუშიანი ლამელები და, ბოლოს, გვერდდაბლაგვილი ლამელები. შესამჩნევად უფრო დაბალია ჰისტოგრამებზე პიკები, რომლებიც შეესაბამებიან სხვადასხვა სიბრტყიდან რეტუშირებულ ლამელებს, გვერდამოდარულ ლამელებს, ხოწებს და ა. შ. უდიდოდ დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს ნისკარტისებურ საფხეკებს და სხვ.

4. ეძანის ნაბინევის უმნიშვნელოვანესი თავისებურებები განსაკუთრებით რელიეფურად ჩანან განმაზოგადებელ დიაგრამაზე, რომელიც გვიჩვენებს იარაღთა ახალი, პროგრესული ჯგუფების უპირატესობას არქაულ ტიპებთან შედარებით. მონაცემების ასეთ თანაფარდობას ადასტურებს ასევე მთელი სერია ინდექსების გამოანგარიშებისა, რომელიც გვიჩვენებს ამა თუ იმ ტიპის ან ქვეტიპის იარაღის შეფარდებით ოდენობას როგორც მთლიანად კომპლექსში, ისე მოცემული ჯგუფის შიგნითაც.

5. ეძანის ქვის ინვენტარის შესასწავლად სტატისტიკური მეთოდ-

დის გამოყენებამ არამართო დაადასტურა ადრე არსებული აზრი მასში განვითარებული ფორმების გაბატონებული მდგომარეობის შესახებ, არამედ გამოავლინა ამ ძეგლის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, არც თუ ისე ჩვეულებრივი წამყვანი მდგომარეობა იარაღთა ისეთი ჯგუფებისა, როგორცაა ასიმეტრიული სამკუთხა მიკროლითური ჩასართები, თავირიბრეტუშიანი ლამელები და სხვ. გამოყენებული სტატისტიკური მეთოდის. მონაცემები მთლიანად ადასტურებენ ეძანის განვითარებული მეზოლითით დათარიღების სისწორეს.

ბ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებეჩრიძე

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები

საანგარიშო წელს საექსპედიციო მუშაობა სამ ძეგლზე გრძელდებოდა:


1. წოფის ნამოსახლარი (მარნეულის რ-ნი). ამ ბორცვის ცენტრალურ და მისგან ჩრდილოეთით ყველაზე უკეთ დაცულ ფართობზე გაჭრილი იქნა ახალი დამატებითი სადაზვერვო თხრილები; საძიებო და შემდეგ იქვე გაფართოებულ თხრილებში გრუნტამდე არსებულ ჰუმუსირებულ (სისქე 0,25 მ) და ლორღნარვე (სისქე 0,12—0,15 მ) ფენებში ისევ ჩნდებოდა ერთმანეთში არეული სხვადასხვა დროის (საფიქრებელია, სამი პერიოდის) არქეოლოგიური მასალა. სახნავედ დიდი ხნის მანძილზე გამოყენებულ ზედაპირზე დაზიანებული აღმოჩნდა კიდევ ორი „ორმო“, რომელთა შეესებაში მეტწილად გვხვდება უგვიანესი კერამიკული ნატეხები.

წოფის ნასახლარზე ყველაზე არქაული იერისაა ქვის მასალა. იგი ხასიათდება მიკროლითებით — გეომეტრიული ფორმის იარაღებით; მათი „დამუშავების ტექნიკით და კომპლექსის შემადგენლობით იგი ახლოს დგას „ნეოლითურ“ ძეგლებთან. წოფის ქვის მასალების შედარება ქვემო ქართლის ენეოლითური ხანის (შულავრის გორა, იმირის გორა, არუხლო I) მასალებთან გვიჩვენებს, რომ აქ აღინიშნება არსებითი განსხვავება, რაც მათ შორის არსებულ ქრონოლოგიურ ხანდაზმულობას უნდა მიგვითითებდეს. ირკვევა, რომ წოფის ნასახლარის არქაული ქვის იარაღი აღმოსავლეთ საქართველოს ქვის ინდუსტრიებს შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს.

თიხის ჭურჭლის ნაირსახეობაში ძირითადად ორი ჯგუფი გამოირჩევა; უფრო ძველია ქილისებრი ფორმის ჰურა-მოშავო თიხის ნაკეთობანი, რომელთა კეცში დიდი რაოდენობითაა საგანვებოდ დანა-

ყილი და თიხაში შერეული კვარცის მარცვლები. ზოგ კურჭელს აქვს შემკულობა — კოპისებური წანაზარდები ან პირთან მდებარე ნახვრეტები.

გვიანდელი იერის მქონეა დახვეწილი და მრავალფეროვანი კერამიკა; კურჭელთა პირგადაშლილობა, მუცლის სფერული მოყვანილობა და მოვარდისფრო-მოყავისფრო ზედაპირის მქონე კეცში ქვიშისა და ბზის შერევის სიხშირე მკვეთრად განასხვავებს მათ ზემოხსენებული უხეში კერამიკისაგან. საგანგებო ყურადღებას იპყრობს ბზენარევი თიხისაგან ნაძერწი კურჭელი, რომელსაც ძაბრისებრი დაბალი ყელი და სფერული მუცელი აქვს; მისი წახნაგოვანი პირის დიამეტრი 30 ს მუდრის; წოფის ნასახლარზე ეს მეორე აღმოჩენაა, როდესაც აგურისფრად გამომწვარი კურჭლის ყელ-პირი გამოყვანილია ჩარხზე, ხოლო მუცელი ხელითაა ნაძერწი.



განათხარის ჭრილი.

1965 წელს, აღმოჩენილი ანალოგიური ნაკეთობა, რომელიც „იმპორტულ“ ნაწარმად მივიჩნიეთ, ნაპოვნი იყო ადრეული ბზინჯაოს „მტკვარ-არაქის“ კულტურის საწყის ეტაპისათვის დამახასიათებელ კერამიკულ ფორმებთან ერთად.

ამ ნასახლარის ძვლოვანი მასალების შესწავლამ წარმოგვიდგინა მოშინაურებული ძაღლი, ძროხა, ცხვარი, თხა, ფრინველები (ბატი), გარეული ცხოველები — ველური კატა, თაყვი, ტახი, დომბა, ჭიხვი, მუფლონი¹.

წოფის ნამოსახლარი მრავალფენიანი ჩანს; მიუხედავად მსიციხეოვანი დატულობისა, იგი ქვემო ქართლის ერთ-ერთ წამყვან ძეგლად ჩაითვლება. მისი მასალების დეტალური შესწავლის შემდეგ უფრო უკეთ გაშუქდება უძველეს ბინადართა სამიწათმოქმედო კულტურის საკითხები.

¹ ჩვენი ექსპედიციის მონაპოვარი — ოსტეოლოგიური მასალა, განსაზღვრულ იქნა სპ. სსრ მეცნ. აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტში. წოფის მასალები — ბიოლოგიური შეცნიერებათა დოქტორის ა. ვეკუასა და ასპირანტ ო. ბენდუქიძის მიერ, ხოლო არუხლო III და I კი ო. ბენდუქიძემ შესწავლა.

·II. არუხლო III (ბოლნისის რ-ნი). იგი მდებარეობს სოფ. პასან-ხოჯალოსთან, გზიდან სამხრეთით, არუხლო II და IV ბორცვებს შორის. ეს ნამოსახლარიც მაშვეერასა და ხრამის შესართავთან არსებულ სხვა ხელოვნურად წარმოქმნილი ბორცვების მსგავსად, არაერთგზის გადახნული ჩანს; მისი დიამეტრი 80 მ უდრის, სიმაღლე კი 3,5 მ.

ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაჭრილ იქნა შურფი (4×4 მ), ხოლო მისი სამხრეთ კედლის გაყოლებაზე აღმოსავლეთ ფერდობზე კი ერთი მეტრის სიგანის თხრილი (სიგრძე 20 მ). ამ თხრილის მთელ სიგრძეზე ალაგ-ალაგ ჩნდებოდა ქვის წყობა და ზღურბლის ქვები; თხრილი დედაქანამდე არ დასულა.

შურფში თხელი ფენების მოხსნის შედეგად გაირკვა, რომ მასალების ინტენსიურობით გამოირჩევა გრუნტიდან 1,55 მ სიმაღლეზე მდებარე უძველესი კულტურული ფენა (სისქე — 15 სმ), რომლის ზემოთ აღმოჩენილია თიხატყეპნილი იატაკი და მისი თანადროული 1,50 მ სიმაღლის მსხლისებრი მოყვანილობის ორმო.


იატაკის ქვეშ ორმოს პირზე მოქცეულია ცუდათ დაცული ორმოსამარბი, რომელშიც მიცვალებულს თავი ჩრდილოეთისკენ ჰქონდა მიქცეული. შურფის დასავლეთ კედელში, დედაქანიდან 1,35 მ სიმაღლეზე ჰორიზონტალურად გამავალი ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა და ალიზის კედლის მცირე ნაშთია შემორჩენილი; მის ზემოთ კი კვლავ აღინიშნება მასალების ინტენსიური აღმოჩენა (კერამიკა, თხსედიანი და ძვლები). აქვე ალიზის აგურების ნატენები ჩნდება. ეს ქვემოდან მეორე კულტურული შრე უფრო მძლავრია და თითქმის ბორცვის ზედაპირამდე აღწევს (სისქე — 1,8 მ).

ეს კულტურული ფენა საკმაოდ განსხვავებულია ადრევე გათხრილ არუხლო I ნამოსახლარის ზედა ფენისაგან თავისი შემადგენლობით. იგი კერამიკის მიხედვით უფრო მეტად უახლოვდება წოფის ნამოსახლარის მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელს; აქვე აღმოჩენილი ობსიდიანის ფირფიტები კი არუხლოს I ნამოსახლარის იარაღთა ტიპებს ემსგავსება, თუმცა ამ ნამოსახლარზე მათი რაოდენობა უფრო მოჭარბებული ჩანს. თანატოლი რაოდენობისაა მოშინაურებულ (ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ძაღლი) ცხოველთა და ფრინველის (ქათამი) ძვლები და გარეულ (კეთილშობილი ირემი, ტახი, ღომბა, ნიამორი) ცხოველთა ძვლები. აქ არაა ცხენის ძვლები, რაც არუხლოს I ნამოსახლარზე იქნა აღმოჩენილი.

მასალების პირველადი შესწავლით ირკვევა, რომ არუხლო III არ შეიცავს ისეთი ნივთიერი კულტურის კომპლექსებს, რაც არუხლო I ნამოსახლარის ზედა კულტურულ ფენაში გვხვდებოდა.

კვებობების რამდენიმე ჰორიზონტი, წარმოშობილი სოფლის ცხოვრების მანძილზე.

— 2,7 — 3,5 მ დონეებს. შორის DD კვადრატში მოხერხდა შედარებით უკეთ შენახული შენობების ნაშთების მთელი კომპლექსის გათხრა; სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით ის განეკუთვნება ზემოდან მეხუთე სამშენებლო ჰორიზონტს. V ჰორიზონტის დაგეგმარებაში გარკვეული წესრიგი და კანონზომიერება შეინიშნება. წრიული გეგმის, გუმბათური, ალიზის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ურთიერთდაკავშირებულია ალიზისავე მორკალული კედლებით, რომლებიც სამეურნეო ეზოებს ფარგლავენ და მათთან ერთად ქმნიან ერთგვარად სტანდარტულ საცხოვრე-



ენეოლითური სადგომი

ბელ უჯრედებს; ეს უჯრედები შედგენილია საცხოვრებელი შენობების, სამეურნეო ნაგებობისა და ეზოსაგან და მჭიდროდაა მიჯრილი ერთმანეთთან. საყურადღებოა, რომ გეგმაზე არ არის არცერთი სწორი კედელი; შემლობავი კედლები, მათში ჩართული წრიული შენობებიანად, რკალისებურად არტყია ეზოებს სამხრეთ-დასავლეთიდან, მოპირდაპირე მხრიდან კი ეზოები შეკრულია მეზობელი საცხოვრებელი უჯრედით, რომლის მორკალული კედლები ნაწილობრივ იჭრება კიდევ მათ ფარგლებში. ამრიგად, გათხრილი ფართობის განაშენიანება ერთიანად მჭიდროა, თავისუფალ არეებს მხოლოდ ეზოები წარმოადგენს.

ფარგმენტულობის მიუხედავად, შეიძლება გაირჩეს დაახლოებით 6 საცხოვრებელი უჯრედი, შეკრული ერთ კომპლექსად; ასე-

თი უჯრედების მთავარ ნიშნად მიჩნეული უნდა იქნეს ეზოები, სადაც ყოველდღიური ცხოვრების კვალი ბევრად უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე შენობებში.

ყველაზე სრულად და ნათლად საცხოვრებელი უჯრედი ჩანს DD კვადრატის სამხრეთ ნაწილში; ეს არის საცხოვრებელი სახლი (№ 29), ფართობით 5 კვმ-მდე, პატარა წრიული სამეურნეო ნაგებობა (№ 27) და მათი შემაერთებელი წრიული კედლით შემოფარგლული ეზო, სადაც გამართული იყო თიხის კერა მუდმივი ცეცხლისთვისა და დიდი სამეურნეო კერა — მცირედ ჩაღრმავებული მოგრილო ორმო. ანალოგიური წყობა და სახე აქვს დანარჩენ უჯრედებსაც.

შენობათა ზემოხსენებული ჯგუფის სამხრ.-დასავლეთით მდებარეობს 40-ოდე კვმ ფართობი, დაფარული ნაცრის სქელი ფეხით. სადაც ამ ჰორიზონტის ნაგებობები თითქოს არ ჩანს; შესაძლოა, რომ ეს იყო ერთი იმ ცარიელ მოედანთაგანი, რომლებიც დატოვებული უნდა ყოფილიყო ნაგებობათა ჯგუფებს შორის.

დაგეგმარების აქ დადგენილი წესის შედარება შულავერის გორის შესწავლილ ფართობთან გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა განაშენიანების წესი ამ ორ ნასოფლარზე ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებოდეს; შულავერის გორაზე ის თავისუფალია, მოუწესრიგებელი, ცალკეული შენობებისაგან შედგენილი. იმირის გორაზე — მოწესრიგებული და შენობათა ჯგუფებისაგან შემდგარი. თუ ეს შთაბეჭდილება მცდარი არ არის, რასაც შემოწმება ესაჭიროება პირველ რიგში შულავერის გორაზე, მაშინ ისიც შეიძლება გვევარაუდნა, რომ ამაში ასახულია საგვარეულო საზოგადოების განვითარების ორი საფეხური, როგორც ეს დადგენილია შუა და წინა აზიის ადრესამიწათმომქმედო კულტურებში.

საინტერესო შედეგი გამოიღო საძიებო თხრილმა, რომელიც გაიჭრა გორის დასავლეთით, მისი ცენტრიდან 40 მეტრზე, ველზე. გამოიჩვენა, რომ ამ მხარეს დასახლება გორის გარეთაც გრძელდება; გარდა ამისა, გრუნტი აქ-მკვეთრად ეშვება სიღრმეში ისევე, როგორც გორის აღმოსავლეთ მხარეს, მდინარის ნაპირთან. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ან გორას შემოვლებული ჰქონდა ისეთივე თხრილი, როგორც არუხლოს გორას, ან სოფლის ადგილას მის გაშენებამდე ხელოვნურად ყოფილა დაზვინული მიწა და შექმნილა დაახლოებით 2 მეტრის სისისა და უნდა ყოფილიყო ამოღებული გრუნტი. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღები ხდება ექვი, გამოთქმული იმის შესახებ (დ. თუშაბრამიშვილი), რომ

შულავერის ღელე ადრე შესაძლოა სხვა კალაპოტში მიედინებოდა, მხოლოდ შემდეგ შეიცვალა მიმართულება და ნაწილობრივ ჩამო-
კრა როგორც იმირის, ისე ე. წ. გადაჭრილი გორა; ამით შეიძლე-
ბოდა ახსნილიყო მათი თანადროული კულტურული ნაშთების
არსებობა მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე. მეხუთე ჰორიზონტში
მოპოვებული ნივთიერი მასალა — ქვის, ობსიდიანის, ძვლისა და
რქის ნაკეთობა, აგრეთვე კერამიკა, წინა წლებთან შედარებით
ახალს ბევრს არაფერს იძლევა. აღსანიშნავია მხოლოდ ხელსაფ-
ქვავენების სიმრავლე და განვითარებული სახე, ბიტუმის კვლიანი
ქვის ნამგლის ჩასართები და ერთი თითქმის მთელი, ვარდისფრად
გამომწვარი ბრტყელძირიანი, სფერული და პირგამოყვანილი თი-
ხის ჭურჭელი, მთელი თავისი იერით ეს მასალა კიდევ ერთხელ მოწ-
მობს. რომ იმირის გორა, შულავერის გორასთან შედარებით, ახალ-
გაზრდა სოფელია.

დაზვერვის დროს ექსპედიციამ დააფიქსირა რამდენიმე არ-
ქეოლოგიური ძეგლი, რომელთა შორის გამოირჩევა დიდი ნამოსახ-
ლარი გორა, სად. შულავერის დასავლეთით 25-ოდე კილომეტრზე.
სოფ. თაქალოს მახლობლად.

ბ. მირცხულავა

თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამშვილდის რაზმის 1960 წ. საველე მუშაობის მოკლე ანგარიში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სა-
ხელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუ-
ტის თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი
გ. ვობეჯიშვილი) სამშვილდის რაზმი 1969 წელს საველე სამუ-
შაოებს აგრძელებდა სამშვილდის ადრებრინჯაოს ხანის სამა-
როვანსა და მის მიმდგომ ფართობზე. სამაროვანზე გაჭრილი იქნა
რამდენიმე საძიებო თხრილი სამაროვნის გავრცელების საზღვრე-
ბისა და მისი დაგეგმარების შესწავლისათვის. გაითხარა ადრე
ბრინჯაოს ხანის 3 სამარხი, რომლებიც ამავე სამაროვანზე 1968
წელს შესწავლილი სამარხების მსგავსია, როგორც აღნაგობისა და
დაკრძალვის წესის, ისე ინვენტარის მიხედვით.

სამაროვნის ჩრდილოეთით, 0,8 კმ დაშორებით, სამშვილდის
მთის სამხრეთ კალთის ტერასებზე პარალელურად მიმდინარეობდა

ტერასზე გამოვლენილი ძეგლები ქრონოლოგიურად მჭიდროდ უკავშირდება ადრე ბრინჯაოს ხანის სამშვილდის სამაროვანს. სამშვილდის მთის ტერასზე, როგორც ჩანს, მდებარეობდა სამოსახლო, რომლის შემდგომმა გათხრამ შუქი უნდა მოჰფინოს იქ მოსახლე საზოგადოების კულტურის დონის საკითხს.

ბ. ბრიგოლია

დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის ერთ-ერთ ამოცანას არქეოლოგიური ატლასის შედგენა წარმოადგენს, საანგარიშო წელს მთლიანად მოიხილა ხობის რაიონი, სადაც 100-მდე სხვადასხვა ხასიათისა და ხნოვანების ძეგლი გამოავლინა. მიკვლეული ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ემთხვევა მუსტიეს, ხოლო ზედა — გვიანფეოდალურ ხანას.

უძველესი ანუ მუსტიეური ძეგლები მიკვლეული იქნა ოთხ პუნქტში; სოფლებში: ნოჯინევში, ჭიხუში, ხეთასა და ხამისკურში.

წინასწარულად ახალი ქვის ხანით უნდა დათარიღდეს სოფ. ჭიხუს № 2 ნაბინევი, რომლის ზედაპირულ მასალებში შედის: ოვალურსამუშაოპირიანი და სწორპირიანი საფხეკები, შუალა და კედურა საჭრისები, ზურგიანი დანები, გვერდამოღარული საფხეკები და სხვ.

საკვლევი რაიონის ბორცვოვან ზოლში ექსპედიციამ მიაკვლია 5 მღვიმეს (სოფ. მუნჩიაში, სოფ. ხეთაში 1-4), რომელთა შორის, ისტორიული თვალსაზრისით, რამდენადმე პერსპექტიული ჩანს ხეთის № 2 მღვიმე.

ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მღვიმის წინა მოედნის დაფერდებაზე ნაპოვნი მარტივი, ირიბი საჭრისი კაეისა, რომელიც მღვიმური ნაბინარის ქვედა ფენებიდან უნდა იყოს ზედაპირზე მოხვედრილი. გამოქვაბული მოგვიანო ხანაში სახიზარად უქცევიათ, რასაც უნდა მიეწეროს ქვის ხანის ფენების შენიღბვა ფეოდალური ხანის დანალექებით.

რამდენადაც ექსპედიციის მუშაობა უხდებოდა კოლხეთის დაბლობ რაიონებში, მიკვლეული ძეგლების დიდი ზაწილი უმთავრესად

ადრეანტიკურ-ელინისტური ხანისაა, თუმცა გამონაკლისის სახით აქაც შეგვხვდა წინარეანტიკური ხანის თითო-ორი ნამოსახლარი (სოფ. პირველი გურიფულის დიხაგუძუბა) თუ სამაროვანი (სოფ. სუჭუნათის საძვლე).

ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ძეგლები, რომლებიც უმთავრესად ხელოვნური გორანამოსახლარების სახით არიან წარმოდგენილი, მიკვლეული იქნა 66 პუნქტში.

გორანამოსახლართა ტოპოგრაფიასა და გავრცელებაში გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ანტიკური ხანის კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობის შინაგანი ცხოვრების ზოგიერთ საკითხზე.

აბაშის, ცხაკაიასა და ჩოხის რაიონის ძველი სამოსახლოები, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არიან წარმოდგენილი და გარკვეული შუალებებით ერთი რომელიმე პატარა მდინარის გასწვრივ არიან განლაგებულნი.

ამ რიგის ძეგლების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ სამოსახლო ბორცვების ჯგუფს გარს აკრავს ერთ ჰექტარამდე ფართობის მქონე, ოდნავ შემადლებული, თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც არხებით არიან დაკავშირებული სამოსახლოებთან. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი საარხო სისტემა (დღვაბა, წინაგოლა ბულიცხუ, ოტორონჯე, ოყუნე, ქვემო ქვალონი, ნამარნუ, საგვიჩო, ნანდეუ და სხვ).

როგორც წესი, ბორცვების ჯგუფიდან ერთ-ერთი ბორცვი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით, მზლუდავი თხრილის მასშტაბებითა თუ რაოდენობით (ზოგჯერ ორი არხი ზლუდავს) და სამოსახლოში ცენტრალური ადგილი უკავია. საფიქრებელია, რომ ხსენებულ ბორცვებს კონკრეტულ დასახლებაში, სამოსახლოს გარდა, სიმაგრის დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ. გამორიცხული არ არის სწორედ დასახლების ანალოგიური ტიპი იგულისხმებოდეს ურარტული წყაროების იმ ნაწილში, სადაც საუბარია კულხას, დიაუხის და იგანიეხის დიდ გაერთიანებათა „ციხე-სიმაგრეებზე“ და მათ გარშემო მიმოფანტულ „ქალაქებზე“.

გორანამოსახლართა მესამე თავისებურებაა გარკვეული შუალებებით გავრცელება ერთი რომელიმე პატარა მდინარის ან მასთან დაკავშირებულ არხების გასწვრივ.

საანგარიშო და წინა წლებში დაგროვილი ფაქტიური მასალების მიხედვით, აბაშის, ცხაკაიასა და ჩოხის რაიონებში სამი ძირი-

თადი სამოსახლო მდინარეული არტერია გამოვლინდა: ფიჩორი, ყორათის წყალი და მუენჩია. ადგილობრივი მოსახლეობის მიღრეკილება შედარებით მცირე და მდორე მდინარეებისაკენ უნდა აიხსნას ამ მდინარეთა ძირითადი პრაქტიკული დანიშნულებით. როგორც ირკვევა, ყველა მათგანი ახლოებელ და შორეულ მეზობლებთან დამაკავშირებელ საგზაო საშუალებას წარმოადგენდა.

სოციალური თვალსაზრისით, ხსენებული ძეგლები უნდა წარმოადგენდნენ ე. წ. სასოფლო თემის სამოსახლოებს, რომლებიც წარმოიშვნენ გარკვეული ტომის გვაროვნულ დასახლებათა განვითარების საფუძველზე.

მომდევნო ანუ რომაული ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ჭიხუს №3 ბორცვთან გამოვლენილი ორმოსამარხი და ქ. ფოთის აეროდრომის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლი. ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვისა თუ ზედაპირული მასალების მიხედვით ეს უკანასკნელი იგივე პუნქტი უნდა იყოს, რომელიც მოიხილა და აღწერა დიუბუა დე მონპერემ.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ ფეოდალური ხანის 26 ძეგლი მოიხილა, რომლებიც უმთავრესად ნაეკლესიარ, ნაციხვარ, ნასახლარების სახით არიან წარმოდგენილნი.

გამოვლენილი ძეგლები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის დაბლობში ფეოდალური ხანის მოსახლეობის გავრცელების ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებზე.


დ. შორიძე, ე. ბოგაძე

ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968

წლის საველე მუშაობის შედეგები

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს აგრძელებდა დაწყებულ სამუშაოებს ნასოფლარის ორ უბანზე (ცხაკაიას რ-ნი, სოფ. ნოსირი). ერთ-ერთ მთავარ ობიექტზე — ნოსირის ბორცვზე გათხრითი სამუშაოები გაიშალა მის ცენტრალურ ნაწილში 140 კვ. მეტრ ფართობზე (აქედან 1968 წელს მუშაობა წარმოებდა 72 კვ. მეტრ ფართობზე, რომლის ბოლომდე გათხრა მაშინ მხოლოდ მცირე ნაწილში მოხერხდა). აღნიშნულ ფართობზე თითქმის მთლიანად გრუნტამდე დავედით.

1969 წლის არქეოლოგიური სამუშაოების მთავარი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ბორცვზე მკაფიოდ გამოიყო სამი ძი-



კერამიკული მასალა ნოსორის ბორცვიდან.
 1—24 I ფენა; 25—40 II ფენა; 41—65 III ფენა.

რითადი კულტურული ფენა და გამოვლინდა ცალკეული სამშენებლო შრეები (თიხატკეპნილი იატაკები და სხვ.).

I, ძირა ფენა, რომლის სიმძლავრე 0,8—0,9 მ აღწევდა, განათხარის მნიშვნელოვან ნაწილში, ბორცვის თავიდან 2 მ სიღრმეზე გამოყოფილი იყო მის ზემოთ მდებარე (II) ფენისაგან თიხატკეპნილი იატაკით. ამ ფენაში, 2,7—2,9 მ სიღრმეზე, გამოვლენილ იქნა კარგად შემონახული ხის ძელები, რომლებიც ნაგებობის ნაშთი ჩანს. ძელების წყობის მიხედვით ნაგებობა ოთხკუთხა უნდა ყოფილიყო, მისი ფართობი დაახლოებით 38—40 კვ მ უდრის; ძელებს შორის სივრცე თიხით ყოფილა ამოვსებული, რომლის ზედაპირი მოტკეპნილი ჩანდა.

ძირა ფენიდან მომდინარე ნივთიერი მასალა ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით; არის აგრეთვე ძვლის იარაღები (სადგისები, საპრიალებლები) და ქვის ნივთები (სხვადასხვა ზომის ხელსაფქვავეები და ბრტყელი სასარესები).

ამ ფენის კერამიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მასში ტლანქი და მის გვერდით შესანიშნავად დამუშავებული (მკაფიოდ დაყალიბებული, გაპრიალებული და კარგად ორნამენტირებული), ხელით ნაძერწი ჭურჭლების თანაარსებობა.

იშვიათი გამონკლისის გარდა ჭურჭლები მცირე ან საშუალო ზომისაა; კეცი შავად ან ყავისფრად (იშვითად ნაცრისფრად ან მოწითალოდ) გამომწვარი; რაოდენობის მხრივ ჭარბობს ქოთნები და კოჭბები. საკმაო ოდენობითაა ქილები და ტოლჩები, მცირე ოდენობით — ბადიისებური ჭურჭლები.

ქოთნები და კოჭბები ძირითადად ორ ვარიანტადაა წარმოდგენილი. პირველში ერთიანდება მეტ-ნაკლებდ პირმოყრილი, ოდნავ გამობერილტანიანი და ბრტყელძირიანი ჭურჭლები. ზოგიერთ ამ ჭურჭელზე მიძერწილია დაბალი, ზონარგასაყრელ ხვრელიანი სამკუთხა (შუაზე შევიწროებული და ბოლოებგაფართოებული) კონტა ყურები. მათი კალთები სხვადასხვა სახის ორნამენტითაა გაფორმებული.

ორნამენტი უმთავრესად ჭურჭლის ზედა ნაწილზეა დატანილი. ესაა ძუძუსებრი ანდა დაბალკონუსური შვერილები (თუ წაწვეტილი კოპები), ღარული წრეები ცენტრში ფოსოთი, ჩალარულამოზნექილი წრიული, თაღისებრი და სწორხაზოვანი სხვადასხვა სახეები, ამავე ტექნიკით შესრულებული შევრონები და ფესტონები, სხვადასხვა არეების შემავსებელი წვრილი ღარები და დაშტამპული საეარცხლისებრი პუნქტირი, მარცვლისებრი და წიწვოვანი დაჭდეული ელემენტები. ხშირად გვხვდება მოზრდილი

ფოსფებისა და კონცენტრული წრეებისაგან კომბინირებული სახეები და ე. წ. პარკეტული ორნამენტი.

პირგადაშლილი ქოთნები და კოჭბები (მეორე ვარიანტი) უფრო ტლანქადაა ნაკეთები. მათ შორის გვხვდება დიდი ზომის ქოთნებიც. ამ უკანასკნელთა შორის თითქოს არ ჩანს ყურიანი ნიშნები, პირგადაშლილ ჭურჭლებზე უმთავრესად მარცვლისებრი და წიწვისებრი ორნამენტია დატანილი, თუმცა საკმაოდ ხშირია ჩაღარულ-ამოზნექილი ორნამენტის მქონე ცალები. გვხვდება დაბალკონუსური, ან კვეთილკონუსური შვერილებით შემკული ქოთან-კოჭბებიც.

ტოლჩები მეტწილად დაბალტანიანი და პირმოყრილია, უმეტესად გამობერილი ტანით და სხვადასხვა სახის ყურებით ხასიათდება. თისა შავად, ყავისფრად, ნაცრისფრად და მოწითალოდაა გამომწვარი. ორნამენტი დატანილია ჭურჭლის განიერ ნაწილზედაც; გვხვდება ღარ-ქედების სარტყლები, ფესტონები და კონცენტრული წრეები; აგრეთვე წმინდა წერტილოვანი სახეები.

ქილების უმრავლესობას ტანი თითქმის ცილინდრული აქვს. არის ოდნავ გადმოშლილ პირიანები; ყველა ეს ჭურჭელი მინარევიანი თიხისაგანაა ნაძერწი; თიხა უმთავრესად შავად, ზოგჯერ ნაცრისფრადაა გამომწვარი. ქილების დიდი უმრავლესობა პირის მახლობლად კონუსურ ან ძუძუსებრ შვერილებს ატარებს, ზოგიერთზე ოვალური მოყვანილობის ჰორიზონტალური ან შვეული დაბალი მინაძერწია. ამ ჭურჭლებს ემჩნევა ცეცხლზე ხმარების კვალი.

II, შუა კულტურული ფენის საშუალო სიმძლავრე 0,7—0,9 მ აღწევდა; იგი ზედა ფენისაგან ზოგან გამოყოფილი იყო აგრეთვე თიხატყეპნილი იატაკით. ეს ფენა კარგად შეინიშნება კვადრატებში GD — 08, 98, 88, 78, 89, 79, 80 და 70. ამ ფართობზე იგი დაახლოებით 1,3—1,4 მ სიღრმეზე იწყებოდა, ხოლო მთელი განათხარი ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს — უფრო მაღლა. II ფენა მნიშვნელოვანწილად შეიცავდა გადამწვარ შრეებს (წითელი ბათქაშისა და ნახშირის დაფენებებს). რომლებიც სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სისქისა იყო.

შუა (II) ფენის კერამიკული მასალა თავისი ფორმებითა და ორნამენტირების ხერხებით რამდენადმე განსხვავებული ჩანს ძირა ფენის კერამიკისაგან; ორნამენტი შედარებით დეგრაღირებული გვეჩვენება, თუმცა ეს კერამიკა გენეტიურად დაკავშირებულია ძირა ფენის კერამიკასთან (ჭურჭლის ფორმები, ორნამენტული მოტივები ზოგადად). II ფენის კერამიკის დამახასიათებელი

ნიშანია ღია ფერის (წითელი, მოწითალო და ძოხაცრისფრო) თხის ქურჭლების მატება. ხშირ შემთხვევაში კი ქურჭლის წითელი კეცი ძლიერი ხანძრის შედეგი ჩანს. ქურჭლეულის უდიდესი ნაწილი ხელითაა ნაძერწი და ზოგჯერ უხეშად ნაკეთები. ამ ფენის ქოთნებსა და კოჭებს შორის ჭარბობს პირგადაშლილი ქურჭელი. პირმოყრილი ქურჭლების ორნამენტს უმთავრესად სავარცხლისებრი პუნქტირი და საერთოდ დაკბილული შტამპის ანაბეჭდები შეადგენს; არის შევრონების რიგები, მცენარეული ორნამენტი, სხვადასხვაგვარად განლაგებული ღარ-ქედები და სხვა. ყურები პატარებია და კოხტა, იშვიათ შემთხვევაში გვაქვს გომბეშოს ფორმის მინიატურული ყური.

პირგადაშლილი ქოთნები, მცირე გამოჩაყლისის გარდა, სადაა, მაგრამ მათ შორის არის ღარებით, ჰორიზონტალური კანელურებრი ფოსოებითა და წიწვისებრი სახეებით შემკული ნიმუშები.

ტოლჩების დიდი ნაწილი მოწითალო ან ნაცრისფერია. რამდენიმე ცალი — შავად გამომწვარი; მათ ზომიერად ან ოდნავ გამობურცული კედლები და, ჩვეულებრივად, მოზრდილი ყური აქვთ. ამ ქურჭლებს შორის არის როგორც უხეშად დამუშავებული, ისე კარგად დამუშავებული ცალები, ზოომორფული და „ფრინველის მკერდისებრი“ ყურებით. რომლებიც განივკვეთში ჩვეულებრივად ოვალურია.

ორნამენტი წარმოადგენს ირიბად განლაგებულ ღარებს, სავარცხლისებრ დანაკდეებს, ან სეგმენტისებრი გამოსახულებების რიგს, რომლებიც კუთხურად ან ირიბხაზოვნად დაკდეული პუნქტირითაა შევსებული.

ამავე ფენაში ნაპოვნია ბრინჯაოს (თუ სპილენძის) ნაქედი სადგისი, რომელსაც ერთი ბოლო დაწახნაგებული და გამსხვილებული აქვს.

III, ზედა კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრე საშუალოდ 1—1,2 მ აღწევდა, ზოგან შეიცავდა აგრეთვე ნახანძრალ (ნახშირნარევი წითელი ბათქაშის) შრეებს, რომლებიც სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სისქისა იყო; ეს შრეები ყველაზე უკეთ შეიმჩნეოდა კვადრატებში GE — 82, 83, 84, 72, 73, 74, ე. ი. განათხარის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. შედარებით მკაფიოდ ისინი გამოიყოფოდა დაახლოებით 0,3—0,4 მ სიღრმიდან დაწყებული და მათი სისქე საშუალოდ 0,5—0,7 მ აღწევდა. დასავლეთისკენ (კვადრატები GD — 80, 70 და ა. შ.) და ჩრდილოეთის მიმართულებით წითელი დამწვარი შრე უფრო ღრმად ეშვებოდა და თანდათანობით თხელდებოდა.

II) ფენის ზედა ნაწილში იდო 0,3—0,4 მ სისქის პუმესური მიწის დაფენება (ცალკეული კერამიკული ფრაგმენტების შემცველობით), როგორც ჩანს, მრავალგზის დაძრული, რომელსაც ცალკე კულტურულ ფენად არ გამოვეყოფთ.

III ფენის კერამიკის განსაზღვრული ნაწილი წითლად და ნაცრისფრადაა გამომწვარი. ამასთან ერთად. აღსანიშნავია. რომ ნახანძრალში ზოგიერთ ადგილას ჩნდებოდა გადამწვარი და დეფორმირებული წითელი კერამიკა (ფრაგმენტები), რომელიც ძლიერი ცეცხლისაგან ხშირად წიღისებურად ყო გამოფიტული.

კერამიკული ნაწარმის დიდი ნაწილი იმეორებს ქვედა (II) ფენის ჭურჭელთა ფორმებსა და შემკულობას. ასე რომ, ბორცვზე აშკარად შეინიშნება კერამიკის განვითარების საერთო სფრათი. ამასთანავე, წინა პერიოდის კერამიკასთან შედარებით, ჭურჭლის დამზადებისა და ორნამენტირების ტექნიკის მხრივ აქაც რამდენადმე გაუხეშებასთან გვაქვს საქმე.

კერამიკულ ნაკეთობათა შორის შეინიშნება დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭლების სიმრავლე. ფორმათა დიდ ნაწილს შეადგენს პირმოყრილი ან პირგადაშლილი უყურო ქოთნები და კოჭბები. პირმოყრილი ქოთნების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია შესქელებული პირი, ოდნავ გამობერილი ტანი, ფართო ღარებიანი ფესტონებისა და სარტყლების, შემავსებელი ფოსობებისა და სავარცხლისებრი დანაჭდევეების ორნამენტი. პირგადაშლილი ქოთნები რიცხვობრივად სჭარბობს პირმოყრილს. მათ შორის არის როგორც ტლანქი. ისე ფაქიზი ნაკეთობის დიდი, საშუალო და პატარა ზომის ჭურჭლები მკაფიოდ გამოყვანილი მხრებითა და მათზე მიძერწილი უნაგირისებრი შვერილებით. ამ სახის ჭურჭლები შემკულია ღარ-ქედების რიგებით, ფესტონებითა და ა. შ.

ტოლჩების უმეტესობა მოწითალო-მოვარდისფრო ანდა შონაცრისფრო კეციანია, პირმოყრილი, მეტ-ნაკლებად მომრგვალებულტანიანი და სხვადასხვაგვარ ყურებიანი. ყურებს შორის არის ზოომორფული და მუხლისებრი („ფრინველის მკერდისებრი“) ფორმები. ზოგიერთ ყურს შვეული ქიმი ახლავს. რაც ზოგჯერ ძირა ფენის ჭურჭლებისთვისაა დამახასიათებელი. ზოგჯერ გვხვდება უხეშად ნაკეთები ყურები. აღნიშნულ ჭურჭელთა შემკობაში გამოყენებულია შვერონული, ფესტონური და სხვა ორნამენტული სახეები; როგორც წესი, ამ ორნამენტში ერთმანეთთან შერწყმული და კომბინირებულია ღარ-ქედები, ქდეული, წიწვოვანი და დაჯბილულ სავარცხლისებრი ორნამენტული ელემენტები.

შედარებით ცოტაა ქილები, რომლებსაც ჩვეულებრივად სწორად აღმართული სადა კედელი აქვთ.

არის რამდენიმე ფრაგმენტი ბაღისებრი ჭურჭლებისა მონაცრისფრო და მოყავისფრო-მოწითალო კეციტ. მათ შორის არის მილიკიანი და სახელურიანი ნიმუშები.

ამავე ფენაში ნაპოვნია ბრინჯაოს საჭრეთელი (?) და პატარა ზომის ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევეარი; აღმოჩნდა აგრეთვე ცალი საგდული თიხის ყალიბისა, რომელიც, როგორც ჩანს, ლითონის ლეროვანი ნივთის ჩამოსასხმელად გამოიყენებოდა.

1969 წელს ექსპედიცია მუშაობას აწარმოებდა ნასოფლარის მეორე უბანზედაც მდ. ტეხურის ნაპირას, I საძიებო მოედანზე. ამ მოედნის სამხრ-დას. ნაწილში 1,8 მ სიღრმეზე (წინა წლებში შესწავლილი ანტიკური ხანის ფენების ქვეშ) გამოვლინდა 0,3—0,5 მ სიმაღლის, შეთიხანარევი მიწიანი, უმთავრესად უძრავი კულტურული ფენა (ძირა ფენა), რომელიც შეიცავდა ხის ნაგებობისა და ნაცროვანი კერის ნაშთებს, ნახანძრალი ბათქაშის შრეებსა და გროვებს; აღმოჩნდა საკმაო ოდენობის ფრაგმენტირებული კერამიკა და ცხოველების ძვლები. ეს კერამიკა, ერთი მხრივ, ახლოს დგას ბორცვის II და III ფენებში მოპოვებულ კერამიკულ მასალებთან, ხოლო, მეორე მხრივ, შეიცავს მეტად თავისებურსა და საინტერესო განსხვავებულ ნიმუშებს.

ნოსირის ბორცვის კულტურულ დაფენებათა აბსოლუტური ქრონოლოგიური საზღვრების ზუსტად დადგენა ჯერჯერობით მეტად ძნელდება დამათარილებელი მასალებისა და შესადარებელი დათარიღებული ძეგლების უკმარობის გამო. როგორც აღრე, ამჯერადაც ჩვენ წინასწარულად ვვარაუდობთ, რომ ბორცვის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი შუაბრინჯაოს ფარგლებში ექცევა (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში), ხოლო ზედა საზღვარი დაახლოებით გვიანბრინჯაოს პერიოდის შუა საფეხურზე ან მის მიწურულზე მოდის (ძვ. წ. X—IX საუკუნეებამდე).

ბ. ბრიგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე.
მ. ჯაფარიძე, ჯ. ჯღამაია

ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ

1969 წ. ფართო გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ენგურქეის მან-
ნებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფ. პალურსა და ლიაში.

სოფ. პალურში ექსპედიციამ საანგარიშო წელს პირველად
გამოავლინა და ნაწილობრივ შეისწავლა ახალი ქვის ხანის საინტე-
რესო ნაბინარი.

ქვის ხანის ფენა გამოვლინდა „უირსუკი I“ სახელით ცნობილი
ბორცვის თხემზე, ანტიკური და წინარე ანტიკური ხანის ნამოსახ-
ლარი ფენების ქვეშ (ფენა V), რომელიც, როგორც ჩანს, მთელ
თხემზე ვრცელდება. ხსენებული ფენის სისქე 10—15 სმ არ აღე-
მატება, მაგრამ ხასიათდება ქვის მასალის სიუხვით. იქ 12 კმ ფარ-
თობზე მოპოვებული იქნა ქვის იარაღ-ანატკეცები 760 ერთეულის
რაოდენობით, რომელთა შორის 152 ცალი კაქის მზა იარაღია.
ხოლო 30 რიყისქვისაგან ნაკეთებ ხელსაწყოებს წარმოადგენენ.
კაქის იარაღებს შორის გაბატონებული ადგილი საჭრისებს უკა-
ვიათ (46 ც.), მეორე ადგილზეა გვერდამოდარული და გვერდრე-
ტუშირებული საფხეკები (23 ც.). ასევე მრავლად არის წარმოდგე-
ნილი ზურგიანი დანები (22 ც.). ერთეულების სახით გვხვდება
თავრეტუშირებული საფხეკები, დუბლირებული იარაღები (საფ-
ხეკ-საჭრისი, საფხეკ-სახვრეტი), სახვრეტები, ბურღები, ანკისიე-
ბრი იარაღები, ძვლის დასამუშავებელი იარაღები, თავირბრე-
ტუშირებული ლამელები და სხვ.

რიყისქვის ნაკეთობათაგან აღსანიშნავია სხვადასხვა ტიპის სა-
ნაყ-სასარესები, შურდულის ქვები, სათიხარები და, რაც მთავარია,
ორღარიანი ქვის საპრიალებელი.

უირსუკის ქვის მასალებში გაბატონებულია ანატკეცთა ტექნი-
კა, რითაც იგი აშკარად განსხვავდება კოლხეთის ბარის დღემდე
ცნობილი ახალიქვის ხანის ძეგლებისგან და სვანეთის (1964 წ.)
მონაპოვართან ერთად საშუალებას გვაძლევს ენგურის ხეობაში გა-
მოვყოთ ლოკალური კულტურულ-ეკონომიური რაიონი, რომლის
არსებობას ჯერ კიდევ 1965 წ. ვვარაუდობდით.

ნეოლითური ხანის ფენას ზემოდან ადევს ადრეველინისტური
ხანის მასალების შემცველი II კულტურული ფენა (წინა წლების
ანგარიშებში I ფენად სახელდებულ), რომელიც ამავე დროს
გორის ფერდის გამაგრების თანადროული ჩანს. ამ ფენაში შემორ-
ჩენილია სწორკუთხა (ერთ შემთხვევაში შუაში ტიხარით გაყო-
ფილი) და მრგვალი შენობების რიყის ქვის ფუნდამენტი. საყურად-
ღებოა, რომ ამ ნაგებობათა იატაკი სპეციალურად მოსწორებულია
მოტანილი სრენარევი ქვარგვალებით, რაც საჭირო იყო სინეს-
ტის თავიდან ასაცილებლად. საანგარიშო წელს შესაძლებელი

ვახდა ამ ფენაში 2 სამშენებლო ჰორიზონტის გამოყოფა. სამწუხაროდ, აქ აღმოჩენილი მასალები ძალზე მცირერიცხოვანია. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია ერთი მოვარდისფრო იმპორტული ჯამის ნატეხები, რომელიც ძვ. წ. IV—III სს. უნდა მიეკუთვნოს. ამ თარიღს ამაგრებს აქვე აღმოჩენილი რკინის ლურსმანი და კერამიკა (სასმისის ძირები, ბრტყელბაკოიანი მოზრდილი ჯამები. შვერილები და სხვ.).

საანგარიშო წელს შესაძლებელი ვახდა ყირსუკი I ბორცვზე კიდევ ერთი ფენის გამოყოფა. II კულტურულ ფენაში და მის თავზე ნახნავში აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი რამდენიმე აგურისფერი ქვევრი, ლეგა ფერის ჭურჭლის პირ-ყელის, ყურის და ძირის ფრაგმენტები, რკინის წალდი და ხალიანი მინის ნატეხი, რაც კარგად თარიღდება ა. წ. IV ს-ით. სამწუხაროდ, ეს ზედა I ფენა ძალზე დაზიანებულია ხვნის დროს და ნაწილობრივ გადარეცხილი.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ 1967 წ. გათხრების შედეგებსაც, ყირ-სუკი I ბორცვზე 5 კულტურული ფენის არსებობა მაინც არის საგულისხმებელი. I ფენა — ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნება, II ფენა — ადრეელინისტურს, III — ძვ. წ. VII — VI სს.; IV — გვიანი ბრინჯაოს და V — ახალიქვის ხანას. ამას გარდა II და III ფენებში 2—2 სამშენებლო ჰორიზონტის გამოყოფა ხერხდება. ამგვარად, ბორცვი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩანს სამოსახლოდაა გამოყენებული.

საანგარიშო წელს ექსპედიცია სოფ. პალურში აგრძელებდა სამუშაოებს „საძლეს“ სახელით ცნობილ ძეგლზე. დასრულდა სარიტუალო სწორკუთხა მოედნის შემომზღუდავი ნალისებური თხრილის ბოლომდის გაწმენდა. თხრილის ეს მონაკვეთი ისევე, როგორც 1968 წ. გათხრილი უდიდესი ნაწილი პირამდის, იყო ავსებული მიწითა და რიყის ქვებით, რომელშიაც უსისტემოდ იყო არეული მიცვალებულთა დამწვარ-დაღეწილი ძვლები, კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, სამკაული, ბრინჯაოს სატევარი და მინიატურული კოლხური ცული. მონაპოვარი მასალა ძირითადად ძვ. წ. VIII—V სს. განეკუთვნება და თხრილიც, როგორც ჩანს, ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს.

თხრილის აღმოსავლეთით, უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე, ექსპედიციამ გამოავლინა ამავე დროის ინდივიდუალური სამარხები. მიცვალებული უშუალოდ საგანგებოდ მოსწორებულ გრუნტზეა დასვენებული. სამარხი თხრილის აღმოსავლეთ კედლიდან პატარა (15—20 სმ სიმაღლის) ჭებირითაა გამოყოფილი. სა-

მარსები ორ სართულადაა განლაგებული. ჩონჩხი ძალზე დაშლილია და გამქრალი, მხოლოდ კბილების და ცალკეული ძვლების მიხედვით ჩანს, რომ საქმე გვაქვს ინჰუმაციასთან. ქვედა ფენის ერთ დონეზე გვერდიგვერდ მდებარე სამარხები (სიღრმე 1 მ) ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყოფა გახრწნილი ორგანული ნაერთების შემცველი თხელი შავი ლაქით. სამაროვნის ამ ფართობზე გათხრილია 15 სამარხი, რომელთაგან 12 იარაღს შეიცავდა და. როგორც ჩანს, მამაკაცებს უნდა მიეკუთვნოს. ბრინჯაოსა და ოკანი-საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები ძირითადად აღმოჩენილია თხრილის ვარეთა ფართობზე. თვით თხრილში კი 1967—1969 წწ. მხოლოდ 2 სატევარია ნაპოვნი. სამაგიეროდ ამ უცანასაქნელში ქარბობს სამკაული (მძივები, სამაჯურები, საკიდები, ნიჭები და სხვ.). მასალის ამგვარი განლაგება, შესაძლოა, იმაზე მიგვითითებდეს, რომ თხრილში მეორადი დაკრძალვა წესით იმარჯებოდნენ ქალები, ხოლო მათ გვერდით სპეციალურ მოედანზე არი მამაკაცთა ინდივიდუალური სამარხები.

ეს სამარხები წინასწარული დაკვრევებით ძვ. წ. VIII—V ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევიან. თუმცა მათ შორისაც გამოიყოფა რამდენიმე ადრეული და მოგვიანო. მაგნი ყველაზე ადრეული ჩანს სამარხი № 5, რომელშიც ბრინჯაოს ყუენწიანი ზვეთოქმდიანი სატევრისპირი, ზარისებრი საკიდი, ორმაგი ხვია და ხელადა არის აღმოჩენილი. სამარხი ძვ. წ. VIII ს. უნდა დათარიღდეს. ყველაზე მოგვიანოა (ძვ. წ. V ს.) სამარხი № 2, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს ბალთა; გვერგვი, მშვილდასაყინძი, ჯაჭვის ნაწყვეტი, რკინის დანა, ტყვიის რგოლი, ელექტრუმის საყურე, გიშრის, სარდიონის, კვარცის, პასტის, მინის მძივები და კერამიკა.

აღნიშნული სამაროვნის ბოლომდის გათხრა და შესწავლა ექსპედიციის ძირითადი ამოცანაა, რამდენადაც კოლხეთის დაბლობ და მთისწინა რაიონში ამ პერიოდის სამაროვნები ნაკლებადაა შესწავლილი. ეს გარემოება მასალის კომპლექსური შესწავლის პირობებში შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად დავათარილოთ ის მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომლებიც ძირითადად განძებისა და რამდენიმე ნამოსახლარის მიხედვით არის ცნობილი.

ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი ჯგუფი აგრძელებდა არქეოლოგიურ სამუშაოებს სოფ. ლიაში, „დიდა ქირა“

ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობზე, სადაც გამოვლენილ იქნა 13 ორმოსამარხი და ერთიც თიხის სარკოფაგი.

სამხრეთის ფერდობზე გათხრილი სამარხი (№ 1) მამაკაცს მიეკუთვნება. იგი წარმოდგენილია რკინის იარაღით, თიხის ჭურჭლით, სამკაულით. სამარხი საანგარიშო წელს გათხრილ და კარგად დათარიღებულ სამარხებს შორის ყველაზე ადრინდელია. იგი თარიღდება მასში აღმოჩენილი პოლემონ II-ის მონეტით (ახ. წ. I ს. შუა ხანები) და ბრინჯაოს მშვილდსაკინძით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე გათხრილი სამარხები ქრონოლოგიურად უფრო ფართო რკალს მოიცავს. ესაა ახ. წ. I—VI საუკუნეები (№ 3 სამარხი, სარკოფაგი). ამ ფერდობზე მიკვლეული სამარხების შესწავლას ართულებდა ფერდის დიდი დაქანება, რაც აქ უძველესი ხანიდან კულტურულ ფენათა გადაადგილებას იწვევდა. როგორც ჩანს, სამარხები ძირითადად ჩაჭრილია ელინისტური ხანის ფენაში. ზემოთ აღნიშნული დაბრკოლების მიუხედავად, ერთგვარად დადგინდა სამარხთა სტრატეგრაფია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია № 3 სამარხი, რომელიც შედარებით კარგად თარიღდება მასში მოპოვებული მშვილდსაკინძებისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდის მიხედვით. ორმოსამარხთა ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით (ხელადა, კოჭობი, ჭინჭილა, ტოლჩა, ჯამი და სხვ.); რკინის იარაღით (სატევარი, შუბისპირი, დანები) სამკაულით (მშვილდსაკინძები, აბზინდები, საკინძები, მძივები, ვერცხლის საყურე); მონეტით, კაქის ლამელით.

მართალია, სოფ. ლიაში გათხრილი სამარხები არ გამოირჩევიან დიდი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური სამარხეული ინვენტარის დღევანდელი შესწავლილობის დონეზე ისინი არსებით მასალას გვაწვდიან ამ მხარის პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული ვითარების უკეთ წარმოსადგენად აღნიშნულ ხანაში. სოფ. ლიას ჭგუფი აგრძელებდა აგრეთვე „დიდა ქირსას“ თხემზე არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა შესწავლას. კერძოდ, ითხრებოდა კოშკი № 3. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სინათლეს შეიტანს ლიას ციხის სასიმაგრო ნაგებობათა საწყისი პერიოდის განსაზღვრის საქმეში.

**დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის
მუშაობის მოკლე ანგარიში**

1969-70წწ. ექსპედიცია უშაობდა იმ ტერიტორიაზე, სადაც ძეგლებს მშენებელთა მირ დანგრევა-განადგურება ელოდა.

აღნიშნულ ფართობზე ექსპედიციამ დაადსტურა არქეოლოგიური ძეგლები ენეოლით — ადრებრინჯაოს ეპოქიდან დაწყებული ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით.


დიღმისწყლის მარცხენა ნაპირზე — მისგან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის დაშორებით, საქართველოს სამხედრო გზასთან, გაითხარა ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთი. ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა სამი ურთიერთმონაცვლე სამშენებლო ფენა, რომელიც შეიცავდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას. აღნიშნული თიხის ჭურჭელთან ერთად ქვედა ფენასთან დაკავშირებულ ორმოებში გვხვდება ბზენარევი კერამიკაც, რომელიც ენეოლითის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი.

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალისა და ბზენარევი თიხის ჭურჭლის თანაარსებობა გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ნასახლარი ენეოლითიდან ადრებრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურს განეკუთვნება (დაახლოებით IV—III ათასწლეულის მიჯნა).

ამ ძეგლზე წარმოებულმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ საშუალება უნდა მოგვცეს, თვალი გავადევნოთ ე. წ. ენეოლითისა და ადრებრინჯაოს კულტურათა მონაცვლეობას.

დიღმის მასივზე და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე ყველაზე ინტენსიურად ჩანს დასახლებული გვიანი ბრინჯაო ადრე რკინის ხანაში. ექსპედიცია სწავლობდა თრელიგორეებზე გათხრილი ნასახლარის სინქრონულ სამაროვანს. იგი მისგან აღმოსავლეთით დიღმის ველზე მდებარეობს. სამაროვანს რამდენიმე ათეული ჰექტარი ფართობი უკავია. გაითხარა ქვაყრილიანი ორმოსამარხები და სამარხი დასაკრძალავი დარბაზით. ყველა მათგანი ინდივიდუალურია. ქვაყრილიანი ორმოსამარხების ყრილი ჩვეულებრივ წრიული ან ოვალური ფორმისაა, რომელიც ერთ ან ორ წყებად განლაგებული ქვებისაგან შედგება. ქვაყრილი სამარხის იატაკის დონე ზოგ შემთხვევაში 70 სმ აღწევს. მიცვალებული ჩვეულებრივ მოხ-

რილი კედლებით. თავით ჩრდილოეთით ახ ჩრდილო-აღმოსავ-
 ლეთით წევს. რამდენიმე ორმოსამარბში დადასტურდა ცეცხლის
 კვალი. სამარხეულ ინვენტარში ძირითადად თიხის ჭურჭელი ჰარ-
 ბობს. სამარხი დასაკრძალავი დარბაზით, რომელიც ნაწილობრივ
 დაზიანებული იყო ექსკავატორის მიერ, წარმოადგენდა ჯარგვალის
 ტიპის ძელურ ნაგებობას ბანური გადახურვით. იგი ჩადგმული იყო
 5 მეტრის სიღრმის ორმოში. შენობასა და ორმოს კედლებს შორის
 დარჩენილი ფართობი რიყის ქვითა და მიწით იყო ამოვსებული.
 დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 70 კვმ აღწევდა, შენობის სი-
 მალე 4 მ აღემატებოდა.



ჭურჭელი დილომიდან

არსებული მონაცემების მიხედვით უნდა ვიგულის-
 სხმოთ, რომ დასაკრძალავ რიტუალში სამარხის დაწ-
 ვაც შედიოდა. სამარხში აღმოჩნდა ასამდე თიხის
 ჭურჭელი, რამდენიმე ათე-
 ული ბრინჯაოსა და რკი-
 ნის ნივთი, პასტის, სარ-
 დიონისა და ქარვის მძი-
 ვები და სხვ. გარდა ამი-
 სა, მიცვალებულისათვის
 ჩაუტანებიათ მსხვილფეხა
 (ძროხა) და წვრილფეხა
 (ლორი, ცხვარი) საქონე-
 ნელი. აღმოჩენილი ნივ-
 თებიდან სინატიფითა და
 მაღალმხატვრულ ობიექტ

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ბიკონუს-
 სურ ჭვირულ სადგარზე მდგარი ადამიანის (ღვთაე-
 ბის) ქანდაკება (ფიქრობთ, წარჩინების ნიშანი); ცხენის თა-
 ვის ორი სკულპტურული გამოსახულება (სავარაუდოა, შტანდარ-
 ტის თავები), თიხისაგან გამოძერწილი ცხოველი (ცხენი?); ზოო-
 მორფული თიხის ჭურჭლები — „ვერძები“, გეომეტრიული სახე-
 ებით შემკული შავრიალა თიხის ხელადები, ორმხრივ გახვრეტი-
 ლი სარიტუალო დანიშნულების ბიკონუსური ფორმის კერამიკული
 ნივთები და მოჭიქული თიხის სასმისები. სამარხში აღმოჩნდა ბრინ-
 ჯაოს ჩაჩქანი, ხელშუბი და ისრისპირები. დასაკრძალავ დარ-

ბაზში 6 ჯგუფად განლაგებული იყო 12 ცხენის აკაზმულობა (სხვა-დასხვა ტიპის ლაგმები, სამკერძულები, საკისრე რგოლები ზარაკებითურთ, ცხენის ცხვირსაფრები და სხვ.).



ქურქელი. დილომიდან.

სამარხი თარიღდება VIII—VII საუკუნეებით და წარჩინებულ შემოღარს, სავარაუდოა, ტომის ბელადს ეკუთვნოდა. აღნიშნული სამარხი იმის მაუწყებელია, რომ გვიანბრინჯაო ადრეეკინის ხანაში დიღმის ხეობა ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული ტომებით იყო დასახლებული. აქ აღმოჩენილი საღვინე სასმისები (მარნები, ვერძები) მოწმობს, რომ დიღმის ხეობაში მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად განვითარებული ყოფილა მევენახეობაც.

დიღმის ველი საკმაოდ ინტენსიურად ჩანს დასახლებული ანტიკურ ხანაშიც. ექსპედიციამ გათხარა ელინისტური ხანის ქვევრ-სამარხები და ორმოსამარხები და რომაული ხანის ორმოსამარხები. ამ პერიოდში ინდივიდუალურ სამარხებს გარდა გვხვდება სამარხები, სადაც ორი მიცვალებული ერთდროულადაა დაკრძალული. სამარხები ინჰუმაციურია. ერთ შემთხვევაში დადასტურებულია ნაწილობრივი კრემაცია. მიცვალებული ჩვეულებრივ მარჯვენა გვერდზე წევს ხელფეხმოკეცით — თავით ჩრდილოეთისაკენ.

ექსპედიციამ გამოავლინა აგრეთვე ადრეფეოდალური ხანის ნა-სახლარისა და შარნის ნაშთი.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები გვაგარაუდებინებს, რომ დიღმის ხეობაში არსებული ესოდენ ძლიერი დასახლება წარმოადგენდა იმ ეკონომიურ ერთეულს, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა თბილისის გადგაქალაქებაში.

ექსპედიციამ მომავალში თავისი კვლევა-ძიება უნდა შეუფარდოს ქალაქის იმ სამშენებლო გეგმებს, რომლის განხორციელებისას სავარაუდოა არქეოლოგიური ძეგლების დანგრევა-განადგურება

ბ. ტეხოვი

გათხრები სამხრეთ ოსეთში

1969 წელს საქართველოს სსრ მენციერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობდა ჯავის რაიონის სოფ. თლის ძველი სამაროვნისა და მისი გარეუბნების არქეოლოგიურ შესწავლას. ექსპედიციამ ველზე დაპყრო 6 ივლისიდან 19 აგვისტომდე. მის წინაშე იდგა გარკვეული ამოცანა — აღნიშნული სამაროვნის შესწავლა და ძველი ნასახლარის ნაშთების გამოკვლევა შურფების საშუალებით.


სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაითხარა შურფი (ზომით 4×3 მ) და ტრანშეა ზომით $1,5 \times 10$ მ), მაგრამ ძველი ნასახლარის ნაშთების კვალიც კი არ აღმოჩენილა. ნასახლარი, ალბათ, სამაროვანთან ახლოს ფერდობზე მდებარეობდა და გასცქეროდა მდინარე თლიდონს. მრავალი საუკუნის განმავლობაში ბუნების სტიქიური ძალების გავლენით დაზარალდა ნასახლარი და შემდეგში სრულიად განადგურდა.

სამაროვანზე 1969 წელს გაკეთდა სამი თხრილი: ორი — სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო მესამე — ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან. პირველი თხრილი წარმოადგენს 1968 წლის № 2 თხრილის გაგრძელება-გაფართოებას, ხოლო მეორე — იმავე თხრილის გაგრძელებას დასავლეთისაკენ. მესამე თხრილი კი წარმოადგენს 1968 წელს გაკეთებულ № 1 თხრილის გაფართოებას აღმოსავლეთისაკენ.

სამივე თხრილში გაიწმინდა 32 სამარხი (8 პირველში, 15 მეორეში, ხოლო 9 მესამეში). სამარხებში გაწმენდილი ჩონჩხები ქვის წყობით იყვნენ შემოფარგლულნი. ზემოდანაც სამარხებს ქვაყრილები ეყარათ, რომლებმაც დროთა განმავლობაში ბრტყელი ფორმა მიიღეს. ყველა სამარხს, გარდა სამისა, ჩრდილოეთის მიმართუ-

ლება ჰქონდა. მიცვალებულები სამარხებში მარჯვენა გვერდზე იწვენენ მოკუნტულად, თავით ჩრდილოეთისაკენ, მხოლოდ ორ სამარხში არ დადასტურდა დამარხვის ამგვარი წესი.

გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა თარიღდება ძვ. წ. XI—V საუკუნეებით.



ბრინჯაოს ხანის ექსპონატები.

პირველ და მეორე თხრილში სამარხები ერთ წყობად იყო განლაგებული, ხოლო მესამეში — ორად. გათხრილ 32 სამარხიდან მხოლოდ ერთი (სამარხი № 230) აღმოჩნდა უინვენტარო, ხოლო № 238, № 243 და № 245 სამარხში აღმოჩნდა თითო-ოროლა ბრინჯაოს ან რკინის ნივთი. ყველა დანარჩენ სამარხში მიკვლეულია ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული ძლიერ საინტერესო მასალა.

სამ სამარხში (სამარხები № 226, № 230, № 242) დადასტურდა ადამიანთან თხის დამარხვა. ეს წესი განსაკუთრებით შეინიშნებოდა № 226 სამარხში. დამარხვის ამგვარი წესი დადასტურდა ჯერ კიდევ 1958 წლის № 41 სამარხშიც.

მამაკაცის სამარხებში (ისინი დედაკაცის სამარხებთან შედარებით მეტი იყო) მიკვლეულია მრავალი ბრინჯაოს ნივთი. კერძოდ:

ტანმოხრილი და ტანსწორი საომარი ცულები, სატევარი და სატევარისპირები, მშვილდსაკინძები, ქამრის ორნამენტირებული ბალთები, სარტყლები. ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული ჭურჭელი და ა. შ.

გვიანი პერიოდის სამარხებში ნივთების უმრავლესობა რკინისაგან იყო ნაკეთები მამაკაცის ორ სამარხში (სამარხები № 231 და № 134) ორ-ორი ბრინჯაოს ცული აღმოჩნდა მაშინ, როდესაც სხვა სამარხებში თითო ცული გვხვდებოდა. გარდა ამისა, № 231 სამარხში ცულებთან ერთად მიცვალებულის გულის არეში აღმოჩნდა რომბისებური განივკვეთიანი ბრინჯაოს მასიური რგოლი. ამ ნივთის დანიშნულება ჯერ-ჯერობით გაურკვეველი რჩება.

ბრინჯაოს და რკინის ცულებისა და სატევარების გარდა მამაკაცთა სამარხებში აღმოჩნდა ლახტისთავები. მათ შორის გამოირჩევა № 227 სამარხში აღმოჩენილი ლახტისთავი, რომელიც მდიდარი ორნამენტითაა შემკული. მასზე გამოსახულია ძალღი, ცხენი და ძალზე სქემატურად — ადამიანი, რომლის მარჯვენა ხელი აწეულია, თითქოს ცხენს აჩერებდეს. ლახტისთავის მასრის ქვედა სიბრტყეზე გამოსახულია რალაც ნიშნები, რომელიც უძველესი დამწერლობის ცდაზე უნდა მეტყველებდეს. შესაძლებელია ეს ნიშნები იმ ხელოსნის დამღას წარმოადგენს, რომელსაც ეს ლახტისთავი დაუმზადებია.

სამარხებში აღმოჩენილი სატევარები და სატევარისპირები ქარქაშებში უნდა ეტარებინათ. ამის დამამტკიცებელია № 228 სამარხში აღმოჩენილი კომბინირებული ქარქაშის ერთი ნახევარი. ქარქაში დამზადებულია ტყავისა და ხის ფირფიტისაგან. ხის ფირფიტაზე ამოჭრილია 10 ტოლფერდა სამკუთხედი. მათგან შუა მწკრივი მიმართულია ტარისაკენ ხოლო დანარჩენი ორი მწკრივის სამ-სამი სამკუთხედი — სატევარის წვერისაკენ.

ვათხრილი სამარხებიდან ორში (სამარხები № 224 და № 231!) აღმოჩნდა ხარის წინა ნაწილის ბრინჯაოს (?) გამოსახულება. ერთ მათგანს (სამარხი № 224) ცხვირში რგოლი აქვს გაყრილი. ეს ორი ნივთი საეგარეულოს ბერის სკიპტრის შესამკობად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ძვ. წ. აღრიცხვის VII—VI სს. კომპლექსებში გამოირჩევა № 246 სამარხული კომპლექსი, რომელშიც მიკვლეულია რკინის სატევარი ხის ქარქაშის ნაშთებითურთ. ქარქაშის ბოლო ძვლისაგანაა დამზადებული. იგი გრიფონის თავის გამოსახულებას წარმოადგენს და სკვითური ხელოვნების ნიმუშს მოგვაგონებს.

დედაკაცის სულ ოთხი სამარხი გაითხარა. ისინი მამაკაცის სამარხებისაგან მხოლოდ ინვენტარით განსხვავდებიან. რაც შეეხება სამარხთა აღნაგობას და დაკრძალვის წესს, ორივე ჯგუფის სამარხები ერთნაირია.

დედაკაცის სამარხებისაგან აღსანიშნავია № 224 სამარხი, სადაც მიცვალებულს ბრინჯაოს რგოლები ეკეთა მუხლზე ცოტა ქვემოთ მაშინ, როცა ყველა სხვა დედაკაცს ასეთი რგოლები ეკეთა კოჭებთან. გულმკერდის არეში ბრინჯაოს სამი ქანდაკება იყო. ერთი მათგანი გამოსახავს შიშველ ქალს, ხოლო ორი ცხენის ქანდაკებას წარმოადგენს, რომელთაგან ერთი ორთავიანია (თავეები მოპირდაპირე მიმართულებითაა მიქცეული). უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სკულპტურული გამოსახულება პირველადაა აღმოჩენილი არა მარტო თლის სამაროვანში, არამედ, საერთოდ, სამხრეთ ოსეთშიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკულპტურული გამოსახულებები (უმთავრესად ცხოველების: ხარი, ძაღლი, ირემი, ცხვარი, თხა და ა. შ.) მხოლოდ ქალის სამარხებში შეგვხვდა.

საინტერესოა № 235 სამარხში აღმოჩენილი ცხვრის შესანიშნავი სკულპტურული გამოსახულება. იგი წარმოადგენს ჭედილას ძლიერ მოხვეული რქებითა და სქესის ნიშნებით, რაც შესაძლებელია ნაყოფიერების ღვთაებასთანაა დაკავშირებული. ეს სკულპტურული გამოსახულება ცხვრის კულტანაც უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ძლიერ გავრცელებული იყო გვიანი ბრინჯაოს ხანის კავკასიის ტომების მატერიალურ კულტურაში.

თითქმის ყველა სამარხში ჩნდებოდა ბრინჯაოს ფირფიტოვანი სარტყლები. მათ შორის აღსანიშნავია № 224 სამარხში ნაპოვნი სარტყელი, რომელზეც 21 ცხენია გამოსახული. როგორც ორნამენტული დეტალებით, ისე ზომით ეს სარტყელი განსხვავდება თლის სამარხებში აღმოჩენილ სარტყელებისაგან. ანალოგიური ნივთი არ მოიპოვება ცენტრალური კავკასიის სხვა ძეგლებშიც.

1969 წელს გათხრილ სამარხებში გამოვლინდა მრავალი სხვადასხვა ფორმის მძივი, მათ შორის ოქროს ფოლგით დაფარული მრგვალი მძივები. ასეთები აღმოჩენილია თითქმის ყველა სამარხში.

ჩვენს მიერ მოპოვებული ახალი არქეოლოგიური ძეგლები ნებას გვაძლევს უფრო გაბედულად, ვიდრე ადრე, ვიმსჯელოთ იმ ტომების საქმიანობაზე, რომლებსაც ეს ძეგლი ეკუთვნით. კერძოდ, მათ კულტურულ ურთიერთობაზე მეზობელ ტომებთან და რელიგიურ მსოფლმხედველობაზე.

1969 წელს ჩატარებული გათხრებისას გამოირკვა ამ სამაროვანი სათვის დამახასიათებელი ადრე ბევრი ცნობილი ნიშანი (დაკრ-

ძალის წესი, სამარხთა აღნაგობის მრავალი დეტალი, სამარხებში ბრინჯაოსა და რკინის ნივთების სიხშირე და ა. შ.), ამასთან ერთად, გათხრებმა მრავალი ახალი, აქამდე უცნობი მასალა მოგვცეს და გავ-ვარკვიეს დაკრძალვის ახალ წესში (სამარხები № 226, № 230, № 242, № 254).

ბ. ფიცხელაური, თ. ბუზიანიშვილი, შ. დედაბრიშვილი
რ. რამიშვილი, მ. უზუნაშვილი

ქახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები

ქახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს განაგრძობდა მუშაობას ზემო-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში. გათხრითი სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე ჩალაუბან-ლაკის მონაკვეთში, საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

ექსპედიციაში მუშაობდა ოთხი რაზმი და ერთი ჯგუფი, რომელიც დაზვერვით არქეოლოგიურ სამუშაოებს ახორციელებდა.

I რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუზიანიშვილი) 1969 წელს ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები და სტაციონარული თხრა. დაზვერვებით გამოვლენილ იქნა მუსტიეს ხანის ნაშთების ორი ახალი ადგილსამყოფელი: წითელი-წყაროს რაიონში (ელდარი) „ნაგომრების თავის გორის“ მახლობლად და გურჯაანის რაიონში ნასოფლარ „ძველ ჩალაუბანში“ ადგილ „ხუციხეში“. ამ აღმოჩენის შედეგად ქახეთში მიკვლეული მუსტიეური ხანის მასალის შემცველი პუნქტების რაოდენობამ 15 მიაღწია.

გაგრძელდა გურჯაანის რაიონში, სოფ. ზიარის ტერიტორიაზე მდებარე, მუსტიეური ხანის სახელოსნოს უძრავი კულტურული ფენის თხრა. გაითხარა 96 კვმ ფართობი, საერთო სიღრმით 1,10 მ. მთლიანად გაითხარა მხოლოდ სამი კვადრატი A 4, 5, 6. აქ 0-ის ხაზიდან 2,20 მ სიღრმეზე გამოჩნდა დედაქანი და კულტურული ფენაც დასრულდა. დიდძალი რაოდენობის სხვადასხვა სახის ანატეც-ანამტკრევებსა და ნუკლეუსებთან ერთად წელს პირველად აღმოჩნდა ფაუნისტური მასალა და რამდენიმე დასრულებული იარაღი, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ორი, ორმხრივდამუშავებული ხელნაჯახი. ისევე, როგორც წინა წლებში, მოვიპოვეთ ნუკლეუსები და მათგან მიღებული ანატეცები, რომლე-

ბიკ ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნული ფაქტი A 4, 5, 6 კვადრატებში მოპოვებულ, კირის სქელი ნალექით დაფარულ ნაშთებთან ერთად კიდევ ერთხელ დამატებით ადასტურებს, რომ კულტურული ფენა აღმოჩენილია თავისი თავდაპირველი დალექვის ადგილზე, ე. ი. უძრავ მდგომარეობაში. ასეთსავე დასკვნამდე მიგვიყვანა საანგარიშო წელს ჩატარებულმა ძეგლის გეოლოგიურმა გამოკვლევამ (ე. წერეთელი).

ამგვარად, საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ზიარის მუსტიერული სახელოსნო წარმოადგენს საქართველოში აღმოჩენილ პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ქვედაპალეოლითურ „ღია ტიპის“ ძეგლს, სადაც კულტურული ფენა დაცულია თავის პირვანდელ მდგომარეობაში.

II რაზმის (ხელმძღვანელი შ. დედაბრიშვილი) ძირითად სამუშაო ობიექტს წარმოადგენდა სამაროვანი და სამოსახლო „შვინდიანი“ (ალავერდი II) და სამოსახლო ალავერდი I.

ალავერდი II ტერიტორიაზე გაითხარა 1200 კვმ ფართობი. აქ სამშენებლო დანალექების ქვეშ გამოვლინდა შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, რომელიც ზევიდან ედო და ზოგ შემთხვევაში ქრიდა ადრე ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს კულტურულ ფენას.

სამარვანზე ქვისწრებიანი ორი სამარხის გარშემო განლაგებული იყო სხვა სამარხები. ყველა სამარხი ორმოიანია, მცირე ქვაყრილით, ინჰუმაციური (მიცვალებულ დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი, თავით დასაღლეთით). ერთ შემთხვევაში (ქვისწრიანი სამარხი № 2) დადგინდა, რომ მიცვალებულს ახვევდნენ წმინდა ქსოვილში, რომლის კიდეები შეკრული იყო პირამიდალურ-თავიანი ბრინჯაოს საკინძებით. № 1 ქვისწრიან სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა, სამარხს ჰქონდა ერთსაფეხურიანი ფსკერი და საკმაოდ მოზრდილი თახჩა (კატაკომბური ტიპისა), სადაც განლაგებული იყო თიხის ათამდე ჭურჭელი. დანარჩენ სამარხებში ინვენტარი ერთფეროვანია — თიხის რამდენიმე ჭურჭელი და იშვიათად სხვა ნივთები. სამოსახლო ალავერდი II კულტურული ფენა საანგარიშო წელს არ შეგვისწავლია.

ალავერდი I სამოსახლოზე გაიჭრა რამდენიმე საკონტროლო თხრილი. ამ სამუშაოებმა დაადასტურა ძეგლის წინასწარი დათარიღება ადრებრინჯაოს ხანით. კულტურული ფენის აღმოჩენებიდან ყურადღებას იქცევს ლითონის ნივთები (დანა-სატევარი და სხვ.) და აგრეთვე თიხის ჭურჭელი, შემკული სტილიზებული ამობურცული სპირალებით, რომელიც დამახასიათებელია ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთული ძეგლებისთვის.

III რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ძირითადი გათხრითი სამუშაოები ჩაატარა გურჯაანის რაიონის სოფ. ჩალაუბანში ნამოსახლარ „მოჭრილ გორაზე“ და ნამოსახლარ „ტინის სერის“ სამაროვანზე.

ნამოსახლარი „მოჭრილი გორა“ რთულ ნაგებობას წარმოადგენს. მის ასაგებად შერჩეულია დაბალი, ბუნებრივი გრძივი ბეჭი, რომელიც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გადაყელილია ნამოსახლარისათვის საჭირო მანძილზე. შემდგომ ამ ფართობის გარშემო გაჭრილია ღრმა, რთული კონსტრუქციის, საფეხურებიანი თავდასაცავი თხრილი. ამონაყრი მიწის ნაწილი თხრილის გარე ზღუდისათვისაა გამოყენებული, ძირითადი ნაწილი კი ნამოსახლარისათვის გამოყოფილი ადგილის შესამადლებლად დააყრილი. მიწა შეზენიებულია ორი მეტრის სიმაღლეზე და მხოლოდ შემდგომში გამართული ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნის ნამოსახლარი (A), რომლის კულტურული ფენა დაახლოვებით 1,50 მ სიმაღლისაა და უკავია 1 000 კვმ ფართობი. A კულტურული ფენა შექმნილია ოთხკუთხა გეგმარების შენობათა რიყისქვის საფუძველების და ალიზის კედლების ნანგრევებით. ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და სხვა შინამოსაქმეობის ნივთები.

B ფენა გამართულია უშუალოდ A ფენაზე. B ფენის (სიმაღლე 0,50—0,70 მ) ნამოსახლარს თემის კედელზე რიყისქვის ზღუდე შემოუყვება. გამოვლინდა და გაიწმინდა მრავალი სათავსო, პურის საცხობი თონის ნანგრევები. B ფენა მთლიანად გადამწვარია და განადგურებული. ნამოსახლარის უეცარ მიტოვებაზე მიგვითითებს *in situ* დაცული თიხის მრავალი ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთი. B ფენის ზედა პორიზონტებში აღმოჩენილი „სკვითური“ ისრისპირები კარგად ადგენს ნასახლარის განადგურების თარიღს და მეტრის ვინაობას. არსებითია, რომ ამ მიკრორაიონში გათხრილი ყველა თანადროული ძეგლი (სამარხების გამოკლებით) გადამწვარია, მელანში კი სამლოცველოს გათხრის დროს გადაწვის ნიშნებთან ერთად აღმოჩნდა „სკვითური“ ისრისპირებიც. ყოველივე ეს და აზერბაიჯანში დადასტურებული ზოგიერთი ფაქტი გარკვეულად მიგვითითებს ჩრდილოური ტომების ლაშქრობის მარშრუტს ამიერკავკასიაში.

სოფ. ჩალაუბანში ნამოსახლარ „ტინის სერის“ სამაროვანზე გაითხარა ექვსი ორმოსამარხი, რომელმაც საფუძველი შექმნა „ტინის სერის“ ნამოსახლარისა და საერთოდ კახეთის თანადროული კერამიკული ნაწარმის დათარიღებისათვის ძვ. წ. XI—IX სს.

რაზმმა გააგრძელა სამუშაოები სოფ. გულგულაში „ოლიების ტყის“ და „სათვალისწყლის“ სამაროვნებზე. „სათვალისწყლის“ სამაროვნის შესწავლას რაზმი აწარმოებდა თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად და აქ ხუთი ორმო-სამარხი შეისწავლა, რომელთა ინვენტარი გასულ წელს ამ სამაროვნის შესწავლის დროს მოპოვებული მასალის იდენტიფიკაცია.

„ოლიების ტყის“ სამაროვანზე კი გამოვლინდა ხუთ სართულად განლაგებული, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხები, რამაც რეალური საფუძველი შექმნა გვიანბრინჯაოს ხანის მასალების შუაბრინჯაოს ხანასთან დაკავშირების შესახებ მსჯელობისათვის.

რაზმმა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მეტად საინტერესო სამაროვანს მიაკვლია სოფ. გადრეკილთან (ამჟამად მახარაძე, გურჯაანის რაიონი) და გათხარა ერთი დაზიანებული ორმოსამარხი.

IV რაზმი (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) გათხრით სამუშაოებს აგრძელებდა ახმეტის რაიონში. მატნის „უამთა საყდრის“ ტერიტორიაზე დამთავრდა ეკლესიის გარშემო მდებარე მრავალფენიანი სამაროვნის თხრა. სულ 1967—1969 წწ. გაითხარა 100-ზე მეტი სამარხი.

სამარხთა აღნაგობის, სამარხეული მასალებისა და თვით სამაროვნის სტრატეგრაფიის მიხედვით „უამთა საყდრის“ სამაროვანზე გამოიყოფა:

1. ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურზე გარდამავალი ხანის შირიმის ფილებით ნაგები სამარხები, რომლებიც IX—X საუკუნეებით უნდა იქნეს დათარიღებული. სტრატეგრაფიულად ეს სამარხები ყველაზე ღრმად იყო.

2. შუაფეოდალური ხანის ქვისსამარხები, რომლებიც უპირატესად ქვიშაქვის უსწორმასწორო ფილებითაა ნაგები: მათ სტრატეგრაფიულ ჰორიზონში შუათანა „სართული“ უჭირავთ და ხშირად უშუალოდ I ფენის სამარხთა სახურავებზე არიან დაშენებული. სამარხეული მასალების მიხედვით ეს ჯგუფი XI—XIII სს. თარიღდება.

3. გვიანფეოდალური ხანის სამარხები: მათ სამაროვნის ყველაზე ზედა ფენა უკავიათ და თითქმის ყველა უინვენტაროა.

ეკლესიის ჩრდილოეთით, კედლის გასწვრივ, მხოლოდ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები გამოვლინდა.

„უამთა საყდრის“ გვერდითვე, წყალგაღამყვანი არხის ნაპირას დამთავრდა გალავნიანი, ღია ტიპის, მარნის თხრა.

1969 წ. „სასახლის გორის“ ძირბაზე გაითხარა ადრეფეოდალური ხანის სამი დაზიანებული სამარხი.

ზედ „სასახლის გორაზე“ კი გაიწმინდა დიდი ციხე-გალავნის ნანგრევთა ერთი კუთხე, სადაც ქვეთიკირის დიდი ნაგებობა — საჯინი-ბო აღმოჩნდა.

დაზვერეთმა ჯგუფმა (ხელმძღვ. მ. უზუნაშვილი) მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა სოფ. შრომის (ვანნაძიანი) საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე და გვიანანტიკური ხანის მეტად საყურადღებო მასალები მოიძია. აქ გაითხარა როგორც დაზიანებული ორმოსამარხები, ისე ნასახლარი და სახელოსნო უბანი

ჯგუფმა გარკვეული სამუშაო ჩაატარა აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფ. ყარაღაჯის ჩრდილოეთით, ალაზნის ველზე მდებარე ნაცარგორაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ტყის ბოლოს თაფას“ უწოდებს.

ამას გარდა, დაზვერვების შედეგად ჯგუფმა გამოავლინა მრავალი ახალი ძეგლი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ადგილი „ნაქალაქარი“ „ეაის წყალთან“, სოფ. ჩალაუბნის სამხრეთით 20 კმ-ის მანძილზე. აქ აღმოჩნდა მთაზე და მის მასლობელ ტერიტორიაზე განლაგებული გრანდიოზული ნამოსახლარი, რომლის ცენტრალურ ტერიტორიასაც მთის თხემზე მიწის(?) ზღუდე შემოსდევს. ნამოსახლარზე ზედაპირულად აკრეფილ მასალაში ჭარბობს ფეოდალური ხანის თიხის ჭურჭელი, თუმცა არის უფრო ადრეული ეგზემპლარებიც.

ო. ლამბაშიძე

ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ანგარიში

ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წ. თხრიდა სოფ. რველში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე „საჯვარე“ ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე. ეს ძეგლი წარმოდგენს მრავალფენიან სამაროვანს, რომელსაც უჭირავს საკმაოდ ვრცელი ფართობი. გათხრილი იქნა 12 ორმოსამარხი და 6 ქვის სამარხი.

I ფენა ორმოსამარხების სახითაა წარმოდგენილი (№№ 1, 3, 4, 2, 17, 5, 9, 16, 18). ამ ფენის თიხის ნაწარმი, რიგი ნიშნების მიხედვით, მსგავსია წალკის ზეგანზე და შიდა ქართლში აღმოჩენილ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულის თიხის ნაწარმისა. გვხვდება აგრეთვე ისეთი ჭურჭელიც, რომელიც გარეგნულად იმეორებს კოლხეთის დაბლობში მოპოვებულ ძვ. წ. II

ათასწლეულის შუა ხანების თიხის ნაწარმის ერთ-ერთ სახეობას. ამ ფენაშივე გვხვდება შიდა ქართლისათვის ჩვეული ჭურჭელიც. ზოგ ჭურჭლის ზედაპირზე მოცემულია ისეთი ორნამენტი, რომელიც შერწყმულია იმ პერიოდის აღმოსავლური და დასავლური ქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი გეომეტრიული სახეები. სამარხეულ ინვენტარში ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს, პასტის, და სხვა ნივთები, რომელიც I ფენის ორმოსამარხებს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი საუკუნეებით უნდა ათარიღებდეს. როგორც ჩანს, ქვედა ფენის თიხის ნაწარმი თითქოს ინარჩუნებს შუა ბრინჯაოს ხანის მეთუნეობის ტრადიციებს. ამგვარად, რველის პირველი ფენის კომპლექსები მნიშვნელოვანია შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობის კვლევისათვის. იმ პერიოდის მეურნეობის წამროსადგენად I ფენის მასალა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა; კერამიკულ ნაწარმში თვალსაჩინო ადგილს იკავებს ორყურა ღერგები, პირდაბალი და მუცელგამობერილი ქოთნები, ცალყურა სასმისი და სხვ. თიხის ნაწარმი გარდა იმისა, რომ განივითარებულ მეთუნეობას გვანიშნებს, იგი რამდენადმე ამსახველი უნდა იყოს მესაქონლეობისაც, რის დამადასტურებელიც ჩანს სამარხებსა და კულტურულ ფენაში მოპოვებული დიდი რაოდენობით საქონლის ძვლები (თხა, ღორი, მსხვილფეხა რქიანი საქონელი). სამელითონეო ხელოსნობაზე მიგვითითებს სამარხებში და საერთოდ სამაროვნის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი განათხარი და შემთხვევითი ნივთები. მეთევზეობის მანიშნებელია № 18 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ანკესი. ტომთა შორის ურთიერთობის მანიშნებელი მასალაც საკმაოდ მოიპოვება რველის სამაროვანზე. ამდენად ბორჯომის ხეობისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება.

დამარხვის წესის მხრივ, პირველი ფენის ორმოსამარხებში ასეთი ვითარება შეიმჩნევა: უმრავლეს შემთხვევაში მიცვალებულების ჩონჩხები თავით დამხრობილია მდ. მტკვრისაკენ — სამხრეთისაკენ (მეტნაკლები გადახრით). ისინი ჩაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილი. გვხვდება მარჯვენა და მარცხენა გვერდზე მდებარე ჩონჩხები. ზოგიერთ სამარხში გვხვდება სასთუმლად გამოყენებული მოგრძო ქვებიც. ხშირია თხის და გოჭის ჩატანება. ზოგჯერ მათი ძვლები ზემოდან ადევს ადამიანის ჩონჩხებს. შეიმჩნევა ნახშირი და № 18-ე სამარხში დადასტურებულია კოცონის კვალი. ყურადღებას იქცევს ზოგიერთ სამარხში დაუმუშავებელი ობსიდიანის თითო-ოროლა ნატეხის ჩატანების ფაქტიც. I ფენაში აღმოჩენილ სამარხთა შორის შეინიშნება კენოტაფიც.

ამგვარად, რველის სამაროვანზედაც დასტურდება შუა და გვიან ბრინჯაოს ხანებში ჩვენში არსებული დამარხვის ზოგიერთი წესი. ქვედა ფენის ორმოსამარხებში ნიშანდობრივია ახალგაზრდა ინდივიდების დამარხვა, რაზედაც მოპოვებული ძვლოვანი მასალა და სამარხეული ინვენტარი მეტყველებს.

მომდევნო II ფენაც ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი (№№ 12, 13, 15, 14), ისინი სტრატиграფიულად პირველი ფენის დონეზე გვხვდება. დამარხვის წესში თითქოს განსხვავება არ გვხვდება. მიცვალებულებს თავები მიქცეული აქვთ სამხრეთისაკენ. მეორე ფენის სამარხთა ასაკი ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

III ფენა ქვისსამარხების შემცველია (№№ 6, 8, 10, 7, 11), ხოლო ერთი ორმოსამარხია № 7. მესამე ფენის სამარხებში დამარხვის წესიც არსებითად შეცვლილია. ყველა შემთხვევაში მიცვალებულის ჩონჩხი ძვეს ხელ-ფეხ მოხრილ მდგომარეობაში, თავი ჩრდილოეთისაკენ აქვს დამხრობილი. სამარხებში აღარ ჩანს ჩატანებული საქონლის ძვლები. III ფენის სამარხები მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ანტიკური ხანის წინარე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.


ექსპედიციის განკარგულებაშია, აგრეთვე, რველის სამაროვანზე წლების განმავლობაში შემთხვევით მოპოვებული სხვადასხვა პერიოდის მასალა, რომელსაც განათხარ კომპლექსებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ბორჯომის ხეობის, არამედ საქართველოს უძველესი კულტურების შესწავლის საქმეში.

ბ. შამბა

მეგალითური კულტურის ახალი ტიპი აფხაზეთში — კრომლეხები

უკვე მეორე წელია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი აწარმოებს. არქეოლოგიურ სამუშაოებს სოხუმის რაიონის სოფ. ეშერში. მიმდინარე წელს აქ აღმოჩნდა კრომლეხები — აქამდე უცნობი აფხაზეთის მეგალითური კულტურის ძეგლები. ისინი მდებარეობენ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კუტიშხასთან და გაბატონებული არიან მდ. გუმისთას ზღვისპირა დაბლობზე. გაითხარა ორი კრომლეხი (ერთი მათგანი ნაწილობრივ დარ-

ღვეულია სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით). თითოეული მათგანი შედგება ოთხი კონცენტრული წრისაგან, რომლებიც შექმნილია ვერტიკალურად დაყენებული მასიური ქვებით. ორივე ძეგლის დიამეტრი ტოლია (პირველი 11 მ 80 სმ, მეორე 10 მ 80 სმ, უმცირესი ქვის ზომებია 30×38 სმ, უდიდესის 85×92 სმ. ორივე კრომლესის გეგმარებაში შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება: გარეთა წრეები შედგება დიდი ქვებისაგან; ცენტრიდან დაშორებასთან ერთად იზრდება წრეებს შორის მანძილი.



კრომლესი.

კრომლესის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენდა მეორადი დამარხვის ადგილს. აქ გადმოჰქონდათ ადამიანთა ჩონჩხების ნაწილი, რომლებზედაც ყრიდნენ კენჭებს, ხოლო ზემოდან ახურავდნენ სხვა-

დასხვა ზომის ქვის ფილებს. მათი მაქსიმალური სიღრმე ხულოვახი წერტილიდან 110 სმ. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა ხელით ნაძერწი თიხის ნაწარმი — მცირე ზომის ქოთნები, თასები და ა. შ. შემკული წიწვოვანი და სხვა სახის ორნამენტით. ბრინჯაოს ნაკეთობათაგან გვხვდება: კაყის ისრის მინაბაძი ისრისწვერი, მასიური ბიკონუსური მძივები, ღუზისებრი ნივთები, აყურულთავიანი საკინძები, თავხვია საყურეები, საკიდები, სპირალური მილაკები, სავარცხელი, სატყერები, ქვის მძივები და ა. შ. ფენაში ხანდახან გვხვდება ნახშირის ნაშთები. კრომლენების აგების ხანა ძირითადად შეიძლება მიეკუთვნოს შუაბრინჯაოს ეპოქას.

საინტერესოა დაკრძალვის წესი: ყველა დეტალით ის ემთხვევა აფხაზეთის დოლმენებში დაკრძალვის წესს, რომლებიც პირველად აღმოჩენილი იყო აგრეთვე ამავე სოფ. ეშერში 40 წლის წინათ არქ. მ. მ. ივაშიენკოს მიერ. თუ ეშერის კრომლენების დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი ტიპიურია ადგილობრივი ბრინჯაოს ეპოქის კულტურისათვის, მათი არქიტექტურა სრულიად განცალკევებით გამოიყურება, უფრო მეტიც: წრეების შეფარდების პროპორციულობით, მკვეთრად გამოსახული ცენტრალურობით, მასშტაბებით და რაც მთავარია, მნახველზე ზემოქმედების დიდი შთაბეჭდილების მოხდენის უნარით. ეშერის კრომლენებს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც აფხაზეთის ძეგლებში და არც კავკასიის მსგავს ძეგლებში (თრიალეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, დაღესტანი და სხვ.) ჯერჯერობით ანალოგები არ მოეპოვება. გარდა ამისა, ეშერის კრომლენები ადასტურებენ დებულებას, რომ კრომლენების გავრცელების არეალი ემთხვევა დოლმენების გავრცელების არეალს, რასაც ადგილი აქვთ დასავლეთის მეგალითურ კულტურაში (სამხ. ინგლისი, ჩრდ. საფრანგეთი და სხვ.).

ლ. წითლანაძე

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ღუშეთის რაიონში 1969 წ.

1969 წლის ოქტომბერში ღუშეთის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ითვალისწინებდა დაზვერვასა და აღმოჩენის ადგილების სათანადო შემოწმებას.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამ რაიონიდან საკმაო რაოდენობით დაგროვდა შემთხვევით მოპოვებული არ-

ქეოლოგიური მასალები; ამგვარად, გამოვლინდა ახალი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც აღვილზე შესწავლას მოითხოვდა.

პირველი ნაწილი სადაზვერვო სამუშაოებისა შეეხო არაგვის ხეობაში სოფ. ჭიკაანს, მეორე ნაწილი კი — მთისპირა ზოლში სოფ. მჭადიჯვარსა და შუახევს.

სოფ. ჭიკაანში, რომელიც არაგვის ფართო ტერასაზე ძევს, აღმოჩენილია ქვისსამარხები. ისინი შეიცავდა ბრინჯაოს ნივთებს: სატევრისპირებს, მშვილდსაქინძებს, სამაჯურებს, ხეივებს, თიხის ჭურჭელს (ნივთები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

1969 წელს იქიდანვე შემოვიდა კიდევ ერთი სამარხეული კომპლექსი, რომელიც შედგება ფოთლისებრი სატევრის პირის, თავხვიასაქინძის, მასიური სამაჯურის, 2 რგოლისა და თიხის ჭურჭლის ყურისაგან. ლითონის ნივთები მაღალხარისხოვანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული და გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება.


სოფ. შუახევიდან საქართველოს სახელმწიფო

მუზეუმში შემოსული იყო 2 ცალი გვერდშეჭრილი ზარაკი, მშვილდსაქინძი, აგრეთვე სპილენძის კასრში ჩაწყობილი სპილენძის ზოდები, ბრინჯაოს თოხი და ლაგმის ნაწილი.

გარდა ამისა, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში კერძო პირისაგან შემოვიდა საქინძები, კერამიკის ნატეხები და იშვიათი ფორმის სამაჯური, რომლის მსგავსი ერთი სამკაული დაცულია დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მეორე კი აღმოჩენილია კახეთში, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეულ კომპლექსში.

ბორცვი, სადაც ეს საგნები გამოვლინდა, მთლიანად გადახნულია, კულტურული ფენები კი — დაზიანებული. ბორცვის თავზე აღმოჩნდა შემთხვევითი ქვის სამარხი, რომელიც ფეოდალურ ხანას და განეკუთვნებოდა. მთელს ფართობზე შეიკრიბა სხვადასხვა პერიოდის კერამიკა.

გათხრითი და დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა სოფ. მჭადი-



სამკაული დუშეთიდან.

ჯვარში, სადაც საკმაო ხანია ცნობილია გორა-ნამოსახლარების არსებობა. აქ აკრეფილი მასალები ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და არქეოლოგიის სექტორში, მაგრამ ისინი ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის. ორივე გორა ამოზიდულ, ხელოვნურ მიწაყრილს წარმოადგენს. № 1 გორაზე, რომელიც მკადიჯვარსა და შუახევს შორის მდებარეობს, 4 საცდელი თხრილი იქნა გატარებული. № 1 თხრილმა კულტურული ფენების გავრცელების არე შემოხაზა, № 2 გორის ქრილი წარმოგვიდგინა, № 3 თხრილის მეშვეობით მოვხვდით სათავსოში, საიდანაც ამოვიდა შავად გამომწვარი, ლამაზად ორნამენტირებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სასმისები, სიტულის მოყვანილობის პატარა თიხის ჭურჭელი, ხელსაფქვეავის ქვა, ბრინჯაოს ღერაკი და სხვ., კერამიკის მიხედვით სათავსო ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს უნდა მივაკუთვნოთ. № 4 თხრილი დანგრეულ სათავსოში მოხვდა, სადაც მრავლად იყო კერამიკისა და ბათქაშის ნატეხები.

№ 2 გორა-ნამოსახლარი მდ. ნარეკვავს გადაჰყურებს და ის სოფ. მკადიჯვარსა და ლამოვანს შორის მდებარეობს. გორის სამხრეთი კალთა დაზიანებულია მაღალი ძაბვის დენისათვის განკუთვნილი კოშკურის დაყენებისას. დაუზიანებლად შემორჩენილი პატარა ფართობი გორისა (3×4 მ) გავასუფთავეთ. ასეთი მცირე მასშტაბის გათხრაც კი საკმარისი აღმოჩნდა გორის შემადგენელი ფენების გარკვევისათვის. ჩვენ მიერ გათხრილი ფართობი (როგორც შემდეგ გამოირკვა სათავსო) ორი კულტურული ფენისაგან შედგება. ზედა კულტურული ფენა წარმოგვიდგება წითლად და ყვითლად გამომწვარი კერამიკით, რომელიც სამთავროსა და კასპის სამაროვნის მასალების მიხედვით ძვ. წ. XIII—XII სს. თარიღდება. კერამიკა აიკრიფა სათავსოს მოტკეპნილ იატაკზე, რომელსაც შუაში მომრგვალებული ფორმის თიხის კერამიკა ჰქონდა. ქვედა იატაკს გარშემო რიყის ქვები შემოუყვებოდა, რომელიც ამ სათავსოს კედლების საფუძველი უნდა ყოფილიყო. ქვედა ფენის კერამიკაში შუაბრინჯაოს ხანის ტრადიციები ჭარბობს, ამიტომ გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ.

მთლიანად გორის ორივე ფენაში შეკრებილი კერამიკა გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებითა და დახვეწილობით, ორნამენტის სინატიფით, დამზადების მაღალი ტექნიკით. ძალზე ემსგავსება სამთავროს ველის, კასპის, ნარეკვავის, ფლავისმანის სამაროვნების და ცხინვალის ნაცარგორის კერამიკას.

ორივე ფენაში მრავლად შეგროვდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები, კაჟის ნამგლის ჩასართები, სახვნელად გამოყე-

ნებული ძვლის იარაღი, გავხრეტილი ეშვები, ირმის რქისაგან დამზადებული ბუნიკის ბოლოები თუ ჩაქუჩი.

№ 2 გორის აღმოსავლეთ ფერდობზე შეიკრიბა ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა და შვერილიანი თიხის კერის ნატეხები, რამაც დაგვიდასტურა, რომ გორაზე ცხოვრება ადრებრინჯაოს ხანაში დაწყებულა და ადრერკინის ხანამდე გაგრძელებულა.

მკადიჯვარის გორების შესწავლა ბევრს ახალს შემატებს გვიანბრინჯაოს ხანის შიდა ქართლის, კერძოდ, და, საერთოდ, მთელი კავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეს.

შ. ჩართოლანი

სპილენძის ძველი სამთომადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებში

დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ფერადი ლითონებით მდიდარი გეოლოგიური ფორმაციების ძიება ჯერ კიდევ რევოლუციამდელ დროში დაიწყო¹ და განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამ მხარეში უკვე აღრიცხულია ფერადი ლითონების ორმოცამდე გამოსავალი². ზოგი მათგანი დიდი ხანია სავანებო გამოკვლევის საგნად გახდა. ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს სსსრ გეოლოგიურმა სამმართველომ, სპილენძის მადნის სამრეწველო მარაგის გამოკვლევის მიზნით, დიდი მასშტაბის მუშაობა გაშალა ბზიფისა და კოდორის ხეობებში. „ჩხალთის გეოლოგიური პარტია“ საძიებო წოლხვრელების გაყვანის დროს წააწყდა ადამიანის ხელით გამოკვეთილ მიწისქვეშა სიცირიელებს და ქვის იარაღებს. გეოლოგიის პარტიის უფროსმა ვ. ღუმბაძემ აღნიშნულის შესახებ წერილობითი ცნობა და ზოგიერთი ნივთიერი მასალა გამოგზავნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტო-

¹ Л. К. Канушевский. Отчет о геологических исследованиях в Сухумском округе в 1909, 1910, 1911 и 1912 гг. «Материалы для геологии Кавказа». Тифлис, 1915. Н. В. Фон Дервиз. Сухумский округ. Записки Кавказского отдела императорского Русского Географического Общества. Тифлис, 1906.

² Минеральные ресурсы ССР Грузии. Тифлис, 1936, стр. 539—541. В. Г. Семенов. Полезные ископаемые и минеральные воды Абхазии. Труды АБНИК, вып. II, 1934, стр. 114—116. Отчет о геологических исследованиях 1933 г. в Абхазии. Геолого-Петрографической экспедиции АН СССР.

რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში³. ამავე ინსტიტუტის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის განყოფილებამ ეს მასალა ლების (ზემო რაქა) ძველ სამთომადნო მღვიმეებში აღმოჩენილი იარაღების⁴ ანალოგებად მიიჩნია და მიზანშეწონილად ჩათვალა მისი მოპოვების ადგილების არქეოლოგიური დაზვერვა, რომლის ჩატარება ჩვენ მოგვანდო.

1969 წლის აგვისტოში მოვიხილეთ მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეების ზოგიერთი ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ძველი გამონამუშევრების არსებობა.

დაზვერვის შედეგად, რომელშიც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ჩხალთის გეოლოგიურმა პარტიამ⁵ აღირიცხა სპილენძის ოცამდე ძველი გამონამუშევარი. ისინი განლაგებულია ზღვის დონიდან, საშუალოდ, 2.000 მ სიმაღლეზე, ადგილ შხაბზიადან დაწყებული (მდ. ბზიფის სათავე), ვიდრე ტვიბრაშერამდე (მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადი), დაახლოებით 80 კმ სიგრძეზე (ტაბ. I). მათი უმეტესობა თავმოყრილია მადნების მდიდარ ზედაპირულ გამოსავალ ადგილებში შხაბზიაზე და ბაშკაცარაზე (ადანგეს უღელტეხილის დასავლეთით), შედარებით ნაკლები რაოდენობით კი — პტიშზე და ტვიბრაშერაზე. აღნიშნული ტერიტორია გეოლოგიურად ეკუთვნის ფერადი ლითონებით (სპილენძი, დარიშხანი, ტყვია, თუთია) მდიდარ გეოლოგიურ ფორმაციას, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედს სამხრეთ ფერდობზე გაუყვება აფხაზეთის, სვანეთის და რაქა-ლეჩხუმის სუბალპურ და ალპურ ზოლს.


ძველი გამონამუშევრები ძირითადად ორი ტიპისაა: დახურული და ღია. დახურული გამონამუშევრების ანუ წოლხვრელების მიმართულება ჩვეულებრივ მადნის შემცველ ქანებს მისდევს, ან, იშვიათ შემთხვევაში, ფუჭი ქანების გადაკვეთით, უახლოესი მანძილით შედის მადნით მდიდარი ძარღვების კვანძებში და შემდეგ იტოტება. წოლხვრელების უმრავლესობა ფუჭი ქანების ნაყარიტაა ამოვსებული და ამიტომ მათი ზუსტი ზომისა და ურთი-

³ იხ. გ. გობეჯიშვილი, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 262.

⁴ გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ლებთან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 3, თბ. 1952 წ. გვ. 184—185.

⁵ ადგილზე დამატებითი ცნობების მიწოდებისა და დაზვერვების დროს გაწეული პრაქტიკული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვანხსენებთ ჩხალთის გეოლოგიური პარტიის უფროსს ვახტანგ დუმბაძეს და უბნის უფროსს აკაკი პირეულს.

ერთ მიმართების დადგენა ხშირად შეუძლებელი ხდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მიხედვით ზოგიერთის სიგრძე 56 მეტრს მაინც ჭარბობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაშკატარას ერთ-ერთი გამონამუშევარი ორი იარუსისა და ოთხი ტოტისაგან შედგება,



გამონამუშევრების განლაგების რუკა.



ბაშკატარა, (მღვიმეში შესასვლელი აღნიშნულია ისრით)



სამუშაო იარაღები.

რაც გვანიშნებს ცალკეულ ადგილებში რთული წოლხვრელების არსებობას.

საგანგებო ყურადღებას იქცევს იმავე ბაშკაცარაზე მიკვლეული ერთი ვრცელი მღვიმე. გარედან იგი მოგვაგონებს შვეულ კლდეში გამოკვეთილ მცირე გამოქვაბულს (ტაბ. II); მისი შესასვლელი ხერელის განივკვეთი დაახლოებით $3 \times 2,5$ მ უდრის. მღვიმის მაქსიმალური სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, შესაბამისად 43, 12 და 14 მ აღწევს. მღვიმის კედლებში, სხვადასხვა სიმაღლეზე, მადნის ძარღვების გაყოლებით, მეტნაკლები ზომის ერდო-ხერელებია შექრილი. სიღრმეში იატაკი მნიშვნელოვნად დაქანებულია და ფუჭი ქანების სქელი ნაყარითაა დაფარული. ეს ნაყარი მხოლოდ ნაწილია მადნის მონგრევის დროს დაგროვილი ფუჭი ქანებისა, რომელიც უმეტესად მღვიმის გარეთაა გატანილი და შესასვლელის ქვემოთ მისგან ვეებერთელა ყრილია წარმოქმნილი.

ღია, ანუ კარიერის ტიპის გამონამუშევრებიდან მხოლოდ ერთი დიდი მოცულობის ფარდული დავათვალიერეთ. იგი შხაბზიაზე მდებარეობს. დანარჩენები კლდეში ამოკვეთილ მომცრო ზომის ორმო-ღრმულებს წარმოადგენს, რომელთა გარკვეული ნაწილი, ალბათ მადნის ძარღვის სიმძლავრის დასადგენი საძიებო ხერელებია. ღია და დახურული გამონამუშევრები შერეულად ერთსა და იმავე მიკრო უბნებში მდებარეობს და მათი გავრცელების სხვა რაიმე კანონზომიერება შენიშნული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული სამთომადნო წარმოების ძეგლების დაზვერვის დროს ნაპოვნია მნიშვნელოვანი რაოდენობის ნივთიერი მასალები: ქვის უროები და ხელკვერები, ხის ძელები. მადნის წილები. ხის ნახშირი და სხვა. წამოვიღეთ აგრეთვე მადნის ნიმუშები, ლაბორატორიული წესით მათი ქიმიური შედგენილობის დასადგენად.

იარაღები დამზადებულია საგანგებოდ შერჩეული ქვის მაგარი ქანებისაგან (გრანიტი, გაბროდიაბაზი და სხვა). ისინი სხვადასხვა ზომა-წონისა⁶ და მოყვანილობისა არიან (ტაბ. III). გაირჩევა ცალკვრდღაბრტყელებული, მრგვალი, მოკლე და წაგრძელებული უროები, რომლებსაც კარგად ეტყობათ ხის ტარზე თოკით ან თასმით დასამაგრებელი გარდიგარდმო თითო დარი (ჭირჭალი). მრგვალგანივკვეთიან იარაღებს იგი უწყვეტად შემოუყვებათ, ბრტყელგვერდიან ნიმუშებს კი ამოღარული აქვთ მხოლოდ მომრგვალებული წიბოები. ქვის უროები და ხელკვერები, მსგავსად ზემო რაჰის მონაპოვრებისა, აქაც მაგარი ქანების დასანგრევად და მად-

⁶ მაქსიმალური სიგრძე — 0,22 მ, წონა — 0,5 კგ-დან 2,6 კგ-მდე.

ნის საფხვენელად არის განკუთვნილი. მათ უმრავლესობას კარგად ეტყობა ხანგრძლივი გამოყენების კვალი. ქვის იარაღების განსხვავებული ზომა-მოყვანილობა განპირობებულ უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული თავისებურებებით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ქვის იარაღების აღმოჩენის შემთხვევები აფხაზეთისა და რაჭის გარდა, კავკასიის სხვა ადგილებიდანაც არის ცნობილი და მათი ფუნქციონალური მნიშვნელობა, ცალკეული ავტორების მიერ, სხვადასხვა მადნეულის შემცველი მაგარი ქანების ნგრევის პროცესთანაა დაკავშირებული. ამ მონაპოვართაგან საგანგებო ყურადღებას იქცევს იმავე დასაყვამთ კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, მდ. ყუბანის სათავეებში ნაპოვნი ქვის ხელკვერი,⁷ რომელიც ჰგავს შხაბზიაზე აღმოჩენილ ზოგიერთ იარაღს (ტაბ. III—6). ჩრდ. კავკასიური იარაღი, მკვლევართა სამართლიანი შენიშვნით, ლითონის მადნის მოსანგრევად არის განკუთვნილი⁸. ანალოგიური დანიშნულებისაა აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მარილის საძიებო მადაროებში ნაპოვნი ქვის უროები⁹.

აფხაზეთის ძველ მადაროებში ნაპოვნი ხის მასალებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ზომის ძელების ნატეხები, რომლებიც წოლხვრელების კედლებისა თუ ჭერის გასამაგრებლად ჩანს უპირატესად გამოყენებული, გამოიცნობა წიფლის, არყისა და ზოგიერთი წიწვიანი ხის (ნაძვი, სოჭი) ჯიშები. რაც შეეხება ხის ნახშირს, იგი ფუჭი ქანების წვრილ ნაყარშია გარეული და მადაროების იატაკის მთელ ფართობზეა გავრცელებული. რაჭის ძველ გამონამუშევრებში დამოწმებული ასეთივე მასალების შესწავლის შედეგად გ. გობეჯიშვილი ასკვნის, რომ ჩვენი წინაპარი მემთამადნენი მადნის მოსანგრევად ხმარობდნენ ცეცხლსა და წყალს. — ცეცხლით ახურებდნენ ქანებს, ზედ წყალს ასხამდნენ და ამგვარად დანაპარალებულ კლდეს ქვის უროებით ანგრევდნენ¹⁰. ეჭვი არ არის, რომ ახლად აღმოჩენილ ძეგლებში ნაპოვნი ხის ნახშირიც წარმოადგენს მადნის შემცველი ქანების გასახურებლად და ღვიმეების გასაშუქებლად დანთებული ცეცხლის ნაშთს.

ბზიფისა და კოდორის სათავეებში განლაგებული ძველი გამონამუშევრები და იქვე მოპოვებული მასალები ბევრი ნიშნით მო-

⁷ МАК. IX, გვ. 104, სურ. 62.

⁸ იქვე, გვ. 153.

⁹ Коллекции Кавказского Музея, т. V, Тифлис, 1902, стр. 192, таб. XII, № 63—87. Я. Н. Гумель, Археологическая разведка на Киликдаче, Изв. Азерб. ФАН, 1938, № 2, стр. 21.

¹⁰ გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

გვაგონებენ არქეოლოგებისათვის კარგად ცნობილ რაჭის სპილენძისა და ანთიმონის ძველ მღვიმეებსა და მათში აღმოჩენილ იარაღებს.¹¹ ასეთი სიახლოვე საფუძველს გვაძლევს, რომ აფხაზეთის ძველი სამთომადნო გამონამუშევრების ზოგად თარიღად ბრინჯაოს ხანა მივიჩნიოთ. ამ სამთომადნო საწარმოს მოქმედების დასაწყისისა თუ დასასრულის ზუსტი თარიღების დადგენა კი მხოლოდ საგანგებო კვლევა-ძიების ჩატარების შედეგად გახდება შესაძლებელი. ამ საშუალებით გაირკვევა აგრეთვე გამონამუშევრების ყველაზე აქტიური ექსპლოატაციის პერიოდი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

აფხაზეთის მთიან ზოლში ძველი სამთამადნო გამონამუშევრების აღმოჩენის ფაქტი მხარს უბამს დასავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. აფხაზეთისა და მის მომიჯნავე რაიონებში გამოვლენებულია მეტად მდიდარი ნივთიერი მასალა. რომელიც ამ მხარეში ბრინჯაოს მეტალურგიის თანამიმდევრულ განვითარებას მიუთითებს. აქ დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი არა მარტო ბრინჯაოს მრავალფერვანი იარაღ-სამკაული, არამედ სპილენძის გამოდნობა-ჩამოსხმასთან დაკავშირებული ნივთიერი ნაშთებიც. მათ შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს ალ. კალანდაძის მიერ, 1951 წ. სოხუმის მთაზე აღმოჩენილი და შესწავლილი სპილენძის სადნობი ლუმელი¹².

სოხუმის მთაზე და მის ახლო მდებარე მიდამოებში სხვადასხვა დროს ნაპოვნია აგრეთვე მეტალურგიული საწარმოს კუთვნილი სხვა მასალები: ქვის უროები, ნაყარი წიდეები, ლუმელის შენაღესი ბათქაში, თიხის ტიგელების ნატეხები, სპილენძის ზოდები და სხვა ნახევარფაბრიკატები (უტილ-ნედლეული).¹³ ანალოგიური მასალა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, როგორც უკვე ითქვა, სხვაც ბევრია ნაპოვნი, მაგრამ ამაზე სიტყვას აქ არ გავაგრძელებთ: აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სპილენძის სადნობი ლუმელის ნაშთი აღმოჩენილია მდ. ენგურის ქვემო წელზე, ენგურპესის კაშხალის მშენებლობის ტერიტორიაზე, ე. წ. მაქსონიას გამოქვაბულში.

¹¹ გ. გობეჯიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 184—186. მისივე, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები, რაქაში, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, № 6, 1966, გვ. 16—20.

¹² ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1964 წ. 1957 წ. გვ. 106. ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—66.

¹³ Б. Рухтин. Материалы к археологии Колхиды, II, стр. 278, таб. 69—3, Л. Соловьев, Диоскурия — Севастополисы — Цхум, Труды Абх. Госмузея, Вып. I.

მის სტრატეგრაფიულ კრილში დამოწმებულია მდ. ენგურის და-
ნალექი მძლავრი სტერილური შრეებით ერთმანეთისაგან გამოყო-
ფილი 3 კულტურული ფენა, რომლებში აღმოჩენილი მასალებიც
მიუთითებენ გამოქვაბულის ინტენსიური გამოყენების ქრონოლო-
გიურ დიაპაზონს ადრებრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწ. დასაწ-
ყისი), ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებამდე.

სპილენძის სადნობი ქურის ნაშთის შემცველი შუა ფენა ძი-
რითადად გვიან ბრინჯაოს ხანისაა. ამ ფენის უდიდესი სიმძლავრე
0,65 მ აღწევს და უპირატესად ლითონის წილებისა და ძლიერი
ცეცხლის ნაშთებისაგანაა წარმოქმნილი. როგორც ჩანს, აქ ხანგრძ-
ლივი დროის მანძილზე წარმოებდა ლითონის გამოდნობა. გათხრის
პროცესში გაირკვა, რომ ამ დონეზე შემორჩენილი უნდა ყო-
ფილიყო მეტალურგიასთან დაკავშირებული სხვა მასალაც, მაგ-
რამ მისი შემცველი მოედნის მნიშვნელოვანი ფართობი
სადნობი ქურის ნაწილითურთ უკვე განადგურებულია ენგურ-
ქესის შენებასთან დაკავშირებული აფეთქებისაგან.

მაქსანიას სპილენძსადნობი ღუმელი ჯერ საგანგებოდ შეს-
წავლილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ სოხუმის მთის
ზემოხსენებული ძეგლის მსგავსად, იგი ლითონის ზოდების ჩა-
მოსხმისათვისაც იყო განკუთვნილი.

დასავლეთ კოლხეთის მთასა და მთის წინა ზოლში, ზემო აღ-
ნიშნულის გარდა მიუთითებენ სპილენძის დასამუშავებელი ქუ-
რებისა და ლითონსახმელი სახელოსნოების არსებობას, რო-
მელიც თუმცა მეცნიერულად შემოწმებული ჯერ არაა, მაგრამ
ფრიად სავარაუდებელია. ამ მიმართულებით მომავალ კვლევა-ძიე-
ბას უთუოდ დადებითი შედეგები უნდა მოჰყვეს.

საკვლევ ტერიტორიაზე მეტალურგიული საწარმოების ნაშ-
თების და ბრინჯაოს მზა ნაწარმის ძლიერ ხშირი აღმოჩენის საფუ-
ძველზე ზოგიერთი მკვლევარი ადრევე ვარაუდობდა ამ მხარეში
სამთომადნო გამოანამუშევრების არსებობას. გ. გობეჯიშვილის აზ-
რით, თუმცა მის მიერ შესწავლილი ღების სამთომადნო-მეტა-
ლურგიული წარმოების ძველი კერა ისე მძლავრი იყო, რომ „მისი
პროდუქცია რაიონის სათავეების გარეთაც ვრცელდებოდა, მაგრამ
კავკასიის მეტალოგურ ზონებში სხვა კერების აღმოჩენასაც უნ-
და მოველოდეთ“.¹⁴ აფხაზეთში ძველი სამთომადნო წარმოების ძეგ-

¹⁴ გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარ-
მოების ნაშთები სოფ. ლებთან, გვ. 190.

ლთა აღმოჩენილობას ალ. კალანდაძე 1954 წ. საძიებო-არქეოლო-
გიური მუშაობის უკმარობით ხსნიდა¹⁵.

ახლა, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კავკასიის მთა-
ვარი ქედის სამხრეთ კალთაზე, სახელდობრ აფხაზეთში, სამთომად-
ნო წარმოების მეორე ძველი კერა გამოვლინდა. რაკი სოხუმის
მთაზე გამოვლინებულია მეტალურგიული წარმოების ნაშთებიც,
ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში სპილენძის მადნის
მოპოვება-გადამუშავების კერების თანაარსებობა ამჟამად უკვე
დასაბუთებული სინამდვილე გახდა.

ახლად აღმოჩენილი სამთომადნო წარმოების ძეგლების შეაწავ-
ლილობის დღევანდელ დონეზე არა გვაქვს საშუალება ზუსტად
განვსაზღვროთ მათი საწარმოო სიმძლავრე და იქ მოპოვებულ
ლითონის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები, მაგრამ ის კი
ცხადია, რომ გამონამუშევრების რაოდენობის შესახებ ზემოთ ნო-
ტანილი ციფრი არ არის სრული და საბოლოო. გამონამუშევრე-
ბის რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი უნდა იყოს, მათი გავრ-
ცელება დასავლეთ კავკასიონის სამხრეთი ფერდობის მთის წრე-
ზოლშიაც არის საგულეებელი. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს რო-
გორც სპეციალურ ლიტერატურაში დაცული საბუთები¹⁶, ისე არ-
ქეოლოგიური დაზვერვების დროს შეკრებილი ნივთიერი მასალები
და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები.

ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ბზიფისა და კოდორის ხეობებში
ამჟამად უკვე მიკვლეულ მალარობებში მოპოვებული ლითონი აღ-
გილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, უფრო
შორსაც გადიოდა. ყოველ შემთხვევაში ამ სამთომადნო კერით ნე-
ედლო ესარგებლა კოლხეთის მთისა და ბარის მნიშვნელოვან ნა-
წილს და მათ შორის ენგურის ხეობის მეტალურგებაც. ამ ვარა-
უდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, აფხაზეთის
სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღების დიდი სიახლოვე, და
მეორე მხრივ, მათი უშუალო ტერიტორიალური მეზობლობა
კოდორისა და ენგურის წყალგამყოფ ქედზე იოლად სავალი საფ-
ლელტეხილო გზების არსებობა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ
ბრინჯაოს ხანაში კავკასიელი მეტალურგები მაღალმთიანი გადა-
სასვლელებით ახერხებდნენ მკიდრო ურთიერთობას. ჩვენს ხელ-
არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ასეთი ურთიერ-

¹⁵ ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

¹⁶ Минеральные ресурсы ССР Грузии, Тифл., стр. 539—541.
В. Г. Семенин, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—116.

თობა ყუბანისპირეთისა და ენგურის ხეობის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ბრინჯაოს მეტალურგიის საწყის საფეხურებზე არის დამოწმებული. ადვილი შესაძლებელია, რომ მაქსანიას გამოქვაბულში აღმოჩენილი ლითონსაღნობი ლუმელისათვის ნედლი მასალა სწორედ აფხაზეთის მალაროებიდან მოეზიდათ¹⁷.

აფხაზეთის გამონამუშევრების სრული აღრიცხვა, გეოლოგიური აღწერის დეტალური შესწავლა და წარმოების ზუსტი მასშტაბების დადგენა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა და ამიტომ აქ სიტყვას არ ვავაგრძელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი გარემოება, რომელსაც შეეძლო გაეძლირებინა ან დაეზარალებინა მადნის მოპოვების ინტენსივობა. ამ საწარმოო პროცესის გამაადვილებლად უნდა მივიჩნიოთ გამონამუშევრების განლაგება მთავარი ქედის სამხრეთ ფერღობზე, სადაც უხვადაა მალაროების გასამაგრებელი და საწვავი ხე-ტყის მასალა. მადნის ამოღებას უთუოდ აზარალებდა: მალაროების განლაგების დიდი სიმალლით (2000 მ) განპირობებული რამდენადმე მოკლე სამუშაო სეზონი, დასახლებული ადგილებიდან მათი სიშორე. ძნელად მისაღვომი, კარსტულ რელიეფზე გამავალი სახითათო გზები, პრიმიტიული სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ფაქტორები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მადნის გამოღობის საბოლოო პროცესები და ნივთების ჩამოსხმა მკვიდრ სამოსახლო ადგილებზე წარმოებდა, ადვილად წარმოვიდგენთ სიძნელეებს, რომლებიც ახლდა მოპოვებული მადნის მეტალურგიულ სახელოსნომდე მიტანას და მის შემდგომ დამუშავებას. ამ რთული პროცედურის გამარტივების მიზნით მემთამადნენი გარკვეული სახის სამუშაოს უთუოდ მადნის კარიერებთან ახლოს ატარებდნენ. სოხუმის მთაზე აღმოჩენილი სპილენძის საღნობი ლუმელის განხილვასთან დაკავშირებით ალ. კალანდაძე იმოწმებს უძველესი მეტალურგიის ევროპელ მკვლევარებს კ. ცმოკეს და ე. პრეიშენს, რომლებიც მადნის გამოღობამიღების შემდეგნაირ წესს ვარაუდობენ: ჯერ წარმოებდა ერთად თავმოყრილი მადნის გამოწვა, ხოლო შემდეგ გამომწვარი მადნის ორგზის გამოღობა. პირველი დნობა ხდებოდა საღნობ ლუმე-

¹⁷ ზემოაღნიშნული ვარაუდები, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავენ სვანეთსა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ძველი სამთომადნო ძეგლების აღმოჩენის შესაძლებლობას, პირიქით, საამისოდ მეტად სიამელო არგუმენტებიც მოგვეპოვება, მაგრამ წერილის რეგლამენტის სიმციროს გამო ამჯერად ამაზე არ ვილაპარაკებთ.

ლებში და ამრიგად მიიღებდნენ შტეინის, უკანასკნელი დნობა კ შესაძლებელია ტიგელებში და მაშინ მიიღებდნენ სპილენძს.., რომელიც გამოიყენებოდა ნივთის ჩამოსასხმელად¹⁸.

ა. იესენის მოსაზრებით, აღრეულ ხანაში ა/კავკასიის მეტალურგები სპილენძის მისაღებად მიმართავდნენ ე. წ. „აზიურ წესს“, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნემდე მიაღწია. ავტორი ფიქრობს, რომ შტეინის და სპილენძის მიღებას წინ უძღოდა მადნის ხანგრძლივი და მრავალჯისი გამოწვა დნობის დამაბრკოლებელი გოგირდის მოსაშორებლად¹⁹.

გ. გობეჯიშვილმა, რაჭის სამთომადნო წარმოების ძეგლების შესწავლის საფუძველზე ნათელჰყო, რომ ჯერ ტარდებოდა მონგრეული მადნის პირველადი მექანიკური გამდიდრება, ანუ მადნისათვის ფუჭი ქანების მოცილება, შემდეგ მისი მიტანა საწვავი მასალით მდიდარ ტყის ზოლში, ბოლოს გამოწვა და საგანგებო ღუმელებში გამოდნობა²⁰.

აღ. კალანდაძის მოსაზრებით, სოხუმის მთის სპილენძსადნობი ღუმელი ლითონის წარმოების ხანგრძლივი პროცესისთვის, ე. ი. შტეინისაგან სპილენძის ზოდებად ჩამოსხმისა და შემდეგ პროდუქციის დასამზადებლად იყო განკუთვნილი²¹. ანალოგიური დანიშნულება უნდა მიეანიჭოთ მდ. ენგურის ხეობაში აღმოჩენილ სპილენძის სადნობ ქურასაც.

ნიშანდობლივია, რომ რაჭის მსგავსად ბაშკაცარაზე და შხაბ-ზიაზე მოხილული ფუჭი ქანების ზოგიერთი ნაყარი, სწორედ პირველადი გამდიდრების პროცესში ჩანს წარმოქმნილი, ამასთან ყურადღებას იქცევს გეოლოგ ა. პირველისაგან მიღებული ცნობა და ნაწილობრივ ჩვენს მიერ დამოწმებული, კლდეზე გადასხმული ნალვენთები, წიდეები, ძლიერი ცეცხლის კვალი და სხვა ნიშნები, რომლებიც ბაშკაცარაზე მადნის გამამდიდრებელი ქურის არსებობას გვანიშნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ. რომ ბზიფისა და კოდორის სათავეებში შემონახულია სპილენძის (შესაძლოა აგრეთვე სხვა ფერადი ლითონების) მომპოვებელი სამთომადნო წარმოების კერა, რომელიც რაჭის შემდეგ, მეორე უძველესი

¹⁸ H. Zschocke und E. Preuschen. Das urzeitliche Bergbagggebiet von Mühlbach—Bischofshofen. Materialien zur Urgeschichte österreichs, 6. Wien, 1932, s. 106.

¹⁹ A. A. Нессен. Л. Н. Лев. К истории горного дела, СА, № 1. 1935, стр. 304.

²⁰ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

²¹ ა. კალანდაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

საწარმოო კულტურის ძეგლია საქართველოში. ამ ძეგლის სათანადო გამოკვლევა საქართველოს არქეოლოგებისა და სამთამაღნო წარმოების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა საპატიო მოვალეობაა.

ს. გოგიტიძე, ნ. ვაშაქიძე, ა. ინაიშვილი,
ა. კახიძე, ლ. ჩხეიძე, დ. ხახუტაიშვილი

ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები

საანგარიშო წელს ბათუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ¹ აწარმოა დაზვერვები ქვის ხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით. ქობულეთის რაიონის სოფ. ჯიხანჯურში (მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპირო) მიკვლეული იქნა ადრენეოლითური ხანის სადგომი, რომელიც მასალების ხასიათის მიხედვით სიახლოვეს იჩენს სოფ. ქობულეთის, ხუცუბნისა და კვირიკეს თანადროულ სადგომებთან.

წინასწარი სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოები განხორციელდა ბათუმის რაიონის სოფ. მახვილაურში, სადაც ჯერ კიდევ 1968 წელს ზედაპირულად შეგროვებული იქნა ნეოლითური ხანის მასალები. საანგარიშო წელს კოლმეურნის, სახლის სამშენებლო მოედნის მომზადებისას აღმოჩნდა ნეოლითური ხანის მრავალფეროვანი მასალა: კაყის, ობსიდიანის, რიყის ქვის და ბაზალტის იარაღები (საფხეკები, საზოკები, დანები, გეომეტრიული ფორმის იარაღები, სათლელები, ცულები, ქვის თოხები, სალესები, ქვის საწაფები, ხელსაფქვავეები, შურღულის ქეები და ა. შ.).

ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ტერიტორია გამოყენებული ყოფილა სამაროვნად. შესწავლილია 13 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. მოპოვებულია: ბრინჯაოს სამკაულები, შუბის პირი, ანტიმონის, სარდიონისა და მინის მძივები.

ძირითადი სამუშაოები წარმოებდა გონიოს (აფსაროსის) შიდაციხის ტერიტორიაზე. სარესტავრაციოდ მომზადებული იქნა გვიანფეოდალური ხანის საინტერესო კონსტრუქციის მქონე საკმაოდ კარგად დაცული აბანო. როგორც ჩანს, აბანო აგებულია თურქთა

¹ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ა. ინაიშვილი (ხელმძღვანელი), დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე, ლ. ჩხეიძე, ს. გოგიტიძე, ნ. ვაშაქიძე, ნ. შევარდნაძე (ფოტოგრაფი), ა. ჭაველიძე (მხატვარ-არქიტექტორი), გ. სეიდიშვილი (მძღოლი).

ბატონობის ხანაში. საძირკველად გამოუყენებიათ რომაული ხანის (?) უფრო დიდი ზომის ნაგებობის კედლები. გამოვლენილია ამ შენობის კედლის კონტურები. აბანოს კედლებში დატანებულია თიხის მილები ცივი და ცხელი წყლისათვის. ერთ-ერთ სათავსში შადრევნის არსებობაც დასტურდება.

აღნიშნულ ნაგებობათა ახლოს, დასავლეთით, შენიშნული იქნა მეორე აბანოს კედლის კონტურები და საცეცხლური; აუცილებელია ამ ნაგებობის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა. გათხრებისას მრავლად ჩნდებოდა სხვადასხვა დროისა და დანიშნულების კერამიკული ნაწარმი, აგრეთვე, მიწის ჭურჭლების ნატეხები.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე საკონტროლო თხრილების საშუალებით გამოვლენილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რთულ სისტემათა ცალკეული მონაკვეთები.

შიდაციხის ცენტრალურ ნაწილში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილ იქნა ქვის მოზრდილი ბაზა (145 სმ X 125 სმ X 60 სმ). რომლის ირგვლივ ხშირად ჩნდებოდა ე. წ. სოლენის ტიპის კრამიტის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. თითქმის მთლიანადაა დაცული ადრეფეოდალური ხანის წელშეზნეკილი ამფორა.

1969 წლის მუშაობის საყურადღებო მონაპოვარი იყო იმის დადგენა, რომ გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის ქვეშ წარმოდგენილია საქართველოს შავიზღვისპირეთის დიუნური ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი მასალა.

ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაგრძელდა გორანამოსახლარ „ნამჭედურის“ სტრატეგრაფიული კრილის შესწავლა. მე-4 და მე-5 კულტურულმა ფენებმა მოგვცა ძვ. წ. II ათასწლეულის კოლხური გორანამოსახლოებისათვის დამახასიათებელი მასალები: მდიდრულად შემკული და მაღალი გემოვნებით ნაკეთები თიხის ჭურჭლის ნატეხები, ადრეული რქისებრი სადგარები, ბადის საძირაკებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები, კვირისტავები და ა. შ.

ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიაძე,
ვ. თოლორაშვილი, ა. ზუგდიდი

არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს

საანგარიშო წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე განაგრძობდა.

კარიბჭის აღმოსავლეთით გრძელდებოდა ძვ. წ. II—I სს. ნაგე-

ბობათა და კულტურული ფენების შესწავლა. გაგრძელდა, აგრეთვე 1966-67 წლებში გამოვლენილი ძვ. წ. II ს. მოზაიკურიატაკიანი ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე მონაკვეთის შესწავლა, მთლიანად გაიწმინდა ტაძრის აღმოსავლეთის კედელი და მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ტაძრის აღმოსავლეთით, მისგან 80 სმ-ის დაცილებით აღმოჩნდა თირში ამოკვეთილი საძირკველი ნაგებობისა, რომელიც ტაძარზე ადრე ყოფილა აგებული და ძველადვე დანგრეულა. მისი სიგრძე 9 მ-ია, სიგანე კი ჭერჭერობით არაა ცნობილი. შენობას შეღებილი კედლები ჰქონია — აღმოჩნდა წითლად, ლურჯად, შავად



თხრილის ხედი.

და ყვითლად შეღებილი ბათქაშის ნატეხები. ამ ნაგებობას დაუზიანებია ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენა, რომელიც მრავლად შეიცავს კოლხური თიხის ჭურჭლის ნატეხებს.

ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა ცენტრალურ ტერასზე, სადაც აღმოჩენილია ძვ. წ. III—I სს. ნაგებობანი და გალავნის კედლები.

თითქმის მთლიანად დასრულდა „მრგვალი ტაძრის“ არქეოლოგიური შესწავლა. აღდგინდა მშენებლობის ორი ძირითადი საფეხური. თავდაპირველად (ძვ. წ. IV ს. დასასრული, III ს. დამდეგი) ნაგებობა იყო სწორკუთხა (11 მ X 10 მ) და ამოყვანილი იყო შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული სწორკუთხა ფილებით. უფრო გვიან (ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარში) სწორკუთხა შენობის საძირკველზე ამოყვანილია მრგვალი ნაგებობა (ტაძარი). სტრატეგრაფიული მონაცემებით, მრგვალ შენობას დასაწყისში დასავლეთი მხრიდან თირის ქვებით მოგებული მისასვლელი ჰქონია, რომელიც ძვ. წ. II—I სს. მოზაიკური იატაკით შეუცვლიათ. მრგვალი ტაძარი ძვ. წ. I ს. შუა ხანებშია დანგრეული (კარიბჭის ხუროთმოძღვრულ კომპლექსთან ერთად). მის ნანგრევებზე მიწა დაუყრიათ და შემდეგ სასწრაფოდ აუგიათ გალავნის კედელი, რომელიც, აგრეთვე სულ მალეა

დანგრეული (ძვ. წ. I ს. შუა ხანებში). ქალაქის ცხოვრების ამ უკანასკნელ ეტაპს ეკუთვნის აგრეთვე „მრგვალი ტაძრის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით და მის ნანგრევებზე ამოყვანილი ნაშთები გვეგმით მრგვალი წყობისა. ძვ. წ. II—I სს. კედლის ნაშთები გამოვლინდა აგრეთვე ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში მოპოვებული მასალა ძირითადად წინა წლების ანალოგიურია (კოლხური ქვევრებისა და ამფორების ფრაგმენტები, წითლადმოხატული ჭურჭლის ნატეხები. შავი და წითელლაკიანი კერამიკა, როდოსისა და სინოპეს ამფორათა ფრაგმენტები). საგანგებოდაა აღსანიშნავი თეთრი კირქვისაგან გამოკვეთილი კედლის მოსართავი ჰიდრია (მსგავსი 1966 წელს აღმოჩენილისა) და პატარა ჭურჭელი.

საანგარიშო წელს ვრცელ ფართობზე განხორციელდა წინარე-ელინისტური (ძვ. წ. VI—IV სს.) და უფრო ადრეული ფენების შესწავლა. ამ ხანის კულტურული ფენები მერმინდელ მშენებლობათა მიერაა ძლიერ დაზიანებული, ამიტომაც ძვ. წ. VI—IV სს. კულტურულ ფენაში წარმოდგენილია კოლხური კერამიკის ყველა ძირითადი ტიპი (ქვევრები და ღერგები, ყურმილიანი დოქები, მაღალფეხიანი და კონუსისებრძირიანი სასმისები, ირიბკალთიანი ბრტყელძირა ჯამები). გვხვდება რამდენიმე ფრაგმენტი იმპორტული კერამიკისაც (ძირითადად V ს-ის ანტიკური შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები). საგანგებოდაა აღსანიშნავი საკმაოდ ადრეული (ძვ. წ. VII ს. დასასრული თუ VI ს. დასაწყისი) როდოსური კილიკის მცირე ზომის ფრაგმენტი.


აღნიშნული კულტურული ფენების შესწავლისას აღმოჩნდა სამი სამარხი. პირველი სამარხი ე. წ. 17 მეტრიანი კედლის საძირკვლის ქვეშაა ნაპოვნი. სამარხი ორმო (4 მ X 2 მ) ამოკვეთილია კლდოვან დედაქანში (თირში), რომელშიც მდგარა ხის სარკოფაგი (შემორჩენილია რკინის ლურსმნები) და ზემოდან გადახურული ყოფილა მიწითა და ქვაყრილით. ეს სამარხი წარჩინებული მეომრისაა (დაკრძალულია თავით ჩრდილოეთისაკენ). სამარხი სამი მხრიდან შემორაგული იყო სხვადასხვა ზომის მასრიანი რკინის შუბისპირებით (მათი საერთო რაოდენობა 50 აღწევს). სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე რკინის მახვილი და სატევარი, რკინის ფარის ფრაგმენტები, ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. მეომრის ქვედა კიდურებს ფარავდა ბრინჯაოს „საწვივე“ და „საბარკული“.

საკმაოდ მდიდრულია მეომრის სამკაულიც. თავსაბურავი, როგორც ჩანს, შედგებოდა ცხენოსნისა და მასზე მირჩილული ფრინველების ოქროს ფიგურებისაგან (15 ც.), ჰქონდა, აგრეთვე, ოქროს მთვარისებრი საკიდები, ოქროს საყურე (1 ც.), ოქროსა და ვერცხ-



სამკაული ვანიდან.

ლის სამაჯურები, ოქროს, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები (ოქროს საბეჭდავ ბეჭედზე ამოკვეთილია სახელი — „დედატოს“), ოქროსთავიანი სალესი ქვა. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა აგრეთვე ფილიპე II მაკედონელის ოქროს სტატერი (ძვ. წ. 359—336 წწ.), ბრინჯაოს ლანგარი, ანტიკური შავლაკიანი კილიკი (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრისა), კოლხური თიხის ჯამი, წითლადმოხატული დოქი და ამფორა (ე. წ. სოლოხა I ტიპისა).



სამკაული ვანიდან.

მეომრის ფერხთით დასვენებული იყო კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცისა). საფიქრებელია, რომ ისინი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები (ისინი თითქმის ყოველგვარი სამკაულის გარეშე იყვნენ ძაღლის ჩონჩხზე დასვენებული). ფიქსირებულია, აგრეთვე, ხის ბორბლის ანაბეჭდი. იქვე კუთხეში იდგა ხუთი ამფორა: ორი ე. წ. სოლოხა I ტიპისა, ორი — კოლხური და ერთი სინოპური, რომლის დამლა განეკუთვნება სინოპური დამღების პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ. წ. 370—320 წწ.) მეორე ქვეჯგუფს.

მთელი ეს სამარხეული კომპლექსი, ამრიგად, ფილიპე II მაკე-

დონელის ოქროს სტატერით, შავლაკიანი კილიკითა და ამფორაზე შემორჩენილი დამლით საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის დასაწყისით.

რამდენადმე უფრო გვიანდელი უნდა იყოს იქვე ახლოს ნაპოვნი მეორე სამარხი (ბავშვის სამარხად მიჩნეული), რომელიც, აგრეთვე, თირშია ამოკვეთილი (1,40 × 0,8 მ). სამარხში ნაპოვნია ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ოქროსა და ბრინჯაოს (თუ ვერცხლის?) სამაჯურები, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდები, პასტის მძივსაკიდები, კოლხური ლეგად გამოძწვარი და გაპრიალებული ყელმადალი დოქები, ცალყურა ქოთანი, წითლად მოხატული დოქი (მეომრის სამარხში ნაპოვნის ანალოგიური) და მუცელგამობერილი სანელსაცხებლე.

მესამე სამარხი ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. სამარხი ორმო (3,10 × 3,40 მ) კლდოვან დედაქანშია ამოჭრილი. ხის სარკოფაგისაგან შემორჩენილია მხოლოდ რკინის დიდი ზომის ლურსმნები, მაგრამ შესაძლებელია მისი ზომების სავარაუდებელი აღდგენა (სიგრძე — 3,10 მ, სიგანე — 2,25 მ, სიმაღლე — 1,50 მ). სარკოფაგის გარეთ აღმოჩნდა საკმაოდ კარგად შენახული ცხენის ჩონჩხი, აგრეთვე რკინის ლავის ძლიერ დაქანგული ნაშთები. სამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხის ნაშთები აღმოჩნდა, მათგან ერთი (ყველაზე ცუდად შენახული) ძალზე მდიდრულად დაკრძალული ქალისაა.

მიცვალებულის თავთან (სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ) ელაგა იმპორტული (ბერძნული) ბრინჯაოს ენოხოია და პატერა, რომლის ტარი კუროსის ტანს წარმოსახავს, თიხის ორყურა სანელსაცხებლე, ვერცხლის სფერული ჭურჭელი, რომლის ტანი შემკულია ენების ორნამენტით და ფანტასტიურ არსებთან გრავირებულ გამოსახულებიანი სარტყელით. კოლხური ბრინჯაოს მცირე ზომის (სიტულის ფორმის) ჭურჭელი, რომლის ძირი სვასტიკის, ხოლო სახურავი ცხოველთა გრავირებული გამოსახულებითაა შემკული, აგრეთვე ბერძნული ვერცხლის სარწყულა, რომლის ყური სფინქსის, ხოლო მის ქვემოთ ვერძის სკულპტურული გამოსახულებებითაა შემკული, აგრეთვე, ბერძნული ვერცხლის მაღალფეხიანი კილიკები (2 ც.) ე. წ. ფინიკიური მინის თასები (2 ც.) და მოზრდილი შავპრიალა კოლხური დოქი (ტალღოვანი ორნამენტით შემკული).

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხ კოლხურ თიხის ჯამს და ერთ ანტიკურ, მაღალფეხიან შავლაკიან კილიკზე ელაგა საქონლისა და ფრინველის ძვლები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — დიდი კოლხური ბრინჯაოს სიტულები (ერთი მათგანის ძირზე სვასტიკაა გამოსახული).

ქალის სამკაული თითქმის მთლიანად ოქროსი და ვერცხლისაა. თავს უშვობდა ოქროს დიადემა, რომლის გრებილი რკალი რომბისებრი ფირფიტებით და შესაკრავი კაეებითაა დაბოლოვებული. ამ ფირფიტებზე ამოტვიფრულია ორ რიგად განლაგებული ცნოველთა ბრძოლის სცენები: ერთზე — ლომები გლეჯენ ზურგზე განრთხმულ ხარს, ხოლო მეორეზე კი წინა ფეხებზე წამოჩოქიდ ჯიხვს (?). თავის არეში აღმოჩნდა და თავსამკაულის ნაწილებს წარმოადგენს მსხლისებრი საკიდებისა და ტანდალარული მძივების მონაცვლეობა, ოქროს სხივანა სასაფეთქლეები, რომლის რგოლს ვარდულა ამკობს, ხოლო სხივებს კი ცვარათი შედგენილი პირამიდები და ჩიტის მინიატურული გამოსახულებანი. იქვეა ნაპოვნი ე. წ. ჰვირულბურთულანი საყურეები და მშვილდსაკინძი, აგრეთვე ოქროს ღერო (ზოდი?).

აღმოჩენის პირობების საფუძველზე აღდგენილია 5 სხვადასხვა ყელსაბამი: პირველი შედგება კუს გამოსახულებებიანი საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან, მეორე — ჩიტის გამოსახულებიანი საკიდებისა და წვრილი ტანდალარული მძივებისაგან, მესამე — ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისა და წვრილი ტანდალარული მძივებისაგან, მეოთხე — სიმინდის ტაროსებრი საკიდებისა და წვრილი და საშუალო ზომის ტანდალარული მძივებისაგან, მეხუთე — დოლისებრი საკიდებისა (ცვარათი გამოყვანილი სვასტიკებითა და სხვა გეომეტრიული სახეებით შემკული) და მსხვილი ტანდალარული მძივებისაგან. შესაძლოა მასვე ეკუთვნოდნ ქარვის სწორკუთხა მძივები. საერთოდ კი საფიქრებელია, რომ ოქროს საკიდებთან და მძივებთან ერთად ყელსაბამებში მონაცვლეობდა ფერადი პასტისა და სარდიონის მძივსაკიდები, იქვე რომაა მრავლად ნაპოვნი.

დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, აგრეთვე, ვერცხლის მილაკები და სადა სფერული მძივები, სხვადასხვაგვარი საკიდები (დაცვარული ბიპირამიდული, დალარული, ტანის მინიატურული გამოსახულებანი).

მაჯებთან აღმოჩნდა სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ტანის გამოსახულებით, ხოლო მეორე — ვერძის თავებითაა შემკული. სამაჯურებთან ერთად, როგორც ჩანს, მკლავს (იდაყვს ქვემოთ) ამკობდა ოქროსა და სარდიონის მძივები. იქვეა ნაპოვნი ხუთი ბეჭედი, რომელთაგანაც ერთი ფარაკიანია და საბეჭდავს წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ სარტყლის მოსართავს წარმოადგენდა არწივის ოქროს ორი გამოსახულება, რომელთაც უთუოდ ჰერალდიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

მიცვალებულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს დილაკებით და მილაკზე ასხმული. სამკუთხა ორნამენტირებული ფირფიტებით იყო გაწყობილი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის ოქროს სამკაული ხასიათდება მკაცრი სტილისტური ერთიანობით, ამასთან მხოლოდ კოლხეთისათვის ჩვეული ფორმებით (დიადემა, საყურეები და სხვ.) და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით გენეტური კავშირი უფრო ადრე ვანშივე ნაპოვნ შედარებით გვიანდელ სამკაულებთან სრულიად უცილობელს ხდის მათ ადგილობრივ წარმოშობას.

მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით (სამარხი ორმოს ძირის დონეზე) აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭლები (ამჟამად აღდგენილია): დიდი ზომის ორყურა ბრტყელძირიანი ჭურჭლები (წნეხვით გამოყვანილი ზოლებით შემკული). სხვადასხვა ზომის ნატიფი, ბიკონუსური ფორმის ცალყურა და უყურო შევპრიალა ჭურჭლები (ორნამენტი — ტალღოვანი, ირიბი ჭდეებით), ყურმილიანი დოქი.

მეორე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის ორი დიადემა ერთად (!), ოქროს სხივანა საყურეები, პასტის სხვადასხვა ზომის მძივსაკიდები, ვერცხლის ბრტყელი სამაჯურები (სპირალისებრი ორნამენტით შემკული), მესამეს — ვერცხლის დიადემა, ოქროს სხივანა საყურეები, ყელსაბამი — ოქროს და პასტის მძივებისაგან შემდგარი. მეორე და მესამე მიცვალებულებს შორის აღმოჩნდა ვერცხლის კოვზი (სფინქსის სკულპტურული გამოსახულებით შემკული).

მეოთხე მიცვალებულს მხოლოდ ოქროს ერთადერთი საყურე აღმოაჩნდა.

სამარხში ნაპოვნი იმპორტული ნივთების ერთი ნაწილი ძვ. წ. V ს. 70-იანი წწ. თარიღდება (ანტიკური შავლაკიანი და ვერცხლის კილიკები), ხოლო ზოგიერთი — V ს. 80-იანი წლებით (ბრინჯაოს პატერა), მაგრამ რიგი მომენტების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ სამარხი არ უნდა ეკუთვნოდეს ძვ. წ. V ს. შუა ხანებზე ადრეულ პერიოდს.

ნ. კილურაძე

არქეოლოგიური გათხრები სოფელ დაფნარში

ვანის არქეოლოგიური-ექსპედიციის დაფნარის რაზმი 1969 წელს ძირითადად ორი მიმართულებით განაგრძობდა არქეოლოგი-

ურ კვლევა-ძიებას, რის შედეგად დადგინდა სამაროვნის საზღვრები და მიკვლეული იქნა თანადროული ნამოსახლარები.

სამაროვანს უჭირავს სოფელ დაფნარის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი როგორც გორაკები და მათი კალთები, ისევე ვაკე ადგილებიც. სამაროვნის ბუნებრივ საზღვარს სამხრეთიდან და დასავლეთიდან წაბლარის ღელე წარმოადგენს, ჩრდილოეთიდან — რიონის ველი, სადაც ქვევრსამარხების არსებობის ფაქტი ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. აღმოსავლეთით სამაროვნის საზღვარს წარმოადგენს დაფის გორის აღმოსავლეთი განშტოებები ჩაის პლანტაციებამდე. ამგვარად, სამაროვანს საკმაოდ მოზრდილი, დაახლოებით 50 ჰა ფართობი უჭირავს. სამაროვნის სხვადასხვა ნაწილში გავლებული იქნა ოცი 1 მ X 1 მ ზომის საძიებო შურფი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა შემდეგი გარემოება: სამაროვანზე ქვევრსამარხები ძირითადად განლაგებულია ბუდეების სახით, ჯგუფებად. ასეთ შემთხვევაში სამარხები ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებს ეკუთვნის. ხშირ შემთხვევაში, ასეთი საგვარეულო სამარხები ერთმანეთისაგან საკმაოდ მანძილითაა დაშორებული. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სამაროვნის ტერიტორიის დიდი ნაწილი მომდევნო პერიოდში დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა და ამის გამო ქვევრსამარხები სისტემატურად ნადგურდებოდა. განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ეს გარემოება დაფის გორის დასავლეთი განშტოებების ჩრდილოეთ კალთებზე. ამჟამად აქ, მაღლობის თავზე სოფლის სასაფლაოა, ხოლო კალთებზე ყანები და ვენახებია. საძიებო თხრილებმა გვიჩვენა, რომ ქვევრსამარხების ფენა აქ უკვე ზედაპირზე მოქცეულა. ანაკრედ მასალაში დიდი რაოდენობით გვხვდება ქვევრებისა და სხვა კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, მათ შორის სინოპური და ე. წ. სამხრეთბონტური ამფორების ნატეხები, რომლებიც შესაძლოა დანგრეულ ქვევრსამარხებს უკავშირდებიან.

ა. სიმონიას საკარმიდამო ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ვანისკენ მიმავალ გზასა და სოფლის სასაფლაოს შორის, გავლებული იქნა 8 მ X 1 მ ზომის ტრანშეა, რომელმაც არ დაადასტურა ხელუხლებელი კულტურული ფენის არსებობა. აქ, 40 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ობსიდიანის მიკროლითი, იქვე ზედაპირზე კი ობსიდიანის საჭრისის ნატეხი. ტრანშეამ მოგვცა შემდეგი ხასიათის სტრატეგრაფიული კრილი:

1) 40 სმ სისქის შავი ფერის მიწის ფენა. აქ აღმოჩნდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ორი ნატეხი, ქვევრის ძირის ფრაგმენტი და უსახო კერამიკული ჰურჭლის ფრაგმენტები. ეს ფენა

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს მრავალჯის ყოფილ-
გადაბრუნებული.

2) ღია ყავისფერი თიხნარი ფენა, რომლის ზედა ნაწილში
გვხვდებოდა კერამიკის მცირე, უსახო ნატეხები. შემდეგ მოდიოდა
იმავე მიწის ერთგვაროვანი ფენა, ყამირი, რომელიც არავითარ მა-
სალას არ შეიცავდა და რომელიც დედაქანი უნდა იყოს. ტრანშეის
სიახლოვეს აკრეფილი იქნა ალიზისა და ბათქაშის ფრაგმენტები,
რაც ძველი ნამოსახლარის სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს,
თუმცა შესაძლებელია კრამიტი ქვევრსამარხთანაც იყოს დაკავში-
რებული (კრამიტი ჰქონდა აფარებული ძვ. წ. III ს. დათარიღე-
ბულ ჰორიზონტალურად ჩაწვენულ №32 ქვევრსამარხს).



ქურჭელი დაფნარიდან.

საანგარიშო წელს გათხრილი
იქნა შვიდი ქვევრსამარხი (№ 26—
№ 32), რომლებიც თანმხლები
ინვენტარით ძვ. წ. IV—III სს. თა-
რილდებიან. განსაკუთრებით უნი-
კალურია ქვევრსამარხი № 31. სა-
მარხი აღმოჩნდა დაფის გორის და-
სავლეთ კალთების შუა ტერასა-
ზე გავლებულ ერთ-ერთ შურფში.
მის სიახლოვეს სხვა ქვევრსამარ-
ხები არ ყოფილა გამოვლენილი.
სამარხად გამოყენებული პატარა
ქვევრი, ქოცო, პირით იყო ჩადგ-
მული კირქვიან დედაქანში ამოჭ-

რილ ორმოში. ქვევრისთვის ძირი გადაუხერხავთ და შიგ შვიდ
წლამდე ასაკის გოგონა დაუკრძალავთ. ქვევრის დასავლეთ ნაწილ-
ში აღმოჩნდა თავის ქალის ნაშთები და ჩონჩხის ცალკეული ძვლე-
ბი.¹ სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოსა და რკინის თავგახსნილი სამა-
ჯურები, სასაფეთქლე რგოლები, საყურეები, წვრილფეხა საქონლის
ფლანგებისაგან შედგენილი ავგაროზი, რომელიც ბრინჯაო-ვერ-
ცხლის ზარაკებთან ერთად ყელსაბამს ქმნიდა. ვერცხლის სამკა-
ულის ნატეხები, მინის „ამფორისკისებრი“ მძივსაკიდები, ბრინ-
ჯაოს „ნახევარმთვარისებრი“ გულსაკიდი, თიხის ორი ქურჭელი.
ერთი მათგანი ყურმილიანი პატარა კოჭობია, რომელსაც გუტუსის

¹ მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები შეისწავლა ექიმმა პ. ფირფილაშვილ-
მა. მისი მონაცემების მიხედვით № 28 ქვევრში, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნით
თარიღდება, დაკრძალული იყო 40 წელს გადაცილებული ქალი, ხოლო ქვევრ
სამარხ № 32-ში მამაკაცი.

დანიშნულება უნდ ჰქონოდა. სამარხში აღმოჩნდა სელის ქსოვილის ნაშთებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ძვლისაგან გამოთლილი ცხოველის ფლოქვი, რომელიც კვერთხის თავს მოგვაგონებს. ყურადღებას იპყრობს სამარხად გამოყენებული ქვევრი ($h=52$, $d=56$), რომლის მხრები მდიდრული დეკორითაა შემკული. აქ გეომეტრიული ფიგურების ფონზე გამოხატულია ცხენების და სხვა ფანტასტიკური ცხოველების მსვლელობა. ასეთი ცხოველების გამოსახულებები ცნობილი იყო დაბლაგომსა და ვანში აღმოჩენილი ცალკეული მცირე ფრაგმენტების მიხედვით. თვალახინოა მათი არქაულობა და გარკვეული მსგავსება კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე გამოხატულ გამოსახულებებთან. აღნიშნული სამარხეული კომპლექსი ძვ. წ. IV ს. თარიღდება.

სამაროვნის თანადროული ნამოსახლარი აღმოჩნდა წაბლარის ღელედან დასავლეთით, სოფლის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში. სამოსახლოდ გამოყენებული ყოფილა ბუნებრივი გორა, რომელსაც ორი მხრიდან ხრამი საზღვრავს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „წყვეტილ გორას“ ეძახის. როგორც ჩანს, ამ ხასიათის ტოპონიმის წარმოშობა განაპირობა იმან, რომ გორა მეზობელი მდლობებისაგან, მართლაც, განცალკევებით დგას, თითქოს ხელოვნურადაა მათგან გამოყოფილი, მოწყვეტილი. აქ, სოფლის განაპირას ბიძინა ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთის ზემოთ, ტყისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, დაახლოებით 30 მ-ის გაყოლებაზე შეიმჩნევა კულტურული ფენა. აქ გავლებული იქნა 3 მ X 2 მ ზომის თხრილი, რომელსაც უნდა გაერკვია აღნიშნული ფენის ხასიათი. გათხრების შედეგად აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი: კოლხური ქვევრებისა და დერგების ვარიანტების პირ-ყელის ნატეხები. კოლხური სასმისების ძირები, ყურმილიანი დოქის, ჯამების, სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები. შედარებით მცირეა ამფორების ნატეხები. იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია შავლაკიანი კილიკის ერთი მოზრდილი და სამი მომცრო ნატეხით, ანაკრფ მასალაში შეგვხვდა წითელლაკიანი ჭურჭლის მცირე ფრაგმენტიც. ამრიგად, არსებული მასალის მიხედვით ნამოსახლარი სამაროვნის თანადროულია და შესაძლებელია ძვ. წ. V—III სს. დავათარილოთ. საძიებო თხრილმა მოგვცა შემდეგი ხასიათის სტრატეგრაფიული კრილი:

1. კორდოვანი ფენა.
2. მოწითალო იერის თიხნარი, 40 სმ სისქისა.
3. მოწითალო იერის თიხნარი, მცირე რაოდენობით შეიცავდა კერამიკის უსახო ფრაგმენტებს, 35 სმ სისქისა.

4. ნახშირნარევი ბაცი ფერის თიხნარის მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც შინაური ცხოველის ძვლებსაც შეიცავდა. 45 სმ. სისქისა.

5. დედაქანი — თირის მსგავსი კლდის ნამტვრევი ქვები.

წყვეტილი გორის ნამოსახლარი ზემოდან გადაჰყურებს სამაროვანს. რომელიც მისგან დასავლეთით მდებარეობს. საზღვარს აქ წაბლარის ღელე წარმოადგენს. მეორე ნამოსახლარი მიკვლეული იქნა დაფის გორის აღმოსავლეთით, მადლობების რიგის გაგრძელებაზე, კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციასთან. პლანტაციის გამო ნამოსახლარის დიდი ნაწილი თითქმის განადგურებულია. მიუხედავად ამისა რამდენიმე ადგილას დადასტურდა ნახანძრალი ალიზის აგურის და ბათქაშის ნაყარისაგან შედგენილი ფენის არსებობა. შეგროვებულ იქნა ბათქაშის, კრამიტისა და ამფორების ფრაგმენტები. უდავოა, რომ აღნიშნულ ნამოსახლარებთან, რომლებიც შესაძლოა ერთი გვარის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, დაკავშირებულია დაფნარის ვრცელი სამაროვანი. არ არის გამორიცხული ის გარემოებაც, რომ მის გარშემო გორაკებზე გაფანტული ნამოსახლარები შეადგენდა ერთ თემს, სოფელს. რადგან სამაროვანს ეკირა მათ შორის არსებული ვრცელი და სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით გამოსადეგი ფართობი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანტიკურ ხანაში ძირითადად სახნავ-სათესი რიონის პირას იყო განლაგებული. ანტიკურ ხანაში ამ სამოსახლოებს, მათ შორის დაბლაგომის დაწინაურებას ხელს უწყობდა სავაჭრო გზების სიახლოვე. ამით უნდა აიხსნას სამაროვანზე აღმოჩენილი მონეტების, უმთავრესად კოლხური თეთრის სიმრავლე.


ჟ. ნადირაძე

საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგები

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1969 წელს გათხრები გააგრძელა საჩხერის რაიონში ციხე მოდინახის სამხრეთ ფერდობზე და სოფელ საირხეში. საირხეში ადგილ ლომინაურში გაითხარა მეტად ცუდად შემონახული მცირე ნაგებობის საძირკველი, სადაც აღმოჩნდა ფალიური საგნები და ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულების ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ კირქვისაგან გამოკვეთი-

ლი ფალიური საგნები ლომინაურში ადრეც იყო მოპოვებული და ისინი ჩვენ მივიჩინეთ კტეისისა და ფალოსის გამოსახულებად. აქ აღმოჩენილი ცხოველთა სკულპტურული გამოსახულების ფრაგმენტები მხატვრული სტილითა და ცალკეული დეტალებით სრულიად შეესატყვისება ლომინაურში შემთხვევით მოპოვებულ ლომისთავის ქანდაკებას. ფრაგმენტები ზომებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქანდაკებები ლომინაურში მრავლად ყოფილა. ნ. ლამბაშიძის კოლექციაში დაცულია ლომინაურში აღმოჩენილი კირქვისაგან გამოკვეთილი ბოძის, ან ხის ტანის ფორმის საგნები. მათი ზედაპირი შემკულია ტალღისებრი ლილვებით. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ეს დეტალები ნაყოფიერების ხის იმიტაცია არის და მათი სახით წმინდა ხის სტილიზაციის ცდასთან გვაქვს საქმე. წმინდა ხე: ფალოსი, კტეისი და ლომი, როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო, ქართულ და სხვა ძველი ქვეყნების წარმართულ რელიგიებში განუყრელად არის დაკავშირებული ნაყოფიერების კულტთან და ამდენად ნაყოფიერების ღვთაებასთან.


საირხეში აღმოჩენილი მასალების მნიშვნელობა დიდია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა ამგვარი შინაარსის შემცველ არქეოლოგიურ ძეგლებთან შედარებით, იმის გამო, რომ აქ ღვთაებისადმი კულტმსახურება დაკავშირებულია სატადრო რიტუალთან. საგნების გამოკვეთა ტრადიციულად შემუშავებულ



ბაზა, საირხე.

მხატვრულ სტილს ემორჩილება, რაც ერთგვარად ფალიური კულტის კლასიკურ სახეზე უნდა მიუთითებდეს. ასეთ მოსაზრებას განსაკუთრებით, ადასტურებს საირხეში მოპოვებული ტაძრის ფრაგმენტები. მკვლევართა ერთი ჯგუფი აღნიშნულ დეტალებს სვეტის კვარცხლბეკებად მიიჩნევს (შ. ამირანაშვილი, ი. ციციშვილი, დ. ღუმბაძე), ხოლო არქ. გ. ლეჟავას ისინი დორიული ტაძრის სვეტისთავებად აქვს წარმოდგენილი. ასეთი მოსაზრება მთლად მართებული არ ჩანს, თუნდაც იმის გამო, რომ დორიულ ორდერში, საირხელისაგან განსხვავებით, სვეტისთავები მოჩუქურთმებული

ეკინით თითქმის არ გვხვდება. ეკინმოჩუქურთმებული სვეტისთავებით გაწყობილი ტაძრის ფასადი დორიული ორდერისაგან განსხვავებულ მხატვრულ სტილს მოგვცემდა, რაც თავისთავად გულისხმობს ხუროთმოძღვრების ჩვენთვის ჯერ კიდევ სუსტად ცნობილ ახალ სინთეზს და არა დორიული ტაძრის სრულ ასლს. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს კვარცხლბეკებზე ამოკვეთილი ორნამენტი და ძალზე სტილიზებული ლომის თავის ქანდაკებები, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნების ამგვარი ნიმუშებისაგან და უფრო მეტ საერთოს პოულობენ აქემენდური ხანის მცირეაზიულ ძეგლებთან. ლომინაურში კიდევ აღმოჩნდა ქვის ერთი ფრაგმენტი. ჩუქურთმი ქარგით იგი საირხეში აღრე მიკვლეული ნახევარი ბოძის საყრდენის ზუსტ ასლს წარმოადგენს. გ. ლეჟავას მიხედვით, მისი სახით ჩვენ ხელთა გვაქვს სვეტისთავის ეკინისა და აბაკას ნაწილი. ფრაგმენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ საირხეში ლომისთავები ქანდაკების მსგავსად სვეტის კვარცხლბეკებიც მრავლად ყოფილა.



ბაზა, საჩხერე.

ლომინაურში მოპოვებული თითქმის ყველა საგანი ნამზადის საწარმოო წუნის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც გვაფიქრებინებს.

რომ ლომინაური ის ადგილია, სადაც მზადდებოდა საკულტო საგნები და ტაძრის ასაგები ცალკეული ნაწილებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე სავარაუდო ტაძარი საირხეში ისევ ლომინაურის ტერიტორიაზეა საძებნელი. ასეთი ძიების შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არსებობს იმის გამო, რომ ძეგლის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ვენახებს უჭირავს.

ლომინაურში აღმოჩენილი პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები, აღმოსავლური წითლად მოხატული კერამიკა და ბერძნული ანტიკური სახელოსნოების კურკლის ნატეხები საშუალებას იძლევა ძეგლის აბსოლუტურ თარიღად ძვ. წ. V—IV სს. მივიჩნიოთ.

მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე გათხრების დროს მთავარი ყურადღება ეთმობოდა ძეგლის სტრატეგრაფიას. ვფიქრობთ, რომ სადღეისოდ იქ დადასტურებულია სამი სხვადასხვა ხანის ნამოსახლარი ფენა. პირველი ფენა ბ. კუფტინისა და ო. ჯათარიძის მიერ საჩხერის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის მიღებული თარიღის შესაბამისად III ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს (XXV—XX სს.), მეორე ფენა კოლხური გვიანბრინჯაოს გვიან საფეხურსა და ადრეულ რკინის ხანას მიეკუთვნება (ძვ. წ. XII—VII სს.), ხოლო მესამე ფენა ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთებით ხასიათდება (ძვ. წ. VI—IV სს.).

ი. ბაბოშიძე

ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ანგარიში

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსნის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს აგრძელებდა სამადლოს ელინისტური ხანის ნამოსახლარის გათხრებს.¹

სამადლო I-ის დასავლეთ, ქვედა ნაწილში აღმოჩენილი აკლდამის აღმოსავლეთით DB, DC და EC კვადრატებში დასრულდა წინა წელს გამოვლენილი სათავსოს თიხატყეპნილი რატაკის პრეპარაცია. იატაკი აკლდამის ძირის დონიდან ორი მეტრის სიმაღლეზეა და სამხრეთიდან მოზღუდულია რიყის ქვის 0,6 მ-ის სიგანის ერთფენიანი წყობით, რომელიც, ალბათ, ალიზის კედლის სა-

¹ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ე. მაჭავარიანი, ნ. გააზე, ე. ცხადაია, რ. შვედლიძე და ი. გავოშიძე.

ფუძველს წარმოადგენდა. სათავსო ჩრდილოეთიდან (MC კვადრატში) ნაწილობრივ მიწაში ყოფილა ჩასმული, ხოლო მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, უშუალოდ აკლდამის კედლის თავზე ალიზის წყობის ფრაგმენტი გადარჩა. დაახლოებით სათავსოს ცენტრში აღმოჩნდა მიწაში იატაკის პირად ჩასმული - ოთხკუთხა კვადრატული, შესაძლებელია, დედაბოძის საყრდენი ყოფილიყო. სათავსოს ჩრდილო ნაწილში, იატაკის დონეზე, გადამწვარი ალიზის ნანგრევებს ქვეშ, ნაცრიან ფენაში, რომლითაც მთელი იატაკი იყო დაფარული, რუხი ფერის თიხის ცალყურა ცეცხლზე ნაწმარი ქო-



ქურქელი ქსანიდან.

თან და ტუფისაგან დამზადებული წყვილი ნავისებრი ხელსაფქვავე აღმოჩნდა.

სათავსოს - სამხრეთით, EB კვადრატში, საღივ თხრილი გრუნტამდე დავიყვანეთ, აკლდამის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გარეპირი გამოჩნდა. როგორც გაირკვა, აკლდა-

მა მიწისზედა ნაგებობა ყოფილა. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი და ნაწილობრივ გადარჩენილი სამხრეთ-დასავლეთი კედლების სისქე ორ მეტრს აღემატება. კედლების გარეპირი ისევე, როგორც შიდაპირი, ფლეთილი ქვიშაქვითაა ამოყვანილი, ხოლო „პერანგებს“ შორის სივრცე შევსებულია თიხისა და წვრილი რიყისქვის ნარევით. აკლდამის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, როგორც ჩანს, ზემოთაღწერილი სათავსოს იატაკს ქვეშ შედის.

აკლდამის კედელს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰფარავს მსხვილი რიყის ქვების შემცველი მძლავრი კულტურული ფენა, რომელშიც კრამიტისა და თიხის ჭურჭლის უამრავი ნატეხი და ერთი ქვიშაქვის სატყორცნი ბირთვი აღმოჩნდა. ბირთვის დიამეტრია 0,16 და 0,19 მ. ფენამ იმპორტული მასალაც მოგვცა: შავლაკიანი, ძირზე ჭდეულორნამენტიანი პირმოყრილი ლანგრისა და შავი ლაკითვე დაფარული უნგვენტარიუმის კედლის ფრაგმენტები.

სამადლო I ზედა, აღმოსავლეთ ნაწილში გრძელდებოდა ე. წ.

კონტრაქტორებიანი ნაგებობის გათხრა. № 1 სათავსოს აღმოსავლეთით, მის გაგრძელებაზე, EN და FN კვადრატებში გაიწმინდა ალიზის ორი ურთიერთ პარალელური კედელი, რომელთა შორის სივრცე ალიზისავე ნანგრევით იყო ამოვსებული. ნანგრევებში, სათავსოს იატაკიდან 1,20 მ-ის სიმაღლეზე ბრინჯაოს სამფრთიანი სკვითური ტიპის ისრისპირი აღმოჩნდა.

სამადლო I გათხრების პარალელურად 1969 წელს დავიწყეთ გათხრები ნასახლარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელსაც პირობითად სამადლო II ვუწოდეთ. აქ საანგარიშო წელს გაიწმინდა ფლეთილი ქვის მსხვილი ბლოკებით ნაგები მძლავრ, 4 მ სიგანის, ბურჯი, რომელიც ალიზის გალავანთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ბურჯის დასავლეთით, მტკვრისაკენ მიმართულ ციცაბო ფერდობზე გაითხარა 0,5 მ სიძლავრის ნაცრიანი ფენა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა თიხის ქურჭლის ნატეხებს. კერამიკა. როგორც მოსალოდნელი იყო, სავსებით იმავე ხასიათისა გამოდგა, როგორც სამადლო I მოგვეცა.

ამჟამად, სამადლოზე მოპოვებული კერამიკული ინვენტარის რესტავრაციის შემდეგ, ჩვენს ხელთაა პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მეტნაკლები სისრულით წარმოგვიდგენს ელინისტური ხანის ქართული კერამიკის მთელ მრავალფეროვნებას. სრულიად განსაკუთრებულია სამადლოს მონაპოვრის მნიშვნელობა ელინისტური ხანის ქართლში მხატვრული (მოხატული) კერამიკის წარმოების შესწავლისათვის.

საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატლასისათვის მასალების მოძებნის მიზნით ექსპედიციამ 1969 წლის საველე კამპანიის დასასრულს განახორციელა ერთგვირიანი დაზვერვითი სამუშაოები ქსნის ხეობაში.² მიუხედავად ჩატარებული სამუშაოების მცირე მასშტაბისა, ქსნის ხეობის მარტო ერთ პატარა მონაკვეთზე, ლენინგორიდან იკოთამდე და ზემო ბოლიდან წირქოლამდე, აღირიცხა ორ ათეულამდე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი: გვიანი ბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნა-მოსახლარები და სამაროვნები.

² დაზვერვებში მონაწილეობას იღებდა დ. თუშაბრაშიშვილი:

ბიკვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969
წლის მუშაობის მოკლე ანგარიში

ექსპედიცია მუშაობას განაგრძობდა შიდაციხის ტერიტორიაზე (XIX თბრილი). სულ გაიწმინდა 325 კვ. მეტრი ფართობი. გამოვლინდა სხვადასხვა ზომის სათავსოთა ნაშთები, რომელთაგან უმრავლესი აბანოს კომპლექსს ეკუთვნის. ყველაზე კარგად შემორჩენილია აბანოს ქვედა. იატაკქვეშა განყოფილება — ჰიპოკაუსტი. იგი ორი ნაწილისაგან შედგება (ფართობი = 18 მ. X 5 მ.). იატაკი ვარდისფერი ჰიდრავლური ხსნარის სქელი ფენითაა მოკირწყლული; რომელზედაც მრგვალი და ბრტყელი აგურების კალორიფერის სვეტებისაგან შემდგარი მწკრივები გადის. სვეტების სიმაღლე ნახევარ მეტრამდე აღწევს. ისინი 37—40 სანტიმეტრით არიან დაცილებული ერთმანეთს.

აღნიშნული სათავსოს კედლები შემორჩენილია ნახევარი მეტრის სიმაღლეზე. კედლები ნაგებია ზღვური კონგლომერატით — კირხსნარზე. წყობაში ზოგჯერ (კუთხეებში) ურევია ბრტყელი აგურებიც. ჰიპოკაუსტი გაყოფილია ტიხრით, რომელშიც სამ ადგილას ნახევარი მეტრის სიგანის დიობია გაჭრილი. ჰიპოკაუსტის აღმოსავლეთ ნაწილში — იქ, სადაც აგურის დიდი ბრტყელი ფილებია დაგებული, იატაკი რამდენადმე ამაღლებულია. აღნიშნულ მონაკვეთზე მკაფიოდ შეინიშნება ცეცხლის კვალი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აბანოს ცხელი განყოფილების (caldarium) იატაკქვეშა ნაწილთან გვაქვს საქმე. მისგან ჩრდილოეთით გვიან ჩამუშენებული კედელი გადის (საერთოდ, ამ ფართობზე სამი სამშენებლო პორიზონტი შეინიშნა).

კალორიფერებიან ნაგებობას სამხრეთის მხრიდან მიშენებული აქვს ორგანყოფილებიანი სათავსო, რომლის იატაკის დონე ჰიპოკაუსტის სავარაუდო ჰერის დონეზე გადის. სათავსოს აღმოსავლეთ მხარის ცენტრალური ნაწილი აგურის ბრტყელი ფილებითაა მოკირწყლული; დასავლეთის მხარე მოზაიკის იატაკიანი ყოფილა. ეს ორგანყოფილებიანი სათავსო აბანოს დამხმარე ნაგებობა უნდა იყოს. ჰიპოკაუსტს დასავლეთის მხრიდან ებმის მკირე ზომის სათავსო, რომლის დასავლეთი კედელი აბსიდის გარშემო გამავალ წყლის ღარს უერთდება. აბსიდიანი ნაგებობა აღმოჩნდა აღნიშნული სათავსოს ჩრდილო-დასავლეთით. აბსიდის შიდა იატაკი აგურის ფი-

ლებითაა მოფენილი, რომელიც მასზე მიდგმული ოთხკუთხა ნაგებობის იატაკს უერთდება. ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში აბაზანაა აშენებული, აბსიდიან ნაგებობას ჩრდილოეთიდან ეკვრის იატაკში ჩაჭრილი აუზი. ისიც აბანოს კომპლექსთან ჩანს დაკავშირებულნი: საერთოდ, ზემოთ აღწერილი სათავსოების დიდი ნაწილი ძლიერ არის დანგრეული.

საანგარიშო წელს გათხრილ ფართობზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (წითელლაკიანი კერამიკა, მონეტები) საშუალებას იძლევა ნაგებობათა კომპლექსი ზოგადად IV—VI საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

ჰიპოკაუსტის აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ სტრატეგრაფიის დასადგენად გავლებულმა ტრანშეამ გამოაკვლინა ადრეული ნაგებობის ნაშთი და დამწვარი ფენა, რომელმაც II—III საუკუნეების შემცველი მასალა მოგვცა.

ბ. ლეჟავა

ანტიკური „დიდი მცხეთის“ ზოგიერთი არქიტექტურის ძეგლი

ს. ძეგვიდან სამხრეთით თუ ავეყებით „ნადარბაზევის ხევს“, სამი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მცირე ვაკე. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ვაკეს „ნადარბაზევის“ უწოდებენ. ვაკის ჩრდილოეთით ოთხკუთხი ადგილია, ოდესღაც კედლით მოცული. ეხლა მარტო ამ კედლის საძირკველია შემორჩენილი. ამ ადგილის გრძივი ღერძი ზუსტად დასავლეთ-აღმოსავლეთის რუმბაზე ძევს. შემოფარგლულ ადგილში ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთნავეიანი მცირე ეკლესიის სამხრეთი კედლიდან ერთი მეტრის მოშორებით მიწაში ჩაფლული იყო კანელიურებული სვეტი, რომელიც გადახრილიყო და მიყრდნობილიყო სათავსოს. სვეტის ზედაპირზე მეტად მკრთალად ჩანდა კანელიურები, მაგრამ იმ მხარეზე, რომელიც შედარებით დაფარული იყო, კიდევ შემორჩა 3—4 ზოლი. სვეტი ბაზაში იყო ჩაჭდობილი. საფიქრებელია, რომ სვეტი ბაზაზე ჯერ თავისუფლად იყო დაყრდნობილი, შემდეგ კი ჩაუჭდვიათ.

ბაზის ფორმა, მისი სტილი ეკვს არ იწვევს, რომ ეს მიდიურ-აქემენიდური სტილის ბაზაა. კანელიურებს შორის მახვილკუთხიანი ღარი ჩაჰყვება. სვეტის სიგრძე 3 მ, სვეტის ზედა დიამეტრი 320 მმ, ქვედა — 390 მმ. სვეტის სისქეში ენტაზისი არ შეიმჩნევა.

კანილიურები სწორი დახრილი ხაზით მიემართება ქვევიდან ზევით. სვეტს ზედა ნაწილში ფოსო აქვს. კანილიურის მრუდი წრის 1:6 სეგმენტს წარმოადგენს, რაც ელინურ არქიტექტურის კანონების დამახასიათებელია. მეტად საყოფადღებო სტილისტურ ხერხს წარმოადგენს კანილიურებს შორის დამუშავება. იქ სდაც კანონით, სადა ზოლი ან მახვილი კუთხე უნდა ჩამოჰყვებოდეს, ამ ზოლში ამოჭრილია სწორკუთხა ღარი. ბაზა წარმოადგენს ორსაფეხურიან ბრტყელ ქვას, მასზე შრგვალი ლილვია დადებული. ეს ბაზა ანალოგიურია პასარგადის პერიოდის არქიტექტურის, რომელიც მოგვიანებით პერსეპოლისშიაც გვხვდება.

შესაძლებელი ხდება სვეტის ორდერის აღდგენა. ამნაირად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაზა და სვეტი ეკუთვნის აქემენიდური კლასიკური პერიოდის არქიტექტურას (V ს.). აღდგენილი ორდერი ეკუთვნის ან მისაღები დარბაზის შენობას ან მცირე ტაძარს.

სოფელ სათოვლიაში, ადგილ „ციხეში“, აღმოჩენილი კანილიურებული სვეტიც თავისი დამუშავებით, სტილით ნადარბაზვევის სვეტის ანალოგიურია. აქვე ნანგრევებს შორის მიწის ზედაპირზე მიმობნეულია შრგვალი სადა ანტიკური სვეტების ბაზის, კაპიტელის ფრაგმენტები. სავარაუდოა, რომ მეხუთე, მეოთხე და მიმდევრო საუკუნეებში, ანტიკურ ეპოქაში, აქ იყო მნიშვნელოვანი სატაძრო ეკრა.

აქემენიდური სტილის სვეტის ნაწილებს უნდა მიეკუთვნოს წრომის ტაძარში დაცული სვეტების სამი დოლი. აქ კანილიურების დამუშავება კარგად შეიმჩნევა, გარკვეულია სვეტის დიამეტრი — ყველა ფრაგმენტს ოცი-ოცდაერთი კანილიური აქვს. მათ შორის ღარი ჩაჰყვება, ისეთი როგორც ეს „ნადარბაზვევის“ და „ციხის“ სვეტზეა.

აქემენიდური სტილის ზარისებრი ბაზის ზედა ნაწილი აღმოჩნდა შიომღვიმის მონასტრის ეზოში (სარკინეს მიდამო). ფრაგმენტი თუმცა დაზიანებულია, მაგრამ იმდენად შემონახულია, რომ შესაძლებელი გახდა მისი ზუსტად აღდგენა. ბაზის მთლიანად რესტავრაცია შესრულებულია ანალოგიური ბაზების მიხედვით, რომლებიც მოპოვებულია არქეოლოგების მიერ სხვა და სხვა დროს. აღდგენის მიხედვით, ბაზის სიმაღლე 0,49 მ უდრის, ძირი — 0,63 მ ხის სვეტის დიამეტრი, რომელიც ბაზაზე იდგა, — 0,39 მ.

აზერბაიჯანში, სარი-თეფეს ბორცვზე, გათხრების შედეგად აღმოჩენილი აქემენიდური სტილის ზარისებრი ბაზა შიომღვიმის ბაზის სრული ანალოგია.

სარკინის იონიურ კაპიტელში სრულყოფილადაა გამოსახული იონიური სტილის მხატვრული და კონსტრუქციული თვისებები. კაპიტელი შუალედ სვეტს ეკუთვნის. მისი საერთო ზომა ვოლიუტებში 405×350 მმ-ია, აბაკის — 332×332 მმ, კაპიტელის ყელის დიამეტრი — 240 მმ, სიმაღლე — 160 მმ. კაპიტელის ვოლიუტების ბაფთის შეერთების სიბრტყის ქვევით გაშლილი ფოთლის ფონზე ვარდულია დასმული.

1968 წელს ალბანეთში არქ. ბლავატსკიმ აღმოაჩინა თითქმის ასეთივე ზომის იონიური კაპიტელი, რომელიც შემკულია ვარდულით.

როგორც აღვნიშნეთ, სვეტისთავი მაღალ დონეზეა შესრულებული, ყველა პროპორციის დაცვით. კარგად იკითხება სვეტის ყელის დიამეტრი. ამით შესაძლებელი ხდება შენობის ორდერის აღდგენა. სვეტები კანელიურებული უნდა ყოფილიყო. ასეთი ზომის კაპიტელი შეიძლება ეკუთვნოდეს სამი სხვადასხვა ტიპის შენობის მცირე ფორმის ტაძარს.

„სვეტებიანი დარბაზი“ მთელი თავისი არქიტექტურის გამოსახვით წარმოადგენს განძის ან სამხედრო იარაღის საცავს — არსენალს. კედლის წყობა რეგულიარული, ზუსტად გათლილი ოთხკუთხი ბლოკებიდან შესდგება. ბლოკები არ არის შეერთებული უწყვეტებით. შენობის შუაში ექვსი ხის სვეტი დგას, ბაზა და კაპიტელი ქვისაა. შენობა ორქანობიანი სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული და კრამიტით დაფარული. აღმოსავლეთ კედლის მხარეზე ორი ყვრიმალნიანი კედელი აქვს გამოშვებული. ნაპირებიდან ყვრიმალის შვერილების ზომა თითქმის ორ მეტრს უდრის.

შიგნითა კედლების დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეზე ფოსოებია გაკეთებული; ფოსოები ნივთების დასალაგებელი თაროების სამი რიგის ასაშენებლად იყო გათვალისწინებული, რომლის სიგანე ორ-მეტრნახევარი შეიძლებოდა ყოფილიყო. აღმოსავლეთის ფასადის გასწვრივ მოწყობილი იყო ფარდული, რომლის სიგანე ორ მეტრს უდრიდა, სიგრძე კი 20 მეტრს.

ფარდული ხის სვეტებზე იყო დაყრდნობილი. ყვრიმალნიანი კედლები ფარდულის განაპირა საყრდენებს წარმოადგენდნენ.


საინტერესოა საკითხი: თავიდანვე იყო თუ არა ეს მონუმენტური შენობა შერეული წყობით, ქვა და ალიზით აგებული, თუ შემდეგ გაიძარცვა.

არქეოლოგიური გათხრა სოფ. წებელდაში 1969 წელს

1969 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთის დ. გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი განაგრძობდა თხრას სოფ. წებელდაში, აფიანჩას სამაროვანზე. გამოვლენილი 18 სამარხიდან 12 ინჰუმაციური, ხოლო 6 კრემაციული აღმოჩნდა. სამარხების ეს ორი ტიპი თითქმის ყველა თხრილში ერთად არის წარმოდგენილი, ამასთანავე ორთავეს ინვენტარი თანადროულია და არ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

დაკრძალვის ეს ორგვარი წესი არ უნდა მოასწავებდეს „ერთი ეთნიკური მასივის ორი ტრადიციის შერეული კულტურის“ არსებობას, როგორც ზოგ მკვლევარს ჰგონია.

ამ ორი წესის თანაარსებობა შეინიშნება ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII საუკუნიდან, ხოლო „შერეული კულტურები“ ვერ იარსებებდენ 1000 წლის მანძილზე ურთიერთშერწყმის გარეშე. დაკრძალვის ორი წესის თანაარსებობის ნამდვილი მიზეზი ჯერჯერობით გაურკვევლად უნდა ჩაითვალოს აფიანჩას სამაროვან კრემაციულ სამარხებში, ისევე როგორც წებელდის სხვა სამაროვანებზე. დამწვარ ძვალთა ნაშთები და სამკაული გვხვდება სამარხ ურნებში — ქვევრებში ანუ პითოსებში და ორყურა დიდ დერგებში, იარაღი კი უფრო ურნების გვერდით. კრემაციული სამარხების



სამარხი. წებელდა.

სარქველებს წარმოადგენენ თევზები, პატარა ღოჭები და დამტვრეულ ჭურჭელთა ძირები.

ქვევრებსა და ორყურა დერგებს ინჰუმაციურ სამარხებშიც დგამდნენ, მაგრამ იქ მათ ჩვეულებრივ არა აქვთ სარქველი და ისინი არ შეიცავენ ინვენტარს. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ინ-

პუმაციური წყვილადი სამარხი (№ 22), რომელშიც, ალბათ, ცოლ-ქმარია დასაფლავებული; ქალის ჩონჩხი მამაკაცის მარცხნივ ძევს. მამაკაცს თავის მარჯვნივ ედო რკინის მასრიანი შუბისპირი, ხოლო მკერდზე — მშვილდსაკინძი. ქალის თავის არეში მოიკრიბა მრგვალი მავთულის მშვილდის მქონე ორი მშვილდსაკინძი, რომელთაც წვრილი მავთული აქვს შემოკრული ზურგზე ხეიბად, ორი საყურე და 16 მძივი. ქალისა და კაცის წვივის ძვლებს შორის იყო ძაბრისებრპირიანი ხელადა. ორივე მიცვალებულის ფალანგის ძვლებთან იდო პირით ჩრდილოეთისკენ მიქცეული ორყურა დერგვი, რომელსაც მჭიდროდ ეხურა პირზე წითელლაკიანი თეფში. დერგში იყო: ძაბრისებრპირიანი ხელადა, ხალიანი მინის ჭურჭელი, წებელდიური ტიპის რკინის ცული და ორი მშვილდსაკინძი (ბრინჯაოსი და რკინისა).

უქვევლია, ის ჭურჭელი წყვილად სამარხს მიეკუთვნება. ინჰუმაციურ სამარხში ნივთების შემცველი თავსახურიანი დერგის აღმოჩენის ასახსნელად საჭირო ხდება იმ ეთნოგრაფიული მასალის მოშველიება, რომელიც დაკავშირებულია ტრაგიკულად დაღუპული ადამიანის „სულის დაჭერასთან“. ამგვარი წესი გავრცელებული იყო არა მარტო აფხაზებში. არამედ კავკასიის სხვა ხალხებშიც. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში „სულის დაჭერა“ ხდებოდა ტიკის მეშვეობით. მართალია, მაშინ ტიკი მიწაში არ იდებოდა და მხოლოდ დაღუპულთა სულს „უშვებდნენ“ საფლავში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ძველად „დაჭერილ სულს მარხავდნენ“ იმ თიხის ჭურჭლით, რომლითაც იგი მაშინ მიჰყავდათ დასაფლავების ადგილზე. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას ის, რომ ურნაში, რომელშიც ყოფილა „მოთავსებული“ დაღუპულ ცოლ-ქმართა სულები. იყო „იმქვეყნიური“ ცხოვრებისათვის აუციელებელი საგნები (ჭურჭელი, მშვილდსაკინძები და ცული). წარმართული რწმენა-წარმოდგენით, გარდაცვლილის „სული“ უთუოდ საჭიროებს კვებას და საჭირო საგნების ჩატანებას.

სათუთა, მაგრამ შესაძლოა ამისავე მაგალითს წარმოადგენდეს № 24 სამარხი, რომელშიც კრემაციის რიტუალთან დაკავშირებული წესი უნდა იყოს განხორციელებული, მაგრამ არ აღმოჩენილა ძვლების ნატამალიც კი. დერგში იდო ფიქლის ფირფიტის ნატეხი და კაეი, ხოლო დერგის გვერდით აღმოჩნდა ჯვარედინად განლაგებული მასრიანი შუბისპირები და ერთი ხელადა. ძვლების აღმოჩენილობა იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილის ნათესაეებს ვერ მოუხერხებიათ გვამის პოვნა და იძულებული გამხდარან დასჯერებოდ-

ნენ სულის „დაქერას“ და საგვარეულო სასაფლაოზე „დამარხვას“. ჩვენი ვარაუდი ამ არც სულმთლად ნათელი საკითხის შესახებ საკურობებს შემდგომი შესწავლით დასაბუთებას.

აფიანჩას სამაროვანი ქრონოლოგიურად ა. წ. II—V საუკუნეებს მიეკუთვნება. ამას მოწმობს შემდეგი საგნები: ბრინჯაოს ერთწილადი მშვილდსაკინძები — გავრცელებული უმთავრესად II საუკუნეში და ნაწილობრივ III საუკუნის პირველ ნახევარში. იმავე დროს ისინი გვხვდება დაფნის ფოთლის მოყვანილობის მქონე შუბისპირებთან ერთად, რომლებიც სწორედ III საუკუნეში ქრებიან. მას შემდგომ ამგვარი შუბისპირები აღარ ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე. პირიქით, ჩვენთვის ცნობილი ისეთი შუბისპირები, მომდინარე როგორც აფხაზეთიდან (სოხუმი, წებელდა), ისე საქართველოს სხვა მხარეებიდან (თრიალეთი, მცხეთა, კლდეეთი, კამარახევი და სხვ.), თარიღდება ახ. წ. II საუკუნითა და უფრო ადრეული პერიოდით.

ერთწილადი მშვილდსაკინძებისა და დაფნის ფოთლის მოყვანილობის მქონე შუბისპირების მიხედვით, აფიანჩას სამაროვნის სამი სამარხი (№№ 18, 20 და 21) შეიძლება დათარიღდეს სწორედ ახ. წ. II საუკუნით.

სამარხთა მეორე ჯგუფი (№№ 8, 9, 10, 12, 15, 16, 19) მიეკუთვნება III საუკუნეს და IV საუკუნის დასაწყისს. ამის საყრდენია ორწილადი მშვილდსაკინძები, რომელთაც მრგვალი განივკვეთი აქვს.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება IV—V საუკუნეთა ძეგლები, რომელთაც ათარიღებს იმპორტული წითელლაკიანი თეფშები, ლურჯხალიანი და უხალო მინის ჭურჭელი და აგრეთვე ორწილადი ჯვრის გამოსახულების მქონე მშვილდსაკინძები (სამარხები №№ 22 და 25).

თ. ქარუმიძე

უფლისციხე

1968-69 წლების ხაველე მუშაობის ანგარიში

(არქიტექტურა. შიდა-ქალაქის სამშენებლო ფენები)

არქეოლოგიური კვლევის შედეგად, რომელსაც საქართველოს ხლოვნების სახელმწიფო მუზეუმი აწარმოებს აკად. შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით, შესაძლებელი გახდა უფლისციხის კლდე-

ში ნაკვეთ შიდა-ქალაქის ძირითადი მშენებლობის-დროის ქალაქ-გეგმარებისა და არქიტექტურის დადგენა, მისი შემდგომი აღდგენისა და მრავალრიცხოვანი გამოყენების სამშენებლო ფენების გამოყოფა.

მცირე რაოდენობის განათხარი მასალის მიხედვით, ადამიანის თავდაპირველი ყოფნა უფლისციხის კლდეებში ძვ. წ. XI—IX სს. დასტურდება, მაგრამ ამ დროის მშენებლობა და ხალხის აქ ყოფნის მიზეზი არ არის. გარკვეული.

უფლისციხის ძირითად მშენებლობას კლდეში ნაკვეთი ანსამბლი ეკუთვნის. იგი სამი ნაწილისაგან შედგებოდა და შეიცავდა იმ დროის განვითარებულ შიდა-ქალაქისათვის ყველა საჭირო ნაწილსა და კეთილმოწყობას (ზღუდე, თხრილი, რამდენიმე შესასვლელი, გვირაბი, წყალსადენი, ნახმარი წყლის გასაყვანი სისტემა და სხვა).

შიდა-ქალაქის ერთი პრინციპით წარმოებული გაშენება, თითქმის ყველა ნაგებობისათვის გამოყენებული ერთიდაიგივე რთული არქიტექტურული კომპოზიცია, მთელი ანსამბლის ერთიანი მხატვრული სტილი, დეკორისა და კლდის ზედაპირის დამუშავების იგივეობა უდაოდ ამტკიცებს უფლისციხის ერთდროულ მშენებლობას; განაშენიანობის თავისებურება, არქიტექტურის საზეიმო ფორმათა სიდიადე და გრანდიოზულ ანსამბლის კლდეში ამოკვეთის ფაქტი მის განსაკუთრებულ დანიშნულებას და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ადასტურებს.

გაირკვა, რომ შიდა-ქალაქის მთელ ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ ამავე ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ სამშენებლო წესებითა და მასალით, იმ ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის პრინციპების და ფორმების მიხედვით, როგორც ძირითად მშენებლობისათვის იყო მიღებული.

მეორე სამშენებლო პერიოდი ქართლის გაქრისტიანების დროს ეკუთვნის. უკვე პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგულ უფლისციხეში, ქრისტიანობის გამარჯვების ნიშნად, იმ დროისათვის მიღებული ტიპის ეკლესია აღუმართიათ (დარბაზული გარშემოსავლელით) და, ალბათ, ზოგიერთი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი გადაუკეთებიათ მათი დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ წერილობით წყაროებში არაბობის დროს უფლისციხე აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად არის ცნობილი, არქეოლოგიურმა გათხრამ არც დედაქალაქის არსებობის რაიმე ნიშანი მოგვცა და არც თუ ნაგებობის ნაშთი ან ფრაგმენ-

ტი — დამახასიათებელი იმ დროის ქართული არქიტექტურისათვის.

XIII—XIV საუკუნეების არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დეკორით და ამ დროის კლდეში ნაკვეთ ძეგლების გეგმისა და ზედაპირის დამუშავების მსგავსად შესრულებულია ორი მცირე ეკლესიის კომპლექსი და ერთსვეტიანი დარბაზის გადაკეთება.

XII—XIII სს. ეკლესიის სარკმელის მოჩუქურთმებული ჩარჩოს ნაწილი და კარნიშის ქვები XVI ს. კედლებში იყო დატანებული. აგურის ზომისა და ფორმის მიხედვით ამავე ხანას ეკუთვნის დარბაზული ეკლესიის კაპიტალური რეკონსტრუქცია და ზღუდის კედლის აღდგენა.

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი დარბაზები, ნანგრევების სამშენებლო მასალის გამოყენება და ზღუდით თავდაცვის შესაძლებლობა, როგორც ჩანს, ყოველთვის იზიდავდა მუდმივ მცხოვრებს თუ დროებით თავშეფარებულ ხალხს.

გათხრის შედეგად, შიდა-ქალაქის მთელი ტერიტორია მკიდროდ დაფარული აღმოჩნდა ფეოდალური ხანის სხვადასხვა დროის სახლების ნანგრევითა და კედლებით.

მათ შორის თვალსაჩინოდ გამოიყოფა გარკვეული მიზნით ერთდროულად წარმოებული მშენებლობა, ნაწილობრივ დანგრეულისა და რამდენჯერმე გადაკეთებულ შიდა-ქალაქის მთელი ტერიტორიის რეკონსტრუქცია სახლ-კარმიდამოებით, სოფლის შეურნეთა ხანგრძლივი ცხოვრებისათვის. ეს მშენებლობა ხასიათდება კლდის ანსამბლის რაციონალური გამოყენებით, მრავალ-ოთახიანი და ეზოიანი სახლების გეგმის დახვეწილი ორგანიზაციით და მათი სიდიდით. ანტიკური დროის კლდეში ნაკვეთი ყველა ღია დარბაზი ორ სართულად გაუყვიათ ხის კოჭებით. ქვემო ნაწილი მთავარ ოთახად გამოუყენებიათ, რომლის ფართობი წინ გამოწეული ქვის კედლებით გაუდიდებიათ. ამ ოთახის ბანზე ღია დარბაზის სივრცეში ლოჯი მოუწყვიათ მის წინ კი აივანი. ამ ოთახის ირგვლივ დანარჩენი ოთახები და დამხმარე სათავსოები უშენებიათ. ფართობის გადიდების მიზნით დაუნდობლივ უჭრიათ კლდეში ნაკვეთი საზეიმო დარბაზების კედლები. ამ ალბათ, XVI ს. სამშენებლო პერიოდის მაცხოვრებლებს ქვევით მამულები ჰქონიათ, სადაც კლდის ნიადაგში სამეურნეო სათავსოები გამოუკვეთიათ.

განათხარი მასალიდან ღირსშესანიშნავია დიდი ოსტატობით შესრულებული მინისაგან ჩამოსხმული ადრეანტიკური ხანის გემათენას გამოსახულებით.

მეორე არქეოლოგიური კამპანია ვარდციხეში (1960 წ.)

ინსტიტუტის შუასაუკუნეთა განყოფილება განაგრძობდა არქეოლოგიურ, არსებითად დაზვერვითს, თხრას ვარდციხის ნაქალაქარზე. კერძოდ, გაგრძელდა № 4 თხრილში ჯერ კიდევ გასულ წელს გამოვლენილი „ზღურბლიანი შენობის“ (B ნაგებობის) თხრა-წმენდა. ითხრებოდა ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც გვიანდელ გალავანს გარეთ აღმოჩენილა მოქცეული. მსგავსად ნაგებობის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილისა, აქაც თვალნათლივ გამოიკვეთა გადამწვარი კირქვიანი ფენა, რომელიც ნაგებობის მთელ შიდა არეზე ვრცელდება, დაახლოებით 30—40 სმ სისქეზე. იგი მრავლად შეიცავდა თიხის ქურქლის ნატეხებს, რომელთაც აშკარად ეტყობათ ცეცხლში ყოფნის კვალი. წლებადღელი არქეოლოგიური მონაპოვარი (წითელლაკიანი ჯამის გვერდის ნატეხი, დაღარულგვერდიანი ამფორის ნატეხები) გვაძლევს დამატებით საბუთს ნაგებობის ხნოვანების ქვედა საზღვრად IV—V საუკუნეების მიჩნევისათვის.

„ზღურბლიანი ნაგებობის“ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გარშემოწმენდამ გამოკვეთა ნაგებობის გარეთა კუთხეები და გვიჩვენა, რომ მას არ ებმის მომიჯნავე ნაგებობის კედლები და ამდენად, იგი თითქოს განმხოლოებით არის გამოწვდილი ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში. ამას გარდა, ქალაქს ირგვლივ შემოვლებული უძველესი თხრილის ფლატედან B ნაგებობამდე და გვიანდელი გალავნის მართობ გავლებულ საძიებო თხრილებს ნაქალაქარის იმ უბანში არ გამოუვლენია „ზღურბლიანი ნაგებობის“ თანადროული. უძველესი გალავნის რაიმე ნაშთი.

საკუთრივ ნაქალაქარის შიდა ფართობზე გავლებულმა მე-15 საძიებო თხრილმა გამოავლინა ნაგებობა, ჩანს, გვიანდელი, რომლის კედლები რიყის ქვითაა ნაგებო. იმ ნაგებობის სრულად გამოვლენის მიზნით ჩატარებულმა მუშაობამ მოიცვა მხოლოდ 60 კვ. მ ფართობი. ნაგებობის იატაკი წარმოადგენს აგურფენილს. მის გარდა, იატაკისთვის გამოყენებული ყოფილა ჰიდრავლიკური ხსნარის ფილები. ნაგებობის შემორჩენილი კედლებიცა და იატაკის

¹ ექსპედიციაში, ანგარიშის ავტორთა გარდა, მონაწილეობდნენ: უფრ. მეცნ. თანამშრ. არქიტ. კ. მელითაური; უმცრ. მეცნ. თან. თ. ბერაძე და ზ. ჰელიძე (გეოფიზიკოსი), უფრ. ლაბ. მ. გოჩიაშვილი და ზ. კალანდაძე.

ფენილიც მიწის ზედაპირიდან 50—60 სმ ღონეზე მდებარეობს. ამდენად კულტურული ფენა მიწის გვიანდელი სამუშაოების შედეგად დარღვეულია და მოპოვებული მასალის — უმთავრესად ადგილობრივი კერამიკის დათარიღება სიფრთხილეს მოითხოვს. ის კი მაინც ცხადია, რომ ფეოდალურ ხანაში ამ ნაგებობის მშენებლებს გვიანანტიკური ხანის ფენა დაურღვევიათ; ამას მოწმობს იატაკის დარღვეული ნაწილიდან მომდინარე წითელლაკიანი ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები, რომლებიც IV—V საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება იატაკზე დასაფენად გამოყენებულ აგურებს, რომელთა ნატეხები რიყის ქვის წყობაშიც აღმოჩნდა, ჰიდრავლიკური ხსნარისაგან დამზადებული ფილის რამდენიმე ნატეხს და თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილ, კალორიფერის (?) მრგვალ აგურს, ისინი უფრო ადრინდელი, შესაძლოა, ძველი „როდოპოლისის“ დროინდელი ნაგებობიდან (აბანოდან?) მომდინარეობდნენ.

ნაქალაქარის ჩრდილო ნაწილში, უშუალოდ ფლატესთან გაჭრილმა თხრილმა გვიჩვენა, რომ იქაც ყოფილა ნაგებობანი. კერძოდ, გამოვლინდა რიყის ქვითა და კირით ნაშენი კედლის ნაშთი, რომელიც ქალაქის შიგნით მიემართებოდა. მოპოვებული მონაპოვარი მეტწილ თიხის ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის ნატეხებითაა წარმოდგენილი.

გრძელდებოდა საძიებო თხრს ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ადრე გამოვლენილი უძველესი გალავნის მიმართულების დასადგენად. გამოირკვა, რომ იმ გალავნის კედელი სწორხაზოვნად კი არ მიემართება ფლატემდე, არამედ მისგან 50-ოდე მეტრის მანძილზე კუთხეს ჰკრავს და ჩრდილო-დასავლეთით უხვევს იმგვარად, რომ „ბარბალეს“ ეკლესია არა მარტო გვიანდელი, არამედ უძველესი გალავნის გარეთაც რჩება. ეკლესიის ზომა, გეგმა და ახლახან აღნიშნული გარემოება საეკვოდ ხდის მის მიჩნევას ვარდციხე-„როდოპოლისის“, ეგრისის ანუ ლაზიკის ერთ-ერთი საეპარქიო ცენტრის ძირითად ტაძრად. ჩანს, სათანადო ნაგებობის აღმოჩენა მომავლის საქმეა.

ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი, გალავანზე მიდგმული აგურისსარტყლიანი ნაგებობის რაგვარობის დადგენა სამუშაოს დიდი შრომატევადობის გამო, უმთავრესად მექანიზმების გამოყენებით წარმოებდა. გაირკვა, რომ ნაგებობის სამხრეთი კედლის ქვედა ფენაც, მსგავსად ჩრდილო კედლისა, ხასიათდება აგურის სარტყლით, მაგრამ კონსტრუქციულად განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან. თვით ნაგებობა კოშკს არ უნდა წარმოადგენდეს.

გალავანს შიგნით, აგურისსარტყლიანი ნაგებობის გასწვრივ ჩატარებულმა თხრამ გვიჩვენა, რომ იგი შვეული „ნაკერი“ უნდა უკავშირდებოდეს უფრო გვიანდელი გალავნის კომპლექსს. ნაგებობის ხნოვანების საკითხი ჭერ-ჭერობით გაურკვეველი რჩება.

განზრახული მასშტაბით ვერ განზორციელდა გათხრა ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც უძველეს ნაგებობათა ნაშთებთან უნდა გვეკონდეს საქმე. ახალი სასაფლაო იქ დიდ ტექნიკურ დაბრკოლებას უქმნის ექსპედიციის მუშაობას. მსგავსი ვითარება გვაქვს ნაქალაქარის შუა უბანშიც. ეს გარემოება დიდად აძნელებს ნაქალაქარის უძველეს ნაგებობათა გამოვლენის მიზნით თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდების მოხმარებასაც. სხვა მხრივ, იმ მეთოდების — კერძოდ, არქეომაგნიტურის — გამოყენების მიზნით ექსპედიცია აწარმოებდა სამშენებლო კერამიკის ნიმუშების ზუსტ ფიქსაციას. აღნიშნული მასალა, სპეციალური ღამუშაების შემდგომ, ალბათ თავის სიტყვას იტყვის ნაქალაქარის გარკვეული უბნების ნაგებობათა ხნოვანების თვალსაზრისით.

გათხრით სამუშაოებს გარდა ექსპედიცია აწარმოებდა ზვერვან ვარდციხის მიდამოებში. მომავალში ამგვარი მუშაობის ფართოდ გაშლა ნათელს მოჰფენდა ვარდციხის გაქალაქების მიზეზების საკითხს, გამოავლენდა სამაროვანს და ა. შ., რაც შეეხება საკუთრივ ნაქალაქარს, აქ შემდგომი მუშაობა უთუოდ ფართო, დიდი მასშტაბის გათხრის სახით უნდა წარიმართოს.

6. უზრელიძე. ჯ. ამირანაშვილი

მარტაზისხევის 1900 წლის ექსპედიციის მუშაობის შედეგი

მარტაზისხევის ანუ სანგრისხევის შესართავთან, ბაქან ნავთსადენთან (მცხეთის რაიონი) მდებარე ტერიტორიაზე არაერთი არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი (1902 წ. თაყაიშვილმა გათხარა აღრეფეოდალური ხანის ქვისსამარხები; 1946 წ. არმაზისხევის ექსპედიციის რაზმმა გაწმინდა ოთხი, ფრიად საყურადღებო ნივთების შემცველი, VI—VII სს. ქვისსამარხი; 1951 წ. შემთხვევით აღმოჩნდა VI ს. ქვისსამარხი და ა. შ.). ბოლო დროის ნამუშევართაგან საყურადღებოა 1963 წ. მთა-ქართლის ექსპედიციის რაზმის მიერ გათხრილი IV—V სს. ქვისსამარხები და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები. 1967 წ. მარტაზისხევის შესართავთან მარცხენა ნაპირას ბორცვზე გაითხარა ჭერ შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები, ხოლო შემდეგ — შუასაუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების ექს-

პელიცამ გათხარა-39 ქვისსამარხი (რომელთაგან 37 მიეკუთვნება IV—V სს, ხოლო 2 — VI—VII სს.). მიუხედავად იმისა, რომ აქ აღმოჩენილ ძეგლებს გარკვეული წელიწადი შეაქვთ როგორც მარტაზისხევის. ისე საერთოდ მცხეთისა და ქართლის ნივთიერი კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში, ისინი უკლებლივ მაინც გარკვეულ ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევიან და გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანით შემოიფარგლებიან. ამ მხრივ 1969 წლის განათხარა მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა და მცხეთის ამ უბნისათვის უცნობი, ადრეული ხანის ძეგლებიც გამოავლინა.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა მარტაზისხევის პირას მდებარე ბორცვზე 1967 წელს გამოვლენილი სამაროვნის თხრა. ბორცვი (ზომა 55×55 მ) დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ითხრებოდა მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი და შუა ნაწილი.

გათხრილი ოცი სამარხიდან ჩვიდმეტი ქვისსამარხი ეკუთვნის ადრეფეოდალურ ხანას (თორმეტი — IV—V სს., ხუთი კი VI—VII სს). ეს სამარხები ზედმიწევნით მსგავსია 1967 წელს გათხრილი სამარხებისა. ქვისსამარხთა კედლები ნატეხი ქვებით და თიხამიწით არის ამოყვანილი და გადახურულია სამ-სამი დიდი ფილაქვიძე უმეტესობა საოჯახო სამარხებია და უკლებლივ ყველა ქრისტიანული წესითაა დაკრძალული. სამარხში აღმოჩენილმა ნივთებმა მაინც და მაინც ბევრად არ შეავსო 1967 წ. მონაპოვარი.

საყურადღებოა, რომ ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღნიშნული გვიანდელი სამარხების გვერდით და თითქმის იმავე სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე უფრო ადრინდელიც. გაითხარა ერთი ქვევრსამარხი, რომელიც, მიუხედავად ინვენტარის მცირერიცხოვნებისა (აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე ოქროფერილი მინის მძივი) კარგად თარიღდება სამარხის ტიპის მხედვით დ. წ. I!—I სს. ბორცვის აღმ. ნაწილში აღმოჩნდა ორი ბავშვის სამარხი, თხელი ფიქალით ნაგები. სამარხები დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთით. თითოეულში თითო ბავშვის ჩონჩხი ესვენა, მოკუნტვით. ერთში (მე-40 ქვისსამარხში) აღმოჩნდა შავპრიალა თიხის ყელძაბრიანი, ძირწვეტიანი ჭურჭელი და მინის მძივები. ჭურჭელი ანალოგიათა მხედვით დ. წ. IV—III სს. თარიღდება. ზოგადად ამავე დროს მიეკუთვნება 42-ე ქვისსამარხი, რომელშიც უაღრესად საინტერესო ნივთები აღმოჩნდა (ოქროს მოცვარული საყურეები, ეგვიპტური მინის სკარაბეი, გაურკვეველი დანიშნულების ძვლის ნივთი, რომელზედაც ამოკაწრულია სახლი და ფასკუნჯი, მინის სხვადასხვაგვარი მძივები, ბრინჯაოს ზანზალაკები, ბრინჯაოს ზურგ-შედრეკილი სამაჯურები და სხვ.).

ზემოაღწერილ სამარხთა ძირში აღმოჩნდა რაღაც შენობის რიყის ქვებით მოფენილი იატაკი (3×1,5 მ.), რომელიც აქა-იქ დარღვეული იყო გვიანდელი სამარხების ჩაქრის დროს. იატაკზე იu siliu აღმოჩნდა ორი საკინძის თავი, ბრინჯაოსი, გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი.

ამრიგად, 1969 წელს მარტაზისხევის შესართავთან წარმოებულ იქნა შედეგად გაირკვა, რომ სამაროვანი წარმოადგენს მრავალფენოვან ძეგლს. უძველესი არის გვიანბრინჯაოს ხანის ნაგებობის ნაშთი, ხოლო უახლესი—IV—VII სს. ქვისსამარხები, აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. ბოლო საუკუნეთა სამარხები პირველად აღმოჩნდა მცხეთის ამ უბანზე.

რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე. ლ. ასათიანი

ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1960 წ. მუშაობის ანგარიში

1969 წელს ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სავალე კვლევა-ძიებას აწარმოებდა რამდენიმე ადგილას.

1) ერწოს სოფელ მაგრანეთში, ქუშანაანთ გორაზე, დასრულდა V—VII საუკუნეთა დიდი საცხოვრებელი ნაგებობის თხრა, რომელიც 1966 წელს იყო წამოწყებული. სულ გაითხარა 1 000 კვ. მ. ფართობი, რის შედეგადაც გაშიშვლდა არა მარტო საკუთრივ საცხოვრებელი ნაგებობის ყველა სათავსო, არამედ ერთი მცირე დამხმარე ნაგებობაც, რომელიც აღმოსავლეთიდან ეკვროდა ძირითადს. საბოლოოდ გაირკვა, რომ რამდენადმე უფრო ძველი ყოფილა შენობის სამხრეთი ნახევარი, რომელიც გეგმით კვადრატს უახლოვდებოდა. აქ შუა ადგილი უჭირავს დიდ, სწორკუთხა ოთახს. რომელსაც სამი მხრივ გარს ერტყმის შედარებით მცირე და ვიწრო სენაკები. რაც შეეხება ნაგებობის ჩრდილო ნაწილს, იგი წარმოქმნილი ჩანს სახლის გაფართოების შედეგად, ამიტომ ნასახლარის ჩრდილო ნახევარი თითქოს არც შეესაბამება შენობის საერთო გეგმას. გარდა ამისა, ნაგებობის იმავე ნაწილში შეიმჩნევა გადაკეთების ნიშნებიც. მაგრამ ყოველივე ეს (ე. ი. მოგვიანებით შენობის გაფართოება და გადაკეთება) მომხდარი იმ მძვინვარე ხანძრამდე, რომლის შემდეგაც, ჩანს, საცხოვრებელი ნაგებობა აღარ განახლებულა.

თხრის დროს თითქმის ყველგან ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები, მაგრამ განსაკუთრებით უხვად იყო იგი ჩახვავებული შენობის ჩრდილო ნახევარში, სადაც, ეტყობა, ჩაქცეულა სახლის სახურავის დიდი ნაწილი. თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი სამზარეულო კერამიკა — დიდრონი ღერგები, სხვადასხვა ზომის ქოთნები, სადღვებელი, კოჭბები. საყურადღებოა, რომ სამზარეულოდ მიჩნეულ მე-5 ოთახში, სადაც კერის ნაშთები დადასტურდა, თავმოყრილი იყო ადგილზევე ჩალეწილი დიდძალი სამზარეულო ჭურჭელი. ამათგან ერთ, შემთხვევით გადაარჩენილ ხელადაში შემონახული აღმოჩნდა ტყის ხილის — მაქალოსა და პანტის ნაშთები. იქვე, ნახანძრალი ფენის ქვეშ, იატაკის დონეზე, მე-5 სენაკის ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა ბიზანტიის კეისრების კონსტანტინე II (641—668 წწ.) და კონსტანტინე IV „პოგონატის“ (668—685 წწ.) ვერცხლის 4 მონეტა.



ს. მაგრანეთი. საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი.

გორის ნამოსახლარი განადგურებულა VII საუკუნის 80-იან წლებში, შესაძლოა, ხაზართა ერთ-ერთი გამანადგურებელი ლაშქრობის დროს.

2) ნაყოფიერი გამოდგა თხრა სოფ. თრანის ჩრდილო ნაწილში, სადაც ჯერ კიდევ 1967 წელს იყო მიკვლეული ვრცელი სამაროვანი. ამ სამაროვნის შუა ნაწილში 1969 წელს გაითხარა ადრეფეოდალური ხანის 4 სამარხი. მათ შორის სამი შირიმის ფილებით იყო ნაგები, ხოლო ერთი — ქვიშაქვის ბრტყელი ქვებით. სამარხებში, გარდა ადრეფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ინვენტარისა (ბრინჯაოს საკინძები, მინის მძივები, მშვილდსაკინძი და სხვა), აღმოჩნდა ორი თავისებური საკინძი, რომლებსაც აქვთ გრანატის თვლებით შემკული ოქროს მო-

ძრავი თავები და ბრინჯაოს ღეროები. მათთან ერთად აღმოჩნდა კიდევ ერთი საკინძის მრგვალი თავი ოქროსი, რომელიც დაფარულია მილაკისებრი „ხორკლებით“. ამ საკინძს ღერო რკინისა უნდა ჰქონოდა. ამ ნივთებს აშკარად ეტყობათ მჭიდრო კავშირი გვიანანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის, არქეოლოგიურად უკვე კარგად ცნობილ ტრადიციებთან. ეს კი საშუალებას გვაძლევს თრანში გათხრილი ქვისსამარხები ადრეფეოდალური ხანის შედარებით ადრეულ საფეხურს მივაკუთვნოთ.

3) გარდა ამისა, იმავე თრანში გაითხარა სოფლის სამხრეთით, „ოდინანთ ნასახლარზე“ მდებარე სათუნე სახელოსნოს ნაშთი, სადაც აღმოჩნდა შუაფეოდალური ხანის ქურები. ქურები ნიადაგის პლანტაჟის დროს ძალიან დაზიანებული იყო, მაგრამ მაინც შევძელით ერთი შედარებით მოზრდილი ქურის მოცულობისა და მასთან დაკავშირებული თიხის ნაწარმის ხასიათის გარკვევა. მონაპოვარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თიხის სამფეხა სადგარები, რომლებიც ქურაში გამოუწვავ ჭურჭლებს შორის „ტიხრებად“ იხმარებოდა.

4) თ ი ა ნ ე თ შ ი რაიონული ცენტრის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას მომადლო ბორცვზე მდებარე „თიანეთის ცხრაკარაზე“ ჩავატარეთ საცდელი თხრა. თიანეთის ცხრაკარა მკვლევართა მიერ გაიგივებულია კახეთის მეფე კვირიკე დიდის მიერ ნაგებ ბოდოჯის სასახლესთან და ითვლება XI საუკუნის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლად.


საცდელი თხრილები, რომლებიც გაჭრილ იქნა ყველაზე დიდ ნაგებობათა შიგნით, ძალზე ღარიბი გამოდგა არქეოლოგიური მასალით. თანაც ჩანს, რომ „ცხრაკარა“ არ წარმოადგენს მრავალფენიან ძეგლს. კულტურული ფენის ასეთი სიღარიბე მიგვითითებს რომ აღნიშნულმა სამოსახლომ იარსება მცირე დროს.

თიანეთის ცხრაკარას ნანგრევთა გასუფთავება და დაცვა მაინც საშური საქმეა, რადგან იგი მოუვლელია და იქიდან ახლაც ეზიდებიან სამშენებლო მასალას.

ამასთანავე საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია აწარმოებდა ერწო-მცხეთის დამაკავშირებელი გზების შესწავლას.

აფხაზეთის სამეფოს უცნობი ძეგლები სოფ. ხუაფში
(აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რ-ნი)

1966 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სოფ. ხუაფის მცხოვრებლებმა მეროდ ვოებამ და არსენ ანჭვამბა ჩამოიტანეს წარწერიანი ფილაქვის ნატეხები. როგორც გამოიკვია, ეს ფილაქვა მთლიანად კვადრატს წარმოადგენდა. მასზე გამოყვანილი ასომთავრული ქართული წარწერა იუწყება ტაძრის აგებას „მეფობასა გიორგისა“ და თავდება წმ. ნიკოლოზისადმი ვედრებით. ეს გარემოება გვაპარაუდებინებს, რომ ტაძარი ხსენებული წმინდანის სახელობაზე ყოფილა აგებული, ხოლო ფილა ტაძრის ფასადის პერანგის ნაწილს წარმო-



ფილაქვა ხუაფიდან.

ადგენდა, ფილაქვის შუა, ჩაღრმავებული ნაწილი მთლად უკავია კვარცხლებეკზე შეყენებულ ჯვარს. წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის X საუკუნეს, რაც ფილაქვაზე გამოსახულ ჯვრის სტილისტური ანალიზითაც მტკიცდება, ძეგლის ასე დათარიღება საშუალებას გვაძლევს, დავაზუსტოთ მასში მოხსენიებული მეფე გიორგის პიროვნება.

X საუკუნეში იგი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ გიორგი II (929—957 წწ.), აფხაზეთის მეფეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება, ხოლო თუ ეს ასეა, წარწერის ქვედა რამდენიმე ბუნდოვანი პწკარიც გაგებული უნდა იქნას, როგორც მოხსენება ამ მეფის ასულის გურანდუხტისა, რომელიც იყო ტაო-კლარჯეთის მფლობელის გურგენ ბაგრატიონის მეუღლე და ბაგრატ მესამის. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, დედა.

ფილაქვაზე ამოკვეთილმა სამშენებლო წარწერამ უფლება მოგვცა გვეგულისხმა მისი აღმოჩენის ადგილას თვით ტაძრის ნაშთების არსებობა. ეს აზრი დადასტურდა ადგილის დათვალიერების

დროს. როდესაც ხშირ ბარდებში გამოჩნდა შენობის ნანგრევი. თითქმის მთლიანად, 2,5—3 მეტრ სიღრმეზე მიწით დაფარული.

გაწმენდილი ძეგლი მდებარეობს სოფ. ხუაფის უბნის ალციფსრას ფარგლებში. იგი წარმოადგენს ერთნაიან დარბაზულ ეკლესიას, რომელსაც სამხრეთიდან უფრო გვიანდელი მინაშენი აქვს. ფასადები მოპირკეთებულია წმინდად თლილი და გულმოდგინედ მორაგებული ქვებით. შიგნით კედლის ნაღესობას მოხატულობის კვალი ეტყობა. ნაგებობის გეგმა, პროპორციები და არქიტექტურული „გადაწყვეტა“, აგრეთვე მრავალი დეტალი პარალელურ პოლობენ X ს. ზოგიერთ ძეგლში (მაგ., დარკვეთში), ხოლო ცალკეული — ჩანს, ნამდვილად ადგილობრივი წარმოშობის — მომენტებისათვის შესაფერისი პარალელების მოძებნა არ ხერხდება.

ძეგლის წმენდისას აღმოჩნდა ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ნაშთი: თიხის ჭურჭლის ნატეხები, რკინის საგნები და სხვა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს საცეცხლურის ნატეხი და ვერცხლის მცირე ხატი. XI საუკუნისა, რომელზედაც ერთობ მაღალი რელიეფით არის გამოსახული ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი, რომელსაც კალთაში მაკურთხეველი ყრმა უზის.

ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ ძეგლის გაწმენდასთან ერთად იმავე რაიონის უფრო მაღალ ნაწილში (ამბარას მთის ტყიან ფერდობზე) გამოვლინდა ნაშთები კიდევ ერთი ტაძრისა, რომელიც თითქმის მთლიანად დაფარული იყო მიწით და ემსგავსებოდა ჩვენ მიერ გაწმენდილს.

ეს მეორე ძეგლი მდებარეობს სოფ. ხუაფის ჩრდილოეთით, 4—5 კმ-ზე. იგი გამოვლენილ იქნა 1967 წელს, იმ სოფლის მცხოვრებთა, კუასტა ხაშიგისა და მიროდი გოყბას დახმარებით. წყაროს, ქვის წყობის ნაშთებისა (ე. წ. აცანგურის) და საკირეს ნაშთების არსებობა ძეგლის მაზლობლად მიგვანიშნებენ, რომ წინათ იქ სამოსახლო ყოფილა.

ეს ძეგლიც წარმოადგენს დარბაზული ტიპის ეკლესიას. ის ნაწილი, რომელიც უკავია საკურთხევილიან აბსიდას, თვითონ აღმოჩნდა ძალიან პატარა ადრეული ეკლესია საკურთხევილიანი აბსიდიტურთ, რომელსაც აქვს თავისი, კედელთან მიდგმული ტრაპეზი. დროთა ვითარებაში მისთვის დასავლეთიდან მიუშენებიათ ახალი დარბაზული, სამკარიანი ნაწილი, ხოლო ძველი პატარა ეკლესია მთლიანად უქცევიათ ღრმა აბსიდად და შიგ დაუდგამთ ახალი ტრაპეზი.

პირველადი ეკლესიის კედელთა წყობა ამოყვანილია ტლანქად თლილი ქვებით, რომელნიც მეტწილ სწორკუთხა კვადრებს წარმოადგენენ. ასევეა შემოსილი ეკლესიის კედლები შიგნით. ეს წყობა განკუთვნილი იყო შელესვისათვის და ნალესობის ნაშთები შემორჩენილიც არის.

ნაგებობას აქვს ორსაფეხურედი ცოკოლი. მინაშენის კედელთა წყობა ძლიერ განსხვავდება ძირითადი ეკლესიის კედელთა წყობისაგან: ქვები ძალიან ტლანქად არის მოჭრილი, დიდ-პატარაა, წყობაში არ არის დაცული რიგების, ჰოროზონტალობა. ასევე განსხვავებულია ცოკოლი. ძირითადი ეკლესიის კონქი და თალები ნაგებია შედარებით მსუბუქი მასალით, შირიმისაგან. იმავე ქვისაგან არის გამოთლილი აფსიდის სარკმლის საპირე. ძირითადი ეკლესიის გრძივ კედელთა ტორსები გადაკეთების შემდეგ ქცეულა აფსიდის განიერ, რამდენადმე დამრეც მკლავებად, აბსიდის ორივე მხარეს ასეთი დაცერება უეჭველად განზრახ იყო შექმნილი, ერთი შენობის მეორეში გადასვლის შთაბეჭდილებას აძლიერებდა.

ძეგლის გაშენდისას აღმოჩნდა ნაშთები ქვევრებისა (რომლებიც ასრულებდნენ რეზონატორების მოვალეობას) და VII—XI სს.-თა სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები; ნატეხები სარკმლის მრგვალი ლურჯი მინისა, რომელნიც სპეციალისტების ნ. უგრელიძისა და მ. ჩხატარაშვილის დასკვნით მიეკუთვნებიან VIII—IX სს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძეგლის ჩუქურთმიანი ფირფიტის ნატეხების აღმოჩენა (ეს პირველია აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში), რომელზედაც არის ვაზის ლერწის სტილიზებული ბარელიეფური გამოსახულება. ფირფიტა შეიძლება მიეკუთვნოს ადრეულ შუასაუკუნეებს და ადგილობრივ იყოს ნაკეთები.

დასავლეთის კარის ზღურბლთან აღმოჩნდა შვლის რქები. ისინიც წარმოადგენენ მონადირეთა შენაწირავს, რაც ჩვეულებრივ უკავშირდება წმ. გიორგის კულტს, რომელმაც დაიმკვიდრა ნადირობის წარმართული ღვთაების ფუნქციაც. ეს საშუალებას გვაძლევს შესწავლილი ეკლესიის პატრონად სწორედ ეს წმინდანი ჩავთვალოთ.

სარკმლის მინის ნატეხები, რომლებიც მინაშენის გარე კედელთან აღმოჩნდა, ამ ნაგებობას ათარილებენ VIII—IX სს.-ით, ხოლო პირველადი ეკლესია შეიძლება მიეკუთვნოს უფრო ადრინდელ ხანას.

ხუაფის ტაძრები, თავისთავად საინტერესო არიან, როგორც შუასაუკუნეების, აქამდე სრულიად უცნობი ძეგლები. ამას გარდა, ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იმით იწვევენ, რომ მდებარეობენ

მთიანი აფხაზეთის იმ კუთხეში, რომელშიც მსგავსი ნაგებობანი აქამდე არ ყოფილა ცნობილი და იმითაც, რომ ისინი მიეკუთვნებიან ძეგლებით არც ისე მდიდარ ხანას აფხაზეთის სამეფოს არსებობისა. ამასთანავე, ერთ-ერთ ამ ძეგლთაგანს აქვს კიდევაც წარწერა, რომელშიც იხსენიება იმდროინდელი ცნობილი პიროვნება.

ბოლოს, ის გარემოება, რომ სოფ. ხუაფში არსებობს ტოპონიმი „ხუნინა“, რაც ნიშნავს „ხუთ საკურთხეველს“, შესაძლოა, ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ იქ კიდევ სხვა ანალოგიური ძეგლები.

პ. ზაქარაია, ვ. ლემვინაძე

არქეოლოგიური გათხრები ჭაქვინჯასა 1960 წ. და გულავაში

ორ ზემონტსენებულ პუნქტში მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ექსპედიცია.

ჭაქვინჯაში (ზუგდიდის რ-ნი) მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი ციხე-სიმაგრის გათხრები, რომლის ციტადელში გასულ წელს გამოვლინდა პალატის ნაშთები ორი სწორკუთხა შიდა სვეტითა და შესანიშნავი მოპირკეთებით. წელს პალატის ახალი დეტალები გამოჩნდა. იგი უნდა იყოს კარიბჭის ან აივნის ნაწილები, რომელიც სამი მხრით ეკვროდა ნაგებობას. გაგრძელდა, აგრეთვე, დარბაზული ტიპის ეკლესიის გათხრები, ორივე ძეგლი განეკუთვნება განვითარებულ ფეოდალურ ხანას. ციხე-სიმაგრის ციტადელი კი თავისი ოთხი კოშკით მრავალფენოვან ძეგლს წარმოადგენს, რომლის უძველესი ნაწილი გვიანანტიკური ან ადრეფოდალური ხანისაა. ამავე წელს ციტადელში გაითხარა კიდევ ერთი დიდი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი, რომელიც გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება და ხსენებულ პალატს ემიჯნება. ამ ნაგებობის შიგნით აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული ქვევრები. დადგინდა აგრეთვე ქვედა ციხის გვერდის კონტურები, რომელიც ციტადელს ჩრდილოეთიდან ეკვროდა.

ციტადელის კულტურული ფენა არეულია. მასობრივი არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია სამშენებლო კერამიკისა და თიხისა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტებით. კერამიკულ ნატეხებში ჭარბობს დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ნიმუშები, რომელთა თავისებურება მკვეთრად გამოხატული

დოქების ღარებიან სახელურებში. ძალიან ბევრია ქვევრის მასიური, ამფორის მსგავსი ძირები. ასეთი ქვევრის ერთ ნატეხზე შემორჩენილია მისი დამამზადებელი ოსტატის სახელი „ესტატე“. კერამიკიდან გამოიყოფა მოჭიქული ჭურჭელი, რომელშიც ორი ქრონოლოგიური ჯგუფი შეიმჩნევა: XI—XIII და XVI—XVIII სს. მოჭიქულის ფრაგმენტებში გამოირჩევა როგორც აღმოსავლურ-ქართული წარმოების ნიმუშები, ასევე ჯერჯერობით დაუდგენელი ცენტრების პროდუქცია.



ციხე ქაქიანო.

გვიანფეოდალური ჭიქური კი ძირითადად ირანული წარმოშობისაა.

დანარჩენ მონაპოვრებში უნდა აღინიშნოს იმპორტული ფაიანსისა და ჩინური სელადონების ნიმუშები, თურქული მონეტებისა და ორნამენტირებული თიხის ყალიბები, ისრისპირები,

კანკელის ფრაგმენტები, ვერცხლის ხატის მოჭედილობის ფრაგმენტები, წმ. გიორგის გამოსახულებიანი ვერცხლის ხატის მოჭედილობა, ბეჭედი-საბეჭდავი, რომელზედაც იკითხება გვარი „ასათიანი“ და ა. შ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ადრეანტიკური პერიოდის შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი.

ქაქიანოში წარმოებდა ინტენსიური დაზვერვითი სამუშაოებიც, რომლის შედეგებია: სოფ. სკურში მცირე ზომის, გვიანანტიკური პერიოდის სათვალთვალო კოშკის გაწმენდა და ფიქსაცია; ადრეფეოდალური ხანის მარმარილოს დეტალების გამოვლენა მოგვიანო ხანის ეკლესიებში და ა. შ.

სოფ. გულდავაში (გალის რაიონი), სადაც გათხრები დაიწყო მხოლოდ იმ წელს, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური წერილობითი წყაროების მიერ მოხსენებული ზიგანოსი ლოკალიზდება. აქ ჯერ რომაული გარნიზონი იდგა, შემდეგ კი — VII—IX სს. — მდებარეობდა ეგრისის (ლაზიკის) საკათალიკოსოს ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა. გათხრები აქ ჯერჯერობით ძირითადად სადაზვერვო ხასიათისა იყო. დადგენილ იქნა ძეგლის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელზედაც ინტენსიური კულტურული ფენების მქონე მონაკვეთები გაფანტულია და, როგორც წესი, პატარა ბორცვებითაა წარმოდგენილი. კულტურული ფენები

გვიანანტიკური და შედარებით უფრო ახალი პერიოდისაა. გვიანანტიკური პერიოდის მასალაში არის რომაული მონეტები, შინის კურკლის ნატეხები, ამფორების, წითელლაკიანი თეფშების, სამზარეულო კურკლისა და სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები.

გვიანანტიკური ფენის ქვეშ არის მარილის წარმოებასთან დაკავშირებული უამრავი ნატეხის ფენა. იგი წარმოდგენილია ზღვის წყლიდან აორთქლების შედეგად მარილის მიღებისათვის განკუთვნილი ფართე სწორკუთხა კურკლის ფრაგმენტებითა და ორკაპა კერამიკული საყრდენებით.

ამ წელს დასრულდა მხოლოდ მდ. ოქუმის მიერ ჩამოშლილი, შვერილაფსიდიანი დარბაზული ტიპის ძველი ეკლესიის ნანგრევების გაწმენდა. ეკლესიიდან გადარჩენილია მხოლოდ საძირკვლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე და შიდა საძვლე.

ბ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ვ. ართილაყვა

მესამე კამპანია თბილისის დედაციხეზე (1969 წ. შემოდგომა)

თბილისის დედაციხეზე 1968 წლის უნებური, ტექნიკური სიძნელით გამოწვეული ხარვეზის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ 1969 წელს იმუშავა ორი თვის განმავლობაში. მთლიანად გაიწმინდა ადრე — პირველი კამპანიისას, 1966 წელსვე — აღმოჩენილი ტაძრის ნანგრევი და მის დასავლეთით მდებარე ფართობი, 20×8 მ.

თხრის შედეგები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

1. ტაძრის დასავლეთ ფასადზე გამოვლინებულმა ახალმა, კარგად შემონახულმა ნიშებმა და კარ-სარკმელთა პილასტრებმა კიდევ ერთხელ დაუკრეს კვერი ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ტაძარი XII—XIII საუკუნეებში აგებული გუმბათიანი ნაგებობაა და ზოგადად თბილისის მეტეხის ტაძრის თანადროულ ძეგლს წარმოადგენს.

ტაძრის შიგნით ბოლომდე გაწმენდამ დაადასტურა აგრეთვე

¹ ექსპედიციაში, ანგარიშის ავტორთა, ხელმძღვანელთა გარდა მონაწილეობდნენ: ინსტიტუტიდან მ. მიწიშვილი, ნ. მამაიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი და თ. არჩვაძე, მუზეუმიდან კი ნ. გოძიაშვილი, მ. ბოქოლიშვილი, ზ. მკვდლიშვილი და ლ. ნებიერაძე.

ადრინდელი ვარაუდი, რომ ეკლესია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დანგრეულიყო. ჩანს, მაშინვე გაუჭრიათ მისი ნახევარწრიული საკურთხეველი და იქიდან უვლიათ შენობაში, რომელსაც თითქოს რაღაც სამხედრო დანიშნულებაც კი მინიჭებია. იმავე ხანაში ქვა-ტალახითა და აგურით ამოუშენებიათ სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები.

რაც შეეხება ტაძრის დასავლეთ ფასადს, იგი დაუფარავთ აგურისა და დუღაბის მყარად ნაშენი კედლით, ხოლო სივრცე ბუნებრივ კლდესა და ტაძრის ამ ფასადს შორის შეუვსიათ მიწითა თუ სხვადასხვა დროის ნაგვით და ამგვარად შეუქმნიათ შემაღლებული მოედანი, რომელზედაც დაუდგამთ აგურით ნაშენი აბანო. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ ზედ ადევს ტაძრის მთავარ დასავლეთ კარს, რომელიც დაუქმებულ-ამოქოლილია.

2. გამოვლინებული აბანოსგან დღემდე მოაღწია მისი იატაკის ნაწილმა, საცეცხლე განყოფილებამ და კანალიზაციამ. აღნაგობით ეს აბანო ემსგავსება თბილისშივე, ერეკლე II მოედანზე, როსტომ ქართლის მეფის სასახლის მცირე ნაშთებს შორის შემორჩენილ აბანოს, რომელიც XVII ს. პირველ ნახევარშია აგებული; აგრეთვე გრემის ნაქალაქარში გათხრილ იმდროინდელ აბანოსა და კუხეთის რუსთავის ციხეზე იმავე ხანებში აგებულ (ერეკლე I მიერ) აბანოს. მიუხედავად გეგმის მხრივ მსგავსებისა, თბილისის დედაციხის აბანო აგებული უნდა იყოს მოგვიანებით, როდესაც იქაური ტაძარი სავსებით დანგრეულა, დაუზოგავად გადაუკეთებიათ და აბანო, როგორც ითქვა, ნანგრევზე დაუფუძნებიათ.

ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მას აქეთ, რაც, XVII საუკუნეში, როსტომ მეფემ თბილისის ციხე სასახლითურთ გადასცა სპარსელებს. მაგრამ თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თბილისის „მაღალი ციხის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია“ ჯერ არ ჩანს დანგრეული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აბანო აშენებულია ტაძრის დანგრევის შემდეგ, რაც ვახუშტი ბაგრატიონის რუსეთში წასვლის მომდევნო დროში უნდა ვიგულისხმოთ.

3. დედაციხის ტაძრის შიგნით წმინდისას მოპოებული ნივთები ასე ჯგუფდება: კერამიკა (კერძოდ ფაიანსიც), მინა, ლითონის საგნები, ცხოველთა ძვლები და 9 მონეტა. ამ უკანასკნელთა შორის არის თამარისა, 1210 წელს მოჭრილი, სპილენძისა; ჯერ გაურკვეველია ორი აღმოსავლური, სპილენძისა; თურქული ახჩა XVII ს.; ეკატერინე II-სა, 4, სპილენძისა, 1784 წელს მოჭრილი და სხვა მონეტები.

კერამიკა წინანდებურად შეიძლება მიეკუთვნოს ოთხ სხვადასხვა ხანას. ყველაზე ძველია მოჭიქულ ჯამთა ნატეხები, რომლებზედაც შემორჩენილია ადამიანის, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებისა და მცენარეული ორნამენტის ნაწილები. ეს ჯამები მოგვაგონებენ 300 არაგველის ბაღის განათხარში 1948-49 წწ. აღმოჩენილთ, რომლებიც XII—XIII სს. თარიღდებიან და უფრო კი XIII საუკუნეს მიეკუთვნებიან. მათთანვე თავსდება რამდენიმე ნატეხი მწვანედ მოჭიქული ჯამებისა და ორიოდ ნატეხი საწყლე ქურკლისა.

გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის ტაძრის შიგნით და აბანოს ნანგრევების წმენდისას ნაპოვნი ფიალა-ჯამთა ნატეხები, რომლებიც ბაკოს შიგნით ოდნავ ჩაზნექილობით, სიღრმითა და მაღალი, სწორად მოკვეთილი ქუსლით ხასიათდება. ისინი და წინა კამპანიათა დროს იქვე ნაპოვნი ჯამები მსგავსია დმანისის და გრემის ნაქალაქარებზე გამოვლინებული ჯამებისა, რომლებიც XVII საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

XVI ს. ბოლოს და XVII საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს წითელკეციანი, წერნაქით შეღებილი, ქუსლგანიერი ფრიალა თეფშების ნატეხები, რომელთა ანალოგები, გარდა თვით დედაციხისავე აღჩინდელი განათხარისა, 1965 წელს დმანისის ნაქალაქარის პირველ უბანზე მოპოებულ მასალებშიც გვაქვს.

ტაძრის შიგნით თხრისას მოპოებულ მასალებში ყურადღებას იქცევს სამი ნატეხი წითელკეციანი, მწვანედ მოჭიქული ხელადებისა, რომლებიც შემკულია თითო წვეროსანი მამაკაცის დაბალ-რელიეფური სახით. ორი ამგვარი ხელადა დედაციხეზე აღმოჩენილია პირველი კამპანიის დროსაც. ეს ხელადები მოყვანილობით, მაღალი წვრილი ყელით, პირით, მხარსა და ყელზე შებმული ყურით, თხელი ფაქიზი კეცით უახლოვდებიან ქ. გრემში განათხარის მსგავს, XVI—XVII საუკუნეებით დათარიღებულ ხელადებს.

ცალკე აღსანიშნავია ტაძრის შიგნით და გარეთ თხრისას ნაპოვნი, ათიოდ ნატეხი წითელკეციანი, მონაცისფრო-მოცისფროდ მოჭიქული ფიალებისა და ერთი მთელი ფიალა, რომელთაც მაღალი, ამოღარული, ბორბლისებრი ქუსლი აქვთ. ისინი, ერთი შეხედვით, მოგვაგონებენ XII—XIII საუკუნეთა თბილურ და დმანურ ჯამებს, მაგრამ ასეთი ფიალის ქუსლი საანგარიშო წელს აღმოჩნდა XVIII ს. ფენაში, ეკატერინე II სპილენძის მონეტასთან ერთად და ეს კი საეჭვოს ჰყოფს, რომ საქმე გვქონდეს შუაფეოდალური ხანის კერამიკასთან. ამას უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკატერინეს მონეტასთან ერთად პოვნაც და თვით მისი შემცველი მკვიდრი ფენაც

XVIII საუკუნისა. ძნელი დასაშვებია, რომ XVIII საუკუნეში კვლავ აღორძინებულიყო ძველი ქართული ჭურჭლის ერთი სახეობა. სხვაგან ასეთი ჯამი აღმოჩენილია ვარდისუბანში (დმანისის რაიონი).

შესაძლოა მაღალი და ბორბლისებრი ქუსლის მქონე ფიალა-ჯამები საერთოდ XVIII საუკუნის საკუთრებაა და ასე უნდა დათარიღდეს აღმოსავლეთ საქართველოს მუზეუმებში შემთხვევით მოხვედრილი ამგვარად მოჭიქული სხვა ჭურჭელიც.

მოჭიქული საწყლე ჭურჭლიდან ყურადღებას იქცევს წითელკეციანი, წერნაქიანი თიხის პატარა „კულა“, რომელიც აბანოს ნანგრევის წმენდისას აღმოჩნდა — თიხისავე, თავისებური „ჩაიდნისებრი“ ჭურჭლის ნატეხებთან ერთად. „ჩაიდნისებრი“ ჭურჭელი გვხვდება დმანისის განათხარშიც. ირანულ კერამიკულ და ლითონის ჭურჭლის კოლექციებში ისინი XVII საუკუნემდის არის შემონახული. ამგვარი ჭურჭლის გამოსახულებას ვხედავთ „ვეფხისტყაოსნის“, 1646 წელს დანატულ მინიატურაშიც.

4. ტაძრის დასავლეთით თხრილში გამოვლინდა რამდენიმე ნატეხი ფაიანსის ღიდი ჭურჭლისა, რომელიც შემკულია ხომალდის გამოსახულებით. ეს ჭურჭელი თითქოს ირანული არ უნდა იყოს. იმავე ფენაში აღმოჩნდა ნამდვილად ირანული ფაიანსის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, შესაძლოა, უფრო აღრინდელიც.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო კამპანიის დროს საკმაოდ ღიდი ფართობი იქნა გათხრილი, არსად არ ჩნდებოდა შუაფეოდალური ხანის ფაიანსის იმპორტული ნაწარმის ნაშთები: იგი უმთავრესად გვიანფეოდალური ხანის კუთვნილება ჩანს მართლაც.

5. ყურადსაღებია ტაძრის შიგნით თხრისას ნაპოვნი ლითონის საგნებიც. მათ შორის მრავლად არის (65 ერთეული) ზარბაზნებითა და ზამბულაკებით სატყორცნი თუჯის ჭურჭეები, რომლებიც დიამეტრის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 3 სმ., 6 სმ და 12 სმ.

განსაკუთრებით საინტერესოა და არქეოლოგიაში ახალიც არის მცირე, მსხლისებრი მოყვანილობის „ხელყუმბარები“, რომლებიც ტაძრის შიგნით და გარეთ აღმოჩნდა „განძების“ სახით, სულ ორმოციოდე ცალი. მათი ლითონი მყიფე, ადვილად მსხვრევადი თუჯია. შიგნით მსხლისებრი ცარიელ ყელში ყველას დატანებული აქვს ნახვრეტი, რომელშიც, ალბათ, ტყორცნის წინ თოფისწამლისათვის წასაკიდებლად პატრუქი მაგრდებოდა. ეთნოგრაფიული პარალელების მიხედვით, შესაძლოა პატრუქი ლერწმისა ყოფილიყო.

„ხელყუმბარაში“ ყელიდანვე ჩატენიდნენ დენტოს, საჭიროებისამებრ აანთებდნენ პატრუქს და თავზე დააყრიდნენ მოახლოებულ მტერს.

„ხელყუმბარათა“ ერთ-ერთ განძთან ახლოს, იმავე ფენაში ეკატერინე II სახელით 1784 წელს მოჭრილი მონეტების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ყოფილა ასეთი ხელყუმბარები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ეგებ ცოტა გვიანაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ტაძრის შიგნით აღმოჩენილი თოფის კონდახის, „დუგლუგის“ სპილოსძვლის ნაწილი, ზეინკლის ხელსაწყო — საზეთური მასრა და ფოლადის სახვრეტი. ეს მონაპოვრები ეგებ იმას გვანიშნებს, რომ თოფ-იარაღის შესაკეთებლად დედაციხეშივე ჰქონიათ სახელოსნო.

ტაძრის გარეთ, შუაფეოდალური ხანის ფენაში აღმოჩნდა ჯაყვა. რომლის ანალოგები გვხვდება გუდარეხის, დმანისის ნაქალაქარის, ძველი ბოლნისის და ნაჭივჭავების განათხარებში, სადაც ისინი XII—XIII საუკუნეებით თარიღდება.

აღსანიშნავია კიდევ ცხენის, სახედრისა თუ ჯორის ნალები, აგრეთვე მრავლად გამოვლინებული, ხელით ნაქედი სამშენებლო ლურსმნები, იმ ტიპისა, რომლის არსებობაც მთელი შუასაუკუნეების მანძილზე გაიკვლევა და რომლის ქრონოლოგიურად დანაწევრება საძნელო ჩანს.

6. თხრისას აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკიდან საანგარიშო კამპანიის დროსაც ყურადღებას იქცევდა ძველი „ქართული“, კვადრატული აგური, რომლის ერთი ნაწილის ზომა $35 \times 35 \times 5$ სმ., ხოლო მეორესი — $25 \times 25 \times 5$ სმ შეადგენს. პირველი ჯგუფი დამახასიათებელია XI—XIII სს. ძეგლებისათვის, ხოლო მეორე XVIII ს. ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრისთვისაც კი. ამასთანავე კვლავ ამოდიოდა შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი, ქართული „შემოღობილი“ ანუ კიდებბაკეცილი, ღია-ციხურად მოჭიქული კრამიტი — ჩანს, ისევ ტაძრის სახურავისა.

7. ტაძრის შიგნით და გარეთ აღმოჩნდა რამდენიმე წვრილი ნივთი, მათ შორის: ჩიბუხები, ჭრაქები, ბალთები და მახათი, მსგავსი ჩიბუხები მრავლად იყო წინა ორი კამპანიის განათხართა გვიანდელ ფენებში, აგრეთვე ახალქალაქში და ბაქოს მთავარი ციხის განათხარებში XVI—XVIII სს. ფენებში.

აღმოჩენილი ორი ჭრაქი და ჭრაქების ოთხიოდე ნატეხი მაღალია და მსგავსი წინა კამპანიებში აღმოჩენილი ჭრაქებისა, რომლებიც გვიანფეოდალური ხანისაა.

ხანგრძლივი ტექნიკური დაბრკოლების (მალლიდან მიწის გატანის დიდი სიძნელის) დაძლევის შემდეგ თბილისის დედაციხეზე კვლავ და გაცილებით უფრო გაცხოველებით უნდა წარიმართოს არქეოლოგიური თხრა.

ბ. ლამბაშიძე

**ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში („თხაბა-ერდი“
და „ელბი-„ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური
კვლევა-ძიების ანგარიში**

მთიან ინგუშეთში, მდ. ასის ხეობაში შემორჩენილია ქრისტიანული ტაძრის თხაბა-ერდის ნანგრევი. იგი მე-18 ს. გასულიდან მკვლევართა ცხოველ ყურადღებას იქცევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ბაქრაძის, ვ. მილერის, ე. კრუპნოვისა და მეტადრე კი გ. ჩუბინაშვილის დეაწლი იმ ეკლესიის შენწავლის საქმეში.

აკად. გ. ჩუბინაშვილმა ძეგლი შეისწავლა არქიტექტურის ისტორიის, საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ისტორიისა და ეპიგრაფიკის თვალსაზრისით, მისი აზრით, თხაბა-ერდი არის ქართული კულტურის ძეგლი, რომელსაც ახასიათებს ზოგიერთი ლოკალური, ინგუშური თავისებურება. ავტორმა გამოყო ტაძრის მშენებლობის ისტორიის სამი ხანა: VIII—IX სს., X—XI სს. მიჯნა და გვიანი შუა საუკუნეები, დაწყებული XV—XVI სს. (Г. Н. Чубинашвили, «К вопросу о культурных связях Грузии и Ингушетии», 1941).

ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ კულტურის სამინისტროს თხოვნით, 1969 წ. ზაფხულში თხაბა-ერდის სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებულმა სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო ნახელოსნომ არქიტექტორ ლ. ხიმშიაშვილის პროექტით. გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად მიწვეულ იყვნენ არქეოლოგები რ. რამიშვილი და გ. ლამბაშიძე.

ეკლესიის გაწმენდა, რაც ჩატარდა მისი საავარიო მდგომარეობის გათვალისწინებით, გასამაგრებელი სამუშაოების პარალელურად, შეეხო თვით ეკლესიას და შემოგარენს, ეკლესიიდან 2—6 მ დაცილებით. 1969 წ. ძეგლი მთლიანად ვერ გაიწმინდა.

ეკლესიის შიგნით თხრისას აღმოჩნდა: კრამიტის ნატეხები, სარდონის მძივი და რკინის ბრტყელი, ყუნწიანი ისრისპირი. ეკლე-

სიის გარშემო თხრისას აღმოჩნდა: რკინის 6 ისრისპირი (ბრტყელი და ოთხკუთხა მოყვანილობისა, ყველა ყუნწიანი), თიხის ჩიბუხის ნატეხი და აგრეთვე არქიტექტურული დეტალები. ცალკე აღსანიშნავია ქვის ჭვარი (სიმაღლე — 112 სმ, განი — 102 სმ). მას ტოლი მრგვალი მკლავები და მკლავთა ბოლოებში ბურთობები აქვს. ჭვარს მკლავები ჩამოტეხილი ჰქონდა, მაგრამ ყველა ჩამონატეხი აღმოჩნდა. ჭვარი იყო ეკლესიის სამხრეთ კედელთან, ეტყობა, მისივე კვარცხლბეკის გვერდით. საყურადღებო აღმონაჩენია აგრეთვე ნახევარწრიული ამოდრეხებული ძირბრტყელი ქვა ($d = 62$ სმ, $h = 45$ სმ). იგი, ჩვენი ვარაუდით, სანათლავს ანუ ემბაზს წარმოადგენს. ისიც და ჭვარიც, ალბათ, თხაბა-ერდის ტაძრის არსებობის აღრინდელ ხანას მიეკუთვნება.

ეკლესიის ზეძირკველის დონემდე აღებულ მიწის ფენაში (0,5—2,5 მ) მრავლად გვხვდებოდა ბრტყელი „შემოლობილი“ და ღარისებრი კრამიტის ნატეხები (ზედ რელიეფური ტოლმკლავა და გოლგოთიანი ჭვარია გამოსახული). აღმოჩნდა აგრეთვე 7 ანტიფიქსი. ორ მათგანზე რელიეფურად გამოსახულია ექვსფურცელა ვარდული, დანარჩენებზე კი ტოლმკლავა ჭვრები. გაიკვია, რომ აღმოჩენილი ბრტყელი კრამიტი ორი სხვადასხვა ზომის ყალიბშია მოჭრილი. პირველის აღდგენილი სიგრძე უდრის 41 სმ, განი თავში — 30 სმ, განი ბოლოში — 23,5 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე — 4,5 სმ. ამნაირ კრამიტზე იყო სამპწკარიანი ასომთავრული რელიეფური წარწერა, რომელსაც (ჩვენ წარწერას ასე ვკითხულობთ: „ქრისტე შეუნდვენ არსენიმ“. მეორენაირ ყალიბში მოჭრილი კრამიტის სიგრძე უდრის 36,5 სმ, განი თავში — 29 სმ, განი ბოლოში — 22,7 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე — 4,5 სმ. მათზეც ასომთავრული რელიეფური, სამპწკარიანი წარწერაა და ამ უკანასკნელს ვკითხულობთ; „ქრისტე შეუნდვენ არსენს მ“. ორივე ყალიბში მოჭრილი კრამიტის თიხა, გამოწვა და ასოთა მოხაზულობა დაახლოებით ერთნაირია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი თანადროულია. ბრტყელ კრამიტზე გამოყვანილი წარწერები პალეოგრაფიულად შეიძლება დათარიღდეს X ს. მეორე ნახევრით — XI ს. პირველი ნახევრით, უფრო კი X ს. მეორე ნახევრით. ამ თარიღს მხარს უჭერს აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ თხაბა-ერდის მშენებლობის ისტორიის ერთ-ერთ ხანად X—XI სს. გარდამავალი ხანის გამოყოფა, აგრეთვე კრამიტის ზომა და მასზე და ანტიფიქსებზე გამოყვანილი გამოსახულებანი. ამგვარად, თხაბა-ერდის ეკლესია X ს. მეორე ნახევარში ან X—XI სს. მიჯნაზე გადაუხურავთ წარწერებით და ჭვრებით შემკული ბრტყელი

და ღარისებრი კრამიტით (ლავგარდანთან კრამიტის პირველი რიგისათვის კი შემოუყოლებიან ჯვრებითა და ვარდულებით შემკული ანტეფიქსები).

საქართველოში ტაძართა მშენებლები მეფენი, დიდი საერო და საეკლესიო ფეოდალები თუ ცალკეული თემები იყვნენ. ინგუშეთში ქრისტიანული ეკლესიის აგება საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ და სახელმწიფო თუ საეკლესიო ხელმძღვანელებს მივაწეროთ. თხაბაერდის ბრტყელ კრამიტზე აღნიშნული „არსენიძე“, რაკი წარწერის პალეოგრაფიაც იქითკენ გვიბიძგებს, იქნებ მივიჩნიოთ X ს. მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწედ, ქართლის კათალიკოსად, არსენ მეორედ, ხოლო კერძოდ ასო „მ“ ამოვხსნათ, როგორც „მამათმთავარი“ ან „მთავარეპისკოპოსი“ (მამათმთავარი || მთავარეპისკოპოსი || კათალიკოსი, იხ. ივ. ჯავახიშვილი). მით უმეტეს, რომ როგორც ქართულ ხელნაწერ თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არსებული მხოლოდ ასოიანი დაქარაგმების მაგალითების მოხილვამ გვიჩვენა, დაქარაგმების ეს წესი უმთავრესად ბიბლიური სახელების, საეკლესიო თუ საერო თანამდებობის და წოდების აღსანიშნავად იხმარებოდა.

X ს. კრამიტის აღმოჩენა ეკლესიის შიგნით და სახელდობრ იმ კულტურულ ფენაში, რომელიც ჩვენ გვიან შუასაუკუნეებს მივაკუთვნეთ. ალბათ, იმით აიხსნება, რომ ისინი ნაწილობრივ გამოუყენებიათ ეკლესიის მშენებლობის მესამე (აკად. გ. ჩუბინაშვილის მიხედვით) ხანაშიც.

ეკლესიის სამხრეთი კედლის გაყოლებაზე გარედან, ნაცროვანი ფენის ქვეშ გათხრილ იქნა ორი მიწისქვეშა აკლდამა, ეტყობა, თანადროული. მათ იქ არსებობას, როგორც ეს ხშირად გვხვდება ჩრდ. კავკასიის მსგავს სამაროვნებზე, მიგვითითებდა ვერტიკალურად ჩადგმული ქვის ფილები. პირველი სამარხი აგებულია ადგილობრივი ფილაქვითა და კირით. გეგმით წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს (2,1×1,1×1,18 მ), გადახურულია ქვის ფილებით, ლორთინებით. შიგნით აკლდამაში ფილაქვებით გამართულია ორი საცხედრე, რომლებიც თავთან ბალიშებივით ამალგებულა, მათზე ესვენა თითო მიცვალებული, ჩონჩხები დამხრობილი იყო თავით დასავლეთისაკენ; იდო გულადმა, ხელები ტანს ჩამოსწვრივ ეწყობო, თავები პირისახით მარცხნივ მიბრუნებული. ჩრდილთ ჩონჩხს მკერდის არეში შემორჩენილი ჰქონდა ტანსაცმლის მოქარგული ოთხკუთხა ნაჭრები. იქვე აღმოჩნდა მოოქროვილი ბრინჯაოს ორი ბრტყელი, ფიგურული საკიდი და მოოქროვილი ბრინჯაოსავე 2 ბურ-

თისებრი და 3 მსხლისებრი ღილი. მიცვალებულის თავთან იყო რკინის პატარა ცალპირა დანა, ხის ქარქაშის ნარჩენითურთ და სარდიონის მძივი. ფეხებთან იდო ღია მოყვითალო მინის პირმომტვრეული ჭიქა, რომელსაც ელიფსური ბურცობები აქვს. სამხრეთ ჩონჩხთან აღმოჩნდა: ზემოაღნიშნულის მსგავსი ბრინჯაოს 3 ბურთისებრი და 1 მსხლისებრი ღილი და ერთიც ფიგურული საკიდი. თავის არეში აქაც აღმოჩნდა ცალპირიანი დანა ხის ქარქაშის ნარჩენითურთ. აკლდამის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულ ფილაქვა-თაროზე იდო ღია მოყვითალო მინის თასი.

აკლდამის დასავლეთ კედელში, მის ზედა ნაწილში აღმოჩნდა შედრმავება (60×48×22 სმ). იგი, ეტყობა, წარმოდგენდა აკლდამაში ჩასაძრომს, რომელიც შემდეგ ამოუქოლავთ.

ამ აკლდამას აღმოსავლეთით უშუალოდ ებჯინება მეორე მიწისქვეშა აკლდამა. ეტყობა, ეს ისაა, რომელიც ვ. მილერს გაუთხრია XIX ს. ბოლოს. იგი აშენებულია მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული ქვებითა და კირით. გეგმა წარმოდგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს (1,8×1,7×1,5 მ), გადახურვა თაღოვანია.

დასავლეთ კედელში, მის მარჯვენა ნაწილში აქაც მოწყობილია (50×50 სმ) აკლდამაში შესაძრომი, რომელიც, წინა აკლდამისაგან განსხვავებით, არ იყო ამოქოლილი. აკლდამის იატაკი სწორი და კირმოსხმულია. ძვლები არეულ-დარეული და ძალზე დაშლილი იყო, ისე რომ ვერც დამარხვის წესი და ვერც ჩონჩხთა რაოდენობა ზუსტად ვერ დადგინდა. პრეპარაციისას აღმოჩნდა: რკინის ცალპირა ხისქარქაშისანი დანის ნატეხი, თეთრი მინის მძივი და ორფერი მინის ჭიქის ნატეხები.

თხაბა-ერდში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ძალზე საყურადღებოა. მას მოყვანილობით, შემკულობით და, ჩანს, თვით მინითაც ზუსტი ანალოგია მოეპოვება ჩრდილო ოსეთში, სტანიცა ზმეისკაიაში გათხრილ, გვიანალანურ კატაკომბურ სამარხებში მოპოვებულ მინის ჭურჭელში, გამთხრელები (ს. კუსაევა, ვ. კუზნეცოვი). იმ ჭურჭელს საქართველოდან, ამიერკავკასიიდან, შეტანილად მიიჩნევენ. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს ქართულ სამყაროსთან მჭიდროდ დაკავშირებულ თხაბა-ერდის ტაძართან გათხრილ სამარხებში სრულიად იმნაირივე ჭურჭლის აღმოჩენა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საქართველოში, სადაც მინის წარმოება იმ დროისათვის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლიდა, და არც ამიერკავკასიაში აბსოლუტურად მსგავსი მასალა ჯერ არაა გამოვლენილი. ანალოგები, ორნამენტის მხრივ ზოგიერთი მსგავსების გარდა, ვერ მოეძებნათ ვერც აღმოსავლეთისა და ვერც

დასავლეთის ქვეყნებში ცნობილ მინის წარმოების ცენტრების პრო-
დუქციაში. ისე რომ მინის იმ ჰურჯლის კონკრეტული წარმომავ-
ლობის საკითხს ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ.

თხაბა-ერდისთან ჩვენ მიერ გათხრილი მიწისქვეშა აკლდამები
აღნაგობით და შენების ხერხებით ითვლება დამახასიათებლად
ჩრდილო კავკასიისათვის, კერძოდ ალანური კულტურის აღმოსავ-
ლური ლოკალური ვარიანტისათვის, რომელიც ვ. კუზნეცოვმა გა-
მოყო. ჩვენ მათ, სამარხთა ტიპების, სამარხეული ინვენტარისა და
სტრატოგრაფიული დაკვირვების მიხედვით, XI—XII სს. ვათა-
რილებთ.

აქვე უნდა შევჩერდეთ თხაბა-ერდისთან დაკავშირებულ მეტად
მნიშვნელოვან წარწერაზე, რომლის დ. ბაქრაძისეული წაკითხვაც
გამოქვეყნებული აქვს ვ. მილერს (MAK, I, 1888, გვ. 20, ნახ. 31,
წარწერა № 2). ის ქვა თხაბა-ერდიდან XX ს. დასაწყისში გადაუ-
ტანიათ და ამჟამად ქ. გროზნის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში არის.
მისი ბაქრაძისეული წაკითხვა არაა ზუსტი და ეს თავის დროზე
აღნიშნა აკად. გ. ჩუბინაშვილმა. ჩვენ მიერ გადმოღებულმა ასლმა
იმ წარწერისა ასეთი ტექსტი მოგვცა: „ქ რ ი ს ტ ე ა დ ი დ ე ა ლ-
მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ი მ ქ ი ზ ე კ ა მ ი ნ“, წარ-
წერაში იხსენიება XI ს. I მესამედის ქართლის კათალიკოს-პატ-
რიარქი მელქისედეკ I. რაც შეეხება წარწერას ვ. მილერის მიერ
თხაბა-ერდიში ნაპოვნ კრამიტზე (რომელიც მან შეცდომით სამარ-
ხულ ფილად მიიჩნია), მას ჩვენ, დ. ბაქრაძისაგან განსხვავებით,
ასე ვკითხულობთ: „ქ რ ი ს ტ ე შე უ ნ დ ვ ე ნ ა რ ს ე ნ ს“.

ასეთია, ზოგადად, თხაბა-ერდის ტაძრისა და მისი შემოგარენის
არქეოლოგიური შესწავლის შედეგი. აღმოჩენილი არქეოლოგი-
ური მასალები დამატებით განამტკიცებენ აკად. გ. ჩუბინაშვილის
თარიღების სისწორეს და საფუძველი გვეძლევა თხაბა-ერდის გადა-
თარიღებისა: ძველი თარიღი — XII ს. (თუ არ ჩავთვლით ბაქ-
რაძისეულ დათარიღებას, IX ს., რაც თხაბა-ერდის წარწერათა
არასწორად წაკითხვას და ინტერპრეტაციას ემყარებოდა) ეფუძნე-
ბოდა ხალხურ გადმოცემებს, რომლებიც თამარ მეფის ხანას აკუთ-
ვნებდნენ ტაძარს და ძველის არა საკმაო სიღრმით შესწავლას.
ეს თარიღი განსაკუთრებით დამკვიდრდა—ლიტერატურაში პროფ.
ე. კრუპნოვის მიერ თხაბა-ერდის შესწავლის შემდეგ.

როგორც ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანული ძეგლების წარ-
მოშობა-გავრცელების ანალიზიდან გამომდინარეობს, X—XI სს.
მიჯნაზე საქართველოში ჩანს ჩრდილო კავკასიით დაინტერესების

რადაც მძლავრი ტალღა, რის მიზეზიც საქართველოს სახელმწიფო ვითარების წიაღსა და აგრეთვე ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიული განვითარების პროცესშია საძიებელი.

თხაბა-ერდიში მუშაობისასვე მოგვიხილეთ მისგან 2—3 კმ დაცილებით, მდ. ასის დაყოლებაზე, ს. ტარგიმის პირდაპირ მდებარე, ინგუშეთში მეორე უმნიშვნელოვანესი ძეგლი ქრისტიანობისა, ალბი-ერდის „დარბაზული“ ეკლესია. იგი დიდი ხანია ცნობილია და მის თარიღად, ისევე ზოგად მოსაზრებათა მიხედვით, XI—XIII სს.-ა მიღებული. ამჟამად მხოლოდ იმას დავჯერდებით, რაც ადრე არ იყო აღნიშნული ლიტერატურაში. ტაძარი კრამიტით ყოფილა გადახურული. იქ შეგროვილი ნატეხების მიხედვით აღდგენილი ბრტყელი კრამიტის სიგრძე უდრის 36,5 სმ, განი თავში — 27 სმ, განი ბოლოში — 23,5 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე — 4,5 სმ. ისინი კარგად განლექილ-გამომწვარი თიხისაა და ყალიბშია მოჭრილი. საყურადღებოა, რომ საკურთხეველში, მის მარჯვენა ნაწილში, 3-ოდე მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა ღვიძლისფერი საღებავით გამოყვანილი ორი ასომთავრული ასო, ქარაგმით: „წმიდა“. აღმოსავლეთი სარკმლის მარცხნივ, ქვემოთ 75 სმ-ზე კი იმგვარივე საღებავით დახატულია ჯვარი, რომლის მარჯვენა მკლავთან არის 3 ასომთავრული ასო, ქარაგმით: „ქრისტესი“. როგორც ჩანს, ეკლესია მონატული ყოფილა.

აუცილებელია ალბი-ერდის ეკლესიის დაუყოვნებლივ შეკეთება-რესტავრაცია და წინასწარ კი მისი არქეოლოგიურად შესწავლაც.

ბ. ნასიძე, ზ. კალანდაძე

თორი-ლიკანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს

ბორჯომიდან 12 კმ დაშორებით, მტკვრის მარჯვენა შემალღებულ ნაპირზე, სოფ. ჭობისხევის ქვემოთ მდებარეობს დიდი ფართობის მქონე ნასოფლარი „ნადიკრები“. იქ მრავლადაა დაცული შენობათა ნაშთები, ხეებითა და ძეძვნარით დაფარული. იგი ტყიან ტერასებადაა განლაგებული და არქეოლოგიურად ყურადსაღები ნასახლარებშიც იმ ტერასებზე იმყოფება. ნასოფლარში სულ 10 ტერასა დაითვლება.

საანგარიშო წელს გაითხარა სულ ქვედა ტერასაზე შემონახული ნასახლარი. იგი შედგება ორი მრგვალი საცხოვრებელი სენაკისა და

ექვსი დამხმარე სეხაკისგან. მრგვალი სენაკი აგებულია დიდრონი, მკიდროდ მიჯრილი, დაუმუშავებელი ქვებით. წყობა მშრალია და ერთი შეხედვით „ფსევდოციკლოპურს“ მოგვაგონებს. სენაკის საძირკვლიდანვე იწყება სწრაფვა ცრუკამარის შეკვრისაკენ. დამთავრებული ფორმა კონუსურია. შუაში დატანებულია ერთი.



საცხოვრებელი
თორი-ლიკანიდან.

შენობა სანახევროდ ჩანგრეული და მიწით ამოვსებული იყო. სენაკი სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ნაგებია სიმძიმის ძალთა წონასწორობის პრინციპისამებრ: საძირკვლის ქვების პირველი მწკრივი მცირეა, ხოლო რაც ზევით მიიწევს კედელი, მით უფრო მატულობს მისი შემადგენელი ქვების ზომა. ქვების ზომის ცვლასთან ერთად თვით წყობაც იცვლება: ქვედა რიგში ქვები მხოლოდ სიგრძე-სიგანეზეა ნაწყობი, ზევით კი წყობა სიგრძივ სრულდება. ამასთანავე ქვების პირველივე რიგიდან იწყება სწრაფვა დახრილობისაკენ და ქვების ყოველი შემდეგი წყობა 10 სმ-ით უფრო წინ არის წამოწეული. იმავე დროს ისე კარგად

არის ეს ქვები ერთიმეორეზე მიჯრილ-მორგებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თითოეული ზედა ქვა ქვედას გაგრძელებას წარმოადგენდეს.

I მრგვალ სენაკში თხრის შედეგად დადგინდა სამი იატაკი, დონე, რომელთა შორის არის სტერილური ფენები, სისქით 0,25—0,15 სმ. ზედა იატაკის დონე კერამიკით XI—XII სს-ით თარიღდება, ქვედა ფენები კი აშკარად ადრეფეოდალური ხანისაა. არის წინარეფეოდალური ხანის კუთვნილი კერამიკის ნატეჩებიც.

II მრგვალი სენაკი მოყვანილობით იმეორებს პირველს, მძვრამ ძლიერ დაზიანებულია.

III სენაკი არის I მრგვალი სენაკის წინ და მოყვანილობით წარმოადგენს წავრძელებულ სწორკუთხედს. მისი ფართობი 30 მ² უდრის. ნაგებია იმავე ტექნიკით. კარი მას მარცხენა კედელში აქვს გაჭრილი და გადის შესასვლელ დერეფანში, რომელიც წავრ-

¹ ექსპედიციის მონაწილენი: ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე, გ. ნასიძე (მოადგილე), ზ. კალანდაძე, გ. გოგოლაძე, მხატვარი-არქიტექტორი ვ. კანდელაკი.

ძელებულია. შესასვლელში გაიწმინდა ზღურბლის ქვა, რომელშიც ამოჭრილია სადირე ფოსოები. დერეფნის სიგრძე უდრის 5,5 მ, სიგანე — 2,5 მ. იგი მოფენილია ბრტყელი ფილაქვებით. დერეფანი აკავშირებს ერთიმეორესთან III და IV სენაკებს და გადის სამეურნეო დანიშნულების მქონე სენაკში. სადაც აღმოჩნდა ქვის საწნახელი, საქაჯავი ქვა, საწონი ქვა, ორი ქვევრი (თითო დაახლოებით ასლიტრიანი) და ხარო. ეს სამეურნეო სენაკი (V) უკავშირდება II მრგვალ სენაკს და მარანს (VI).

IV სენაკი პატარაა, სულ 10 მ² უდრის მისი ფართობი. უკანა კედელი მომრგვალებული აქვს. იატაკი ოდნავ დაქანებული და დიდრონი ბრტყელი ფილაქვებით მოფენილია. მარჯვენა და მარცხენა კედელს გაუყვება 0,4 მ სიმაღლე და 0,35 მ სიფართე „მერსი“. აღწერილი სენაკი სასადილოდ, სატრაპეზოდ იქნა მიჩნეული.

გაითხარა მარანი, რომელიც უშუალოდ ეკვრის ხაროიან ნაგებობას. მათ დამაკავშირებელი კარიც ჰქონიათ. მართალია, იატაკის დონეთა სხვაობა 0,07 მ აღწევს, მაგრამ სავარაუდებელია იმ კარში ხის კიბის არსებობაც. მარანში აღმოჩნდა ქვით ნაგები, დულაბით შეღესილი საწნახელი. მის წინ მიწაში ჩასმული იყო ქვითვე ნაშენი, პირშევიწროვებული ოთხკუთხა მენა. გამოვლენილ იქნა საქაჯავი ქვა, რომლის წინ ასეთივე მენა იყო ამოშენებული. იქვე იყო შუაში გახვრეტილი ქვის ლოდი (საწონი). აღმოჩნდა 6 სხვადასხვა სიდიდის ქვევრი. გაირკვა, რომ ეს ნაგებობა უწინ მარანი არ უნდა ყოფილიყო და როდესაც ასეთად უქცევიათ, კარიც მაშინ ამოუქოლიათ.

მარანში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა XI—XIII სს-ებს განეკუთვნება. მარანში შეიმჩნევა სხვადასხვა დონეზე მდებარე სამი იატაკი. მათ შორის სიმაღლის სხვაობა საშუალოდ 0,3 მ უდრის. გაუქმებულ კარებთან ჩადგმული ქვევრის ქვეშ. მიწაში წმენდისას წავაწყდით ადამიანის ძვლებს. ჩანდა, რომ იგი დაკრძალული არ უნდა ყოფილიყო. მიცვალებული მარცხენა მხარეზე წოლილა და მარცხენა ფეხი მოხრილი, ხოლო მარჯვენა გამართული ჰქონია; ხელები — გაშლილი. შესაძლებელია ეს ნეშტი ეკუთვნოდეს დაღუპულ სახლის პატრონს, მით უმეტეს, რომ მისგან 0,5 მ დაშორებით აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალის ნატეხები და ხერხემლისა და ხელის ძვლები კედელზე აკრული. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბავშვი კარებთან კუთხეში მიმჯდარი დაღუპულა. შესაძლებელია აღარავინ დარჩა, რათა მათი ნეშტი მამაპაპური წესით მიეხრებინათ მიწისათვის.

თხრისას გამოირკვა, რომ აღამიანთა ძვლები III, ძირითადი იატაკის დონეზე იყო. ის იატაკი თიხატკეპნილი და თიხითვე გადალესილი ყოფილა; ზემოდან ნაცრის ფენა ედო.

ძირითადი ფენა იმ ნასახლარშიც აღრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს, მაგრამ გვხვდება თიხის ჭურჭლის ისეთი ნატეხებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ეს ნაგებობა შუასაუკუნეთა უწინარესად მივიჩნიოთ.

აღნიშნული კარმიდამოს შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მისი პატრონის ნაყოფიერ მეურნეობაზე და, ბორჯომის რაიონის დღევანდელი მოსახლეობისაგან განსხვავებით, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მევენახეობა-მეღვინეობის დიდ როლზე მის ეკონომიურ ცხოვრებაში.

მ. ბლაჟბა

სოხუმის ბაგრატის ციხის დამატებითი არქეოლოგიური დაზვერვა 1969 წელს

შუასაუკუნეთა აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ძეგლი, ბაგრატის ციხე დიდი ხანია, იქცევა მკვლევართა ყურადღებას (დიუბუა დე მონპერე, ვ. სიზოვი, ა. ბაშკიროვა, ნ. ბერძენიშვილი, ი. აძინბა და სხვ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტმა აფხაზი არქეოლოგის მ. თრაფშის ხელმძღვანელობით 1954 წელს დაიწყო ბაგრატის ციხის არქეოლოგიურად შესწავლა, რაც 1956 წლამდე გაგრძელდა.

თხრამ წარმოაჩინა მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მისი უდიდესი ნაწილი, რომელიც შუასაუკუნეებით თარიღდება, მ. თრაფშმა გადმოსცა ამ სტრუქტურების ავტორს. მასალის ღრმად შესწავლამ გამოავლინა, რომ ძეგლი არ ყოფილა ერთფენიანი (XI—XIII სს.), როგორც ადრე ფიქრობდნენ, ვინაიდან მასალაში გამოირჩევა უფრო ადრინდელი კერამიკაც.

ამასთან დაკავშირებით, 1969 წლის სექტემბერში ჩავატარეთ მკირე არქეოლოგიური გათხრა ძეგლის სტრატეგრაფიის დასადგენად და დასაზუსტებლად. ამასთანავე, ციხე არქიტექტურულადაც იქნა შესწავლილი.

გავწმინდეთ ფართობი ციხის შიგნით, მის სამხრეთ კედელ-

თან — ერთადერთი ადგილი, რომელსაც 1954—56 წლებში თხრა არ შეხებია. გაწმენდის შედეგად გამოვლინდა 4 ფენა.

„ა“ წარმოადგენს მცენარეულ ფენას, რომელიც ადრე ნათხარი მიწით იყო დაფარული.

„ბ“ ფენა (70 სმ) ფხვიერი მუქი, ჰუმუსიანი თიხნარია და შეიცავს ნატეხებს ქვევრებისა, რომლებიც შემკული ყოფილა ნაჭდევი ლილვაკებით; მასივურ ყურიან დოქებს, შემკულთ გრძივი ღარებით; მწვანე და ყავისფერქიქურიან კერამიკას, რომელიც ამ ფენას XI—XIII სს-ით ათარიღებს.

„გ“ ფენა ფერად ღიაა, უფრო თიხიანი, სისქით 30—40 სმ. იგი შეიცავს: ქვევრთა ნატეხებს, X საუკუნის ბრტყელყურიან დოქებს და VIII—X სს. სამზარეულო კერამიკას. მასში ბლომადაა მშენებლობის გადანაყარი, კირის ნატეხები.

ციხის საძირკველი, რომელიც „გ“ ფენის ზედა ნაწილამდე აღწევს, შედგება 40—50 სმ სისქე კირქვის ბალიშისაგან. უფრო ზემოთ, „გ“ და „ბ“ ფენების საზღვართან, შეიმჩნევა კვალი სამშენებლო მოედნისა, რომელიც კედლის ამოყვანის დროს შესაბამება. წინასწარ ამოღებული ყოფილა მიწა ზერელედ მდებარე საძირკველსათვის. ამგვარად, ჩანს, ბაგრატის ციხის შენება დაწყებულია არა უგვიანეს X საუკუნისა (როდესაც დასრულებულია „გ“ ფენის წარმოქმნა).

„დ“ ფენა ყველაზე ძველია. მასში გვხვდება ქვის და უფრო იშვიათად კაჟის ნეოლითური იარაღი.

უნდა აღინიშნოს, რომ ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრეც უპოვნიათ შავლაკიანი კერამიკის ნატეხები.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ბაგრატის ციხის ტერიტორიაზე, მის აგებამდე ბევრად ადრევე, არსებულა ადგილობრივ ძველი სამოსახლო, რომელიც, შესაძლოა, თავდაპირველად თხრილითა და ხის სიმაგრით იყო შემოზღუდული. ციხის ტერიტორიაზე, შუასაუკუნეებში არსებულ სამოსახლოებს შესაბამება ორი ფენა: „ბ“ (XI—XIII სს.) და „გ“ (VIII—X სს.). აზრს ციხის VIII—X სს. აშენების შესახებ არ ეწინააღმდეგება არც ყოველი შეფიცრული წყობა და არც მშენებლობისას გამოყენებული დუღაბის შემადგენლობა.

ბაგრატის ციხის ადგილმდებარეობა, კედლების კონფიგურაცია, ქვედა ნაწილში ნასროლის ასახლეტად ქანობების გამართვა, წყობათა სისტემა, გამაგრებული შესასვლელისა და ეზო-მახეს მოწყობა, რომელზედაც გვიან კოშკია მიშენებული, ცხადყოფს ნაგებობის წინასწარ კარგად მოფიქრებას, საფორტიფიკაციო და სამშენებლო საქმეში დაოსტატებას.

ბაგრატიანთა ციხე ზღვის სანაპიროსა და მდ. ბესლეთის ხეობაზე მბრძანებელი, შუასაუკუნეთა ცხუმის (აყუას) დედაციხე იყო. ბუნებრივ ზღუდეზე — მდინარისაკენ ციცაბოდ დაქანებულ გორაკთა მწკრივზე — დაყრდნობილი სიმაგრე ბატონობდა სანაპიროზე მიმოსვლას და ჩრდილო-დასავლეთიდან იცავდა მისასვლელებს აფხაზეთის დიდ კედელზე, რომელსაც ბორცვის თხემებზე მდგარი საყარაულოებით უკავშირდებოდა.

ე. ჯანდიერი

ჩავახეთის ახალქალაქის 1969 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები

1969 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კვლავ გაგრძელდა ჩავახეთის ახალქალაქის შიდაციხისა და ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა¹.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1968 წელს გამოვლენილ ნასახლართა ერთი ნაწილი — ნაშთები საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებისა, რომელთა უძველესი ფენა IX—X საუკუნეებს მიეკუთვნება, ტიპური აღმოჩნდა შუაფეოდალური ხანის ახალქალაქის ვრცელ ზეგან-კონცხზე წარმოქმნილი ქალაქური სამოსახლოსათვისაც, რომლის „ქალაქური სახე“ განსაკუთრებით უნდა გამოკვეთილიყო XI საუკუნის პირველი ნახევრიდან, ე. ი. სამოსახლოს „გაქალაქებიდან“, ვიდრე XIII საუკუნემდე (როცა მონღოლების შემოსევათა შედეგად კარგა ხნით ჩაკვდა იმ ქალაქის ინტენსიური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თუ კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება). ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში იგი არსებობას განაგრძობდა, როგორც კვლავ მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი და დამპყრობთა საყრდენი იმ მხარეში.

ამჟერად ჩვენთვის თავიდანვე ყურადსაღები გახდა ძველ ნასახლართა იმ კომპლექსის გამოკვლევა, რომელიც ვრცელი ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოში, ჭიშკრიდან მომავალ გზაზე ძვეს და გარეგნულადაც თითქოს განსხვავდებოდა ადრეფეოდალური ხანის

¹ მესხეთ-ჩავახეთის ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე; ახალქალაქის რაზმის უფროსი ე. ჯანდიერი; რაზმის წევრები — უმცრ. მეც. თანამშრ. ჯ. ამირანაშვილი, მხატვარი ნ. თოფურიძე, არქიტექტორი კ. მიქაბერიძე.

ქართული ეკლესიის ნანგრევის მახლობლად ჩვენ მიერ გათხრილ ნასახლართა კომპლექსისაგან.

სენეტიული სხვაობა, მშენებლობის თვალსაზრისით, თვალნათლივ ჩანდა იმიტომაც, რომ ძველი ჭიშკრის არეზე მდებარე ხუთსენაკიანი ნაგებობის ერთ-ერთი სენაკის კედლებს ე. წ. „ციკლოპური“ წყობა ჰქონდათ, რაც თითქოს შერწყმული აღმოჩნდა იქვე, იმავე ნასახლარის სხვა სენაკების განსხვავებულ სამშენებლო ტექნიკასთან. ამგვარი რამ საკმაოდ იშვიათ მოვლენად შეინიშნებოდა ნაქალაქარის სხვა, ადრე-და შუაფეოდალური ხანის ნასახლარებში (მაგ., ახლად გამოვლენილის გარდა, ახალქალაქის პირველი კამპანიის დროს, 1960 წელს შესწავლილ ე. წ. „აღმოსავლეთის ციკლოპურ ნასახლარში“, მოძიებული პარალელების მიხედვით, დადასტურებულ იქნა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კუთვნილი ნივთიერი მასალა).

საანგარიშო წელს მიზნად დაეისახეთ გამოგვერკვია, რამდენად ძველი, არქაული. ნაშთი უნდა ყოფილიყო ეს „ციკლოპური“ წყობა ჭიშკრის ახლოს მდებარე ნასახლარებში, თუ იგი ეკუთნოდა იმ ადრე- და შუაფეოდალური ხანის ისეთსავე ნასახლართა რიცხვს, რომლებიც დადასტურებულია ნაქვიკვავებისა და ნაღარბაზევის ნასოფლარებში?

ამგვარად დაიწყო ე. წ. ჭიშკრის II ნასახლარის შესწავლა.

იგი შედგება ხუთი სენაკისაგან (საერთო ფართობი უდრის 300 მ²), რომელთაგან საანგარიშო წელს მთლიანად გაიწმინდა მხოლოდ ორი სენაკი (აღებულ იქნა 140 მ²). ნასახლარი ეკვრის ციხე-ქალაქში შემოსასვლელ ჩრდილო-დასავლეთ ჭიშკარს, რომელიც უკვე ადრეფეოდალური ხანის მიწურულში ჩანს ზღუდე-გალავანში ჩამჯდარი.

ნასახლარის შესწავლის შედეგად ძირითადად დადასტურდა 4 სამშენებლო პერიოდი:

1. ერთ-ერთი სენაკის ორი შემადგენელი კედელი (ურთიერთპერპენდიკულარული) ამჟამად „ციკლოპური“ წყობისაა. მისი შესაბამისი უძველესი (I) ფენა შესაძლოა განეკუთვნებოდეს არქაულ, ეგებ ადრე ბრინჯაოს (?) ხანასაც, რასაც, ჩვენი აზრით, მხარს უჭერს იქვე აღმოჩენილი, მცირე და ფრაგმენტული კერამიკული და სხვა მასალაც (ყავისფერპრილა თიხის მოზრდილი, ტლანქი „კერის“ ნაშთი, ძვლის ნივთები — სადგისები და სხვა, ცხოველთა ეშვები — „საკიდები“ და სხვ.).

რადგან ახალქალაქის ნაქალაქარზე უძველესს შენობათა ნაშთებს მომდევნო საუკუნეებში არაერთგზის განუცდიათ რღვევა-გადაკეთება, ბუნებრივია, თუ მეტად საგრძნობლად იქნება წაშლილი არქაული სამოსახლოების კვალი, ისე რომ მათი დასახლების ტიპური სურათის დაღგენა ამჟამად ძალზე გაძნელებდა. მაგრამ ზოგიერთი ნივთიერი მონაბოვარი იმას მაინც მიგვანიშნებს, რომ ქალაქის ზეგან-კონცხი, მსგავსად შორიანლოს აღმართული „ამირანის გორისა“, ენეოლით-ბრინჯაოს ხანიდანვე ყოფილა დასახლებული. ხოლო იმდროინდელი სავარაუდო საცხოვრისის კედელთა ნაშთები მოგვიანებით (და კერძოდ, ადრე და შუაფეოდალურ ხანაში) შეიძლებოდა შემორჩენილიყო და კიდევაც შერწყმოდა ჯერ მერმინდელ სოფლურ სამოსახლოს და შემდეგ უკვე ქალაქის ახალ მშენებლობას.

2. იმავე სენაკის დანარჩენი ორი, აგრეთვე ერთიმეორის მართობი კედელი ნაგებია „ციკლოპურისაგან“ უკვე აშკარად განსხვავებული ტექნიკით, თიხით შეკავშირებული ნატეხი ქვებით (II ფენა). მთლიანად ასევეა ნაგები მეორე სენაკიც. ეს ორი სენაკი, თავის მხრივ, კედლებს შორის გაჭრილი კართთა და ტალანებით უკავშირდებიან დანარჩენ სამ სენაკს.

II ფენის კუთვნილი კერამიკული მონაბოვრის (ძირითადად, ბაკომოწერნაქებული და გაპრიალებული, წითელ და ყავისფერპრიალა ჯამების) მსგავსება ეკლესიის უბანში ადრევე გათხრილი ნამოსახლარიდან მომდინარე მონაბოვართან ერთად გვაგულისხმებინებს ჭიშკრის ნასახლარის ქრონოლოგიის ერთ-ერთი საფეხურის განსაზღვრას IX—X საუკუნეებით (შესაძლოა ამის ზედა საზღვარი XI საუკუნის 20-იან წლებამდეც ავიდეს, თუ გავითვალისწინებთ ჯავახეთის ბაგრატ III-ის მიერ შემოერთებას 1008—1012 წლებში და იქ მშენებლობის დაწყებას).

ამგვარად, შესაძლებელია დაშვება, რომ შემოსხენებული არქაული, ადრე ბრინჯაოს (?) ხანის „ციკლოპური“ ნაგებობის ნაშთები ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ გამოეყენებინოთ ადრეფეოდალური ხანის უკანასკნელი საფეხურის კუთვნილ სამოსახლოს დიდ კომპლექსშიც, რომელმაც თავის მხრივ არაერთგზის გადაკეთება-დაშენება განიცადა მომდევნო, შუა და გვიანფეოდალურ ხანაშიც.

ასე წარმოგვიდგენია უძველესი „ციკლოპური“ ნაგებობის ნაშთის (ორი შემორჩენილი კედლის) შერწყმა ადრეფეოდალური ხანის მოზრდილ სამოსახლოსთან, როცა ისინი იქცნენ „ჭიშკრისშიდა“ სენაკების ჯგუფად.

3. მშენებლობის მომდევნო საფეხური (III ფენა) მოდის XI საუკუნის მეორე ნახევრიდან (ბაგრატ IV დროიდან, 1027—1072 წწ.) ვიდრე XIII საუკუნემდე. შენების ტექნიკაში აქ თვალსაჩინო სხვაობა არა ჩანს, ოღონდ ვხედავთ ზოგი კარის ამოქოლვა-გაუქმებას და სამაგიეროდ რამდენიმე ახალი კარის გაჭრას. უკვე საფიქრებელი ჩანს სენაკების საყარაულოდ და მეციხოვნეთა სადგომებად გადაქცევა, რასაც, ეტყობა, ჭიშკართან სიახლოვე იწვევს. მათ საგანგებო დანიშნულება ენიჭებათ. სენაკების იატაკი ახლა უკვე დიდრონი ფილაქვებითაა მოგებული, ხოლო კედლებს გასწვრივ ერთგვარი „მერხები“ ჩნდება. შესაძლოა, ზოგი სადგომი მეციხოვნეთა სამყოფელია, ზოგიც საჩინიბო ან საქპანო ტრანსპორტის დასაყენებელი ადგილი. სენაკების გარეთა, დასავლეთი კედელი, ქალაქის ზღუდეში ჩართული, განსაკუთრებით მტკიცდება; აქ მისი სისქე 4 მ აღწევს. საერთოდ, ძველი სამოსახლოს ქალაქად ქცევის დროს მისი დამცველი კედელ-ზღუდე, ჭიშკრითურთ, მტკიცე პერანგში ჯდება.

ნიეთიერი მონაპოვარი (შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მოკიჩული და მოუკიჩავი თიხის ჭურჭლის ნატეხები, მინის სამაჯურის ნატეხები და სხვა) რიცხვობრივ ჭარბობენ წინარე ფენათა კუთვნილ ნაშთებს და ნამდვილად ადგილობრივ, ახალქალაქელ მეთუნე და სხვა ხელოსანთა ნაწარმს წარმოადგენენ.

ამ ფენისა და მონაპოვრის მიკუთვნებას შუაფეოდალური ხანისადმი სპილენძის ერთი მონეტაც ადასტურებს. მის ზემოთ ჩანს ნახშირიან-ნაცროვანი ფენა და ცეცხლში ალანძული ქვების რიგი, რაც გვაგარაუდებინებს ციხე-ქალაქის ნგრევა-გადაწვას მონღოლთა შემოსევებთან დაკავშირებით XIII—XIV საუკუნეებში.

4. მშენებლობის უკანასკნელი საფეხურის (IV, ზედა ფენის) დათარიღება ხერხდება იქ აღმოჩენილი თურქული ვერცხლის მონეტის მიხედვით. იგი კონსტანტინეპოლშია მოჭრილი და 1730—1731 წლებით თარიღდება (განსაზღვრა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ი. ჯალაღანიამ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ). მონეტა მოხვედრილია მეორე ნახშირიან-ნაცროვან ფენაში, რომლის შესაბამისიც არის აგრეთვე კერამიკით მდიდარი კულტურული ფენა.

იმ ხანაში ჩანს სენაკების საფუძვლიანად სახეცვლა: „თურქობის“ დროს გადაკეთებული და დროებით სადგომებად გამოყენებული ჩანს თვით სენაკების შიდა არეც; ძველ სენაკთა ფართობი საგრძნობლად შემცირებულა და მათ დანიშნულებაც სხვაგვარი მინიჭებიათ. კერძოდ, მეორე სენაკის შიგნით კვლავ ჩანს ფი-

ლაქვით უთანაბროდ მოფენილი და დასავლეთ კუთხეში სუსტი კედლით შემოზღუდული, ერთსაფეხურიანი, ჩაშენებული პატარა სენაკი (2), ხოლო კარს წინ 1 მ სიმაღლე ქვის სვეტი (ეგებ მუსლიმური პატარა სამლოცველოს მსგავსი რამ (?), თუმცა მისი დანიშნულება ჭერ-ჭერობით მაინც ბუნდოვანი რჩება. პირველი სენაკის მოზრდილი ნაწილი უჭირავს ასევე გაურკვეველი დანიშნულების მომცრო ქვაყუთებს, მწკრივად განლაგებულს, თითქმის სრულიად უინვენტაროს.

წინასწარი ვარაუდით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოაღწერილი „II ნასახლარი“ ჰკარგავს პირვანდელსა და უმთავრესს, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობის დანიშნულებას და გვიანფოდალურ ხანაში იქცევა მომხდურთა თუ ეგებ მესაქონლეთა ერთ-ერთ დროებით თავშესაფარ-სადგომად, ან, შესაძლოა, რაიმე (ჭერ-ჭერობით ჩვენთვის უცნობი) საგნებით სავაჭროდ.

3. ჯაშარძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის კამპანიის მოკლე ანგარიში

1969 წელს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ორი რაზმი მუშაობდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე; ხოლო მესამე განაგრძობდა გარეუბნის სამაროვნის თხრას მის ჩრდილო უბანზე.¹

ექსპედიციამ დმანისის ნაქალაქარის გათხრაზე იმუშავა 21 ივლისამდე, ხოლო შემდეგ მთელი შემადგენლობით გადავიდა მდ. დამბლუტის წყლის ხეობაში იმისათვის, რომ დაესრულებინა წინა, 1968 წელს დაწყებული გათხრა მცირე ეკლესიისა. იმ უბანზე ექსპედიციამ იმუშავა ორ კვირას, 4 აგვისტომდე და ამით დაასრულა თავისი საველე მუშაობა საანგარიშო წელს.

წინა წლების პრაქტიკისაგან განსხვავებით, საანგარიშო წელს ექსპედიციამ თავის ძალებს თავი მოუყარა ნაქალაქარის ერთ, III

¹ საანგარიშო წელს ექსპედიცია მუშაობდა 23.VI-დან — 5. VIII-მდე, შემდეგი შემადგენლობით: ვ. ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), მ. სინაურიძე (ხელმძღვანელის მოადგილე), უფრ. მეც. თანამშრომელი ვ. ართილაყვა; უმც. მეც. თანამშრომლები: რ. დოლაბერიძე, თ. ბერიძე, მ. მიქაძე, კოლექტორი — კ. კახიანი (მოწვევით), არქიტექტორი — თ. გერსამია (მოწვევით); მხატვარი — ნ. ველიაშვილი, ფოტოგრაფი — ი. მღვიანი, მძღოლი — მ. კახრაშანიანი.

უბანზე, იმ განზრახვით, რომ უახლოეს 2—3 წელიწადში დაასრულოს ნაქალაქარის სათანადო კვარტალის გათხრა (ამ კვარტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაითხარა უკანასკნელი წლების განმავლობაში).

საანგარიშო წელს ექსპედიციამ დაიწყო XII შენობის გათხრა. ჩატარებულმა მუშაობამ გამოარკვია, რომ XII შენობა აღმოსავლეთის მხრიდან, მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა ამავე უბანზე წინა წლებში აღმოჩენილ XI შენობას. XII შენობის გეგმა (ზომა — $16,5 \times 9,7$ მ) არსებითად გაირკვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სამხრეთ-აღმოსვლეთ კუთხეს, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციამ ვერ მოასწრო XII შენობის ბოლომდე გათხრა, მოხერხდა რამდენიმე ძველი საცხოვრებელი ფენის დადგენა, ამის საფუძველი მოგვცა სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილმა თონეებმა, ქვევრებმა და ხარობებმა.

XII შენობის ფართობზე აღმოჩნდა ხუთი თონე, სამი ქვევრი და ერთი ხარო. I თონე აღმოჩნდა 0,4 მ სიღრმეზე (d — 60 სმ); II და III თონეები — 0,65 მ სიღრმეზე (d — 58 სმ და 45 სმ); IV და V თონეები — 1 მ სიღრმეზე (d — 72 სმ და 58 სმ). IV დონე კარგად დადგინდა ქვევრების მიხედვით, რომლებიც აღმოჩნდა 1,45 მ სიღრმეზე, შენობის ჩრდ.-აღმ. მეოთხედში. განათხარი მასალის (უპირატესად კერამიკის) წინასწარი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია მიახლოებით დავათარილოთ საცხოვრებელი დონეები (ამაში დიდ დახმარებას ვერ გვიწევს რუსუდან დედოფლის ორი მონეტა, რომელთაგან ერთი 0,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ხოლო მეორე 1 მ სიღრმეზე). აღნიშნულ საფუძველზე ქვედა, IV დონე, XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს; III დონე შეიძლება დავათარილოთ XIII—XIV საუკუნეებით, II დონე — XV—XVI სს., ხოლო ზედა, I დონე დიდად არ უნდა იყოს დაცილებული ხნით II დონისაგან. საანგარიშო წელს ამოვასუფთავეთ ორი ნახევარწრიული ხარო, ნაგები ნატეხი ქვებითა და კირით. ერთი ხარო მიშენებული იყო XI შენობის დასავლეთ კედელზე, მის ჩრდილო ნაწილში, ხოლო მეორე — XII შენობის ჩრდ.-დას. კუთხესთან, შიგნიდან. ხარობის ამოსუფთავებამ მეტად საინტერესო მასალა შეგვძინა, უმთვრესად XIII საუკუნისა.

გარეუბნის სამაროვნის ჩრდილო ნაწილში გაითხარა ერთი კვადრატი, ზომით 6×6 მ, რომელშიც აღმოჩნდა 21 სამარხი: შვიდი 0,9—1,05 მ სიღრმეზე, ხუთი — 1,1—1,2 მ სიღრმეზე და ცხრა — 1,4—1,5 მ სიღრმეზე.

დაკრძალულთა უმრავლესობა დამხრობილი იყო ჩრდ.-დასავლეთიდან სამხრ.-აღმოსავლეთით, პირით სამხრეთისაკენ. მიცვალებულებს მარჯვენა ხელი ტანს გასწვრივ გაჭიმული ჰქონდათ, ხოლო მარცხენა მოხრილი, ზოგიერთს კი გადაჯვარედინებული ეწყო მუცლის არეში.

გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ ორს ჰქონდა ინვენტარი (№ 7 და № 10)), ორივე ბავშვისა იყო. პირველ მათგანს მარცხენა ხელზე წამოცმული ჰქონდა მინის სამაჯური, ხოლო მეორეს აღმოაჩნდა ფაიანსისა და მინის მძივები და ბრინჯაოს მავთულის ხვეული საყურეები. იმავე კვადრატში აღმოჩნდა ბრინჯაოს თავკომბალა საკინძი და შვად გამომწვარი კერამიკის ნატეხები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, წინა ანტიკური სამარხის ნაშთს წარმოადგენდნენ. სავარაუდებელია, რომ ის სამარხი ფეოდალურ ხანაში ახალი სამარხების ჩაჭრის შედეგად დაუზიანებიათ.

ზემოხსენებული სამარხები, შიგ ადმოჩენილი ინვენტარის და აგრეთვე იმ უბანზე წინა წლებში გათხრილი სამარხებისა და მათი ინვენტარის შესწავლის საფუძველზე შეიძლება XIII—XIV სს. დავათარილოთ.

მდ. დამბლუტის-წყლის ხეობაში ექსპედიციამ გათხარა ფართობი მცირე ეკლესიის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით. ამით ეკლესიის ნანგრევები განთავისუფლდა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი მიწისაგან და გაითხარა მის გარშემო არსებული სამაროვნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეკლესიის სამხრეთით ექსპედიციამ ერთი კვადრატის (8,0 × 7,0 მ) გათხრა ჯერ კიდევ 1968 წელს დაიწყო და 1969 წელს განაგრძო, ხოლო ეკლესიის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ორი ახალი კვადრატი გაჭრა (12,0 × 5,0 მ და 8,6 × 4,0 მ).

ეკლესიის გარშემო სულ აღმოჩნდა 33 სამარხი და სამარხის ნაშთი. სამარხები მჭიდროდ, რამდენიმე ფენად იყო განლაგებული. სამარხები, რა თქმა უნდა, ქრისტიანული იყო. მათი დიდი უმრავლესობა ინვენტარს არ შეიცავდა.

ზედა ფენაში (h — 0,7 — 0,8 მ) მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ პატარა ფიქალი ქვებისაგან შეკრულ სამარხებში. მომდევნო ფენის სამარხები (h — 1,4—1,45 მ.) თლილი ფილაქვებისა და კრამიტისაგან იყო შეკრული. მიცვალებულთა მცირე ნაწილი ორმოსამარხებში იყო დაკრძალული.

ორ სამარხში აღმოჩნდა ცოტაოდენი ინვენტარი: ერთში სპილენძის პირხსნილი სამაჯური და მძივები (სამარხი № 4, სამხრ.

კვადრატში), ხოლო შეორე — სპილენძის ისეთივე სამაჯური, სპილენძის მავთულის საყურე და ორი ბეჭედი.

აღნიშნული სამარხები სტრატეგრაფიისა და სამარხების ინვენტარის შესწავლის, აგრეთვე დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვნის სამარხებთან შედარების საფუძველზე, შეიძლება დათარიღდეს გვიანფეოდალური ხანით.

გარდა ზემოაღნიშნული მუშაობისა, ექსპედიციამ, მეტად მძიმე პირობების გადალახვით, ძნელად მისადგომი ადგილებიდან ჩამოიტანა და დასაცავად გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ქვის რამდენიმე ძეგლი: ბაზა (0,65×0,51×0,33 მ) იმ წარწერიანი სტელისა, რომელიც წინა წლებში იყო ჩვერ მიერ ჩამოტანილი საყდრის ქედიდან (სოფ. პატ. დმანისის სამხ.-აღმ., 1,5 კმ.); კარის ერთი მეტად დიდი ქვის ორი ნაწილი (1,91×0,9×0,2 მ) 1709 წ. სააღმშენებლო წარწერით (დავით გარეჯის პატარა მონასტრის ნანგრევებიდან, სოფ. კიანეთის მოპირდაპირე მთაზე, მდ. მაშავრის მარჯვენა ნაპირას); ერთი საფლავის ქვა (ორად გატეხილი), XIV ს. არაბული წარწერით (ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვნიდან); ერთი დიდი ქვევრი, აღმოჩენილი ნაქალაქარის III უბანზე თხრისას, XII შენობაში.

ლ. ჭილაშვილი

ახალსოფლის (გავაზის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები

ნაქალაქარი, რომლის შესწავლაც დაიწყო ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ¹ 1969 წ., მდებარეობს ყვარლის რაიონში, რაიონული ცენტრიდან აღმოსავლეთით, 17 კმ-ზე, იქ, სადაც თავდება კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთები და იწყება ალაზნის ველი. ნაქალაქარი მოქცეულია კავკასიონიდან გამომავალი მდინარეების ავანისწყლისა და იულდას აუზში, უჭირავს რამდენიმე კვ. კილომეტრი და, ფართობის მიხედვით, ერთ-ერთი დიდი ნაქალაქარია სა-

¹ ექსპედიციის შემადგენლობა: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ნ. ქანთარია (ხელმძღვანელის მოადგილე), გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, დ. აბჯანდაძე (უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები), ი. ლუღუშაური (არქიტექტორი), ი. ჯავახიშვილი (ფოტოგრაფი), ს. ბურდილაძე (თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი).

ქართველოში — უფრო დიდიც კი, ვიდრე დმანისი, ახალქალაქი ან სამშვილდე. როგორც ირკვევა, თანამედროვე სოფ. ახალსოფლის გარკვეული ნაწილიც ძველი ქალაქის ფარგლებში შედიოდა. მიწისზედა ძეგლებიდან სოფელში შემორჩენილია ადრეული ქრისტიანული ხანის მნიშვნელოვანი ტაძარი („ძველი გაგაზი“) და რამდენიმე ნაციხარ-ნაეკლესიარი სოფლის განაპირას, ბაღ-ვენახებში, თანამედროვე ახალსოფელი ძველი გაგაზის ნაფუძარზე დასახლებული XIX საუკუნეში. ნაქალაქარიც, ამდენად, შეგვიძლია დავუკავშიროთ ისტორიულ გაგაზს, რომლის შესახებ ვხვდებით ცნობებს ძველ ქართულ წყაროებში.

ექსპედიციამ თავისი პირველი კამპანია არქეოლოგიური დაზვერვით დაიწყო. გამოიკვია, რომ ქალაქი რამდენიმე უბანზე ყოფილა გაშლილი და ექსპედიციამ სწორედ იმ უბნებზე დაიწყო სასინჯი თხრილების გაჭრა.

ნაქალაქარის ერთ-ერთი ძირითადი უბანი ავანისწყლის მარცხენა მხარეს მდებარეობს. დღეს მას „კოპალეს“ უწოდებენ. იგი, როგორც ირკვევა, ქალაქის სამეურნეო უბანს წარმოადგენდა. სამიწათმოქმედო ზონა მოქცეული ყოფილა ავანისწყალსა და იულდას შორის. მას შუაში ჩამოუდიოდა მდინარეებიდან გამოღებული რუ, რომელიც დღესაც კარგად არის შენახული. რამდენსამე ადგილას შემორჩენილია არხის ქვით ნაშენი კალაპოტიც. „კოპალეს“ ტერიტორია მსხვილი ქვებით ნაგები კედლებით დაყოფილია ცალკეულ ნაკვეთებად. მათ შორის კარგად ჩანს გასასვლელები, სიგანით საშუალოდ 1,7 მ და ცენტრალური „ქუჩა“, რომლის სიგანეც 2,3 მ აღწევს.

მეორე მთავარი უბანია „ნაბაზრალი“. მას ავანისწყლის მარჯვენა მხარე უკავია. ძირითადი სამუშაო „ნაბაზრალზე“, ე. წ. „თუშის ციხის“ მიდამოებში იქნა ჩატარებული. ექვსივე დაზვერვითს თხრილში ერთი და იგივე სურათი ჩანს, კულტურული ფენა დაახლოებით 0,4 მ სიმძლავრისაა და იქიდან ერთთავად ამოდიოდა მოჭიქული კერამიკის ნატეხები. ექსპედიციამ დაიწყო „თუშის ციხის“ შესწავლაც. იგი ერთსათავსოიანი ნაგებობაა, შიდა არე სწორკუთხაა, სიგრძე უდრის 5,8 მ, სიგანე — 4,4 მ, კედლების სისქე — 1,5 მ. ნაგებია ქვითკირით. შენობის შემორჩენილი სიმაღლე დაახლოებით 5 მეტრია. მას არც ერთი სარკმელი არა აქვს, კარი კი, შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, საკმაოდ ვიწროა — 0,7 მ სიგანისა. ნაგებობა ორსართულიანი და ისრულთაღიანი ყოფილა. კედლის თავზე, ბანში, ორი ამბრაზურაა, ალბათ, ციხის გუშაგები-

სათვის. ნაგებობის გაწმენდა არ დამთავრებულა. ვარაუდით, იგი გვიანი შუასაუკუნეების ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

ქალაქის ასევე მნიშვნელოვანი უბანი იქნებოდა ავანისწყლისა და ქვაწერას ხერთვისზე მდებარე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსი (ეკლესიები, სასახლე...), რომლის შესწავლასაც ექსპედიცია აპირებს მომავალში.

„კოპალესა“ და „ნაბაზრალზე“ გავლებული დაზვერვითი თხრილების მიხედვით ირკვევა, რომ ნაქალაქარზე კულტურული ფენების სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 0,4—0,5 მეტრს. აღმოჩენილი მოტიქული კერამიკის ნატენები საშუალებას გვაძლევს, ქალაქის არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა განვსაზღვროთ IX—XIII საუკუნეებით. ეს ასევე კარგად მტკიცდება წერილობითი წყაროების ცნობებით და იქ ექსპედიციამდე აღმოჩენილი, XI ს. სამშენებლო წარწერით. ნაბაზრალზე აღმოჩენილი მოტიქული კერამიკის ზოგი ნიმუშის და არქიტექტურული ძეგლების მიხედვით, აქ მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ვიგულისხმოთ XV—XVII საუკუნეებშიც. ქალაქი აღმოცენებულია თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში, მთისა და ბარის შესაყარზე, დაღესტანში მიმავალ ერთ-ერთ მთავარ გზაზე. შემთხვევითი აღმონაჩენების მიხედვით (ბრნჯაოს ცული, ანტიკური ხანის დოქები) ნაქალაქარზე და მის მიდამოებში მოსალოდნელია უფრო ძველი ძეგლების არსებობაც.

გ. გაფრინდაშვილი

ვანის ქვაბი — 1960 წ.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორია 1969 წ. განაგრძობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ვანის ქვაბის მონასტერში (დაიწყო 1966 წ.).¹

როგორც ცნობილია, ვანის ქვაბი კლდეში ნაკვეთი მრავალსართულიანი მონასტერია, დაარსებული VIII—IX სს-ში. მის ცენტრში იმყოფება წმ. გიორგის კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ტაძარი XI საუკუნისა. ტაძართან ერთად 1966—67 წწ. გაითხარა XIII ს.

¹ ექსპედიციის მონაწილენი: აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიის თანამშრომლები — გ. გაფრინდაშვილი (ხელმძღვანელი), ა. ვართაგავა (ხელმძღვანელის მოადგილე), ლ. ფაველინი (უფრ. ინჟინერი), გ. თოდუა (უფრ. ლაბორანტი).

მასზე დასავლეთით მდებარე სტოა. მის ერთ ნაწილში იდგა იმავ-
დროული მდიდრულად მოჩუქურთმებული სამრეკლო. ამ უკანას-
კნელის ჩუქურთმიანი ქვები აღმოჩნდა წმენდისას, სტოაში და მის
წინა მოედანზე. ექსპედიციის მიერ ეს ადგილი მიჩნეულია პირ-
ველ მთავარ უბნად. მეორე — მონასტრის მარანი ტაძრიდან
სამხრეთით დაახლოებით 30 მ მდებარეობს. იმავე უბანზეა აღრევე
მიკვლეული ძველი წყალსადენის ტრასა. მეორე უბნის დასავლეთ
განაპირას მონასტრის ბოლოს არის მესამე უბანიც. აქ გამოვლენი-
ლია მონაზონთა ორი კლდის სახლი. მეოთხე უბანია ზღუდე, აშე-
ნებული 1204 წ. ანტონ ჭყონდიდელის მიერ.

პირველ უბანზე, ტაძრის სტოასთან, მოედნის დადაბლებით გა-
მოვლინდა თმოგველთა საგვარეულო სამარხავის სამი ფენა ერთი-
მეორის თავზე. სამარხების ზემოთ და წინ, მიწის სიღრმეში აღმო-
ჩენილია კლდის ნანგრევებში დამარხული სტოა — სამრეკლოს
ჩუქურთმიანი დეტალები, მათ შორის სამრეკლოს ჩუქურთმიანი,
მთლიანი ქვისგან გამოჭრილი ჭერი. თუ გავითვალისწინებთ, რომ
იქვე მახლობლად, ვარძიასა და წუნდამი არსებულ სამრეკლოთა
(XIII ს.) ჭერი დაღუპულია, გასაგები გახდება ამ მონაპოვარის
მნიშვნელობა.

სამარხების მხოლოდ ორი ფენაა გადახსნილი, მესამე ჯერ გა-
უთხრელია. სამარხები განლაგებულია გაუქმებულ ადრინდელ ქვა-
ბებთან ყოორით წარმოქმნილ ვიწრო მოედანზე. მისი სიგანეც მხო-
ლოდ მიცვალებულთა სიგრძით ისაზღვრება. აქ მამაკაცთა, ქალთა
და ბავშვთა სამარხებია. დაკრძალვის წესი იგივეა, რაც ტაძრის სამ-
ხრეთ-დასავლეთით მდებარე, კლდის ეკვდერ-სამარხიდან არის ჩვენ-
თვის ცნობილი 1967 წლიდანვე. მიცვალებული გულხელდაკრეფი-
ლია, თავთან ორივე მხარეს თითო ქვა უდევს. პირველი ფენის სა-
მარხებში მხოლოდ ორი ასხმა მძივი აღმოჩნდა.

ამ სამარხების ხნოვანება თავსდება სტოას აშენებასა და დიდ
მიწისძვრას შორის, ე. ი. XIII ს. 30—80-იან წლებში. ეს ის დროა,
როცა მონასტერი თმოგველ ფეოდალთა ხელში იმყოფება.

სტოას სამხრეთ კართან გაიწმინდა ადრე დადასტურებული ოვა-
ლური სამარხი სხედასხვა სიმბოლოებზე დაკრძალული მიცვალებუ-
ლებით. ეს, რა თქმა უნდა, სტოას გაუქმების შემდგომ მოხდებოდა.

მეორე უბანზე ჩანს X—XI სს. პირღებულ კლდის სახლებთან
მიშენებული მარნები. მათ შორის გაითხარა რვა ქვევრიანი მარანი.
ეს პირველი დადასტურებაა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ — ტიპი-
კონის ცნობისა ვანის ქვაბის მონასტერში მონაზვნების მიერ ღვინის

ფართო მოხმარების შესახებ. იქვე მოპოვებულია სადა კერამიკის ნატეხები.

მესამე უბანზე X—XI სს. მონაზონთა ორი კლდის სახლი გაითხარა — კლდის ფერდობზე, გვრდიგვერდ. კლდის პირზე გამოკვეთილ იმ სახლებში ჩასასვლელები მოწყობილია ზედა ტერასიდან. საფეხურიანი გვირაბებით. ეს თავისებურება შედეგია იმ გადაკეთებისა, რის საჭიროებაც კლდის სახლთა წინა მხარის ნგრევამ გამოიწვია. ამის მანიშნებელია გვიანდელი რეკონსტრუქცია — ფასადთა ყორით ამოშენება (სახლთა კლდის ქვეშ გამოკვეთა, ზემოდან მოწყობილი ჩასასვლელითურთ დამახასიათებელია ყირიმის გამოქვაბულებისათვის).

დასავლეთ განაპირა კლდის სახლში დადასტურდა მტრის შემოსევის კვალი — ოთახის იატაკზე გადაბრუნებულ-გატეხილი დერგი და ხანძრისაგან დამწვარი, დაწეული მარცვალი (დკისა, ქერისა და ჭვავის), მიტოვებული სახლები შემდგომ გადაქცეულა ზედა სართულზე განახლებულ საცხოვრებელთა სანაგვედ. ამიტომ აქ გადმონაყარი კერამიკული ჭურჭლის მრავალფეროვანი ნატეხები მოიკრიბა. მათ შორის არის მოჭიქულ წითელკეციანი და ფაიანსიც. ნაპოვნია ქართულ წარწერიანი ჭურჭლის (XVI ს.) ნატეხიც. წარწერა გამოწვამდნა ამოჭრილი. მთელი ეს ყურადსაღები კერამიკული მონაპოვარი მოელის შესწავლას ვიწრო სპეციალისტის მიერ.

მეოთხე უბანზე ზღუდის შესასვლელთან (ტიბიკონის „ცოტა კარი“) მთლიანად აღებულია ნაყარი მიწა და გამოჩენილია ზღუდისა და შესასვლელის გარე ფასადი.

ვანის ქვაბის არქეოლოგიურმა კვლევამ საანგარიშო კამპანიის განმავლობაში მნიშვნელოვანი ახალი მასალა მოგვცა შოთა რუსთველის ხანაში საქართველოს სამონასტრო ცხოვრებისა და სამშენებლო ხელოვნების შესასწავლად.

ბ. შხაბაძე, მ. ბარამიძე

მერხეულის სამაროვანი

1969 წ., შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ბერძენიშვილი) სადაზვერვო რაზმმა სოფ. მერხეულში მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირას, პირველი ბორცოვანი ზოლის ერთ-ერთ შემადგენელ მთავარ საინტერესო ძეგლს. მიწის საპლანტაჟედ დამუშავების დროს ბორცვის თხემზე აღმოჩნდა ადამიანთა ძვლები და არქეოლოგიური მასალები.

ძეგლის რაობის გარკვევის მიზნით, ექსპედიციამ ჩაატარა მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები. გაირკვა, რომ სამაროვანს ეკავა ბორცვის თხემის დასავლეთი ნაწილი (დაახ. 40 მ² ფართობი). სამაროვანი ძალზე დაზიანებული აღმოჩნდა: ზედაპირიდან 0,5 მ მთელ სიღრმეზე გვხვდებოდა უსისტემოდ გაფანტული მიცვალებულთა დამწვარ-დაღწილი ძვლები და ნივთები, რაც საშუალებას არ გვაძლევდა ცალკეული კომპლექსები გამოგვეყო. როგორც ჩანს, ამ ძეგლის სახით საქმე უნდა გვექონდეს პატარა საგვარეულო სამაროვანთან, რომელზედაც მიცვალებულთა მეორადი დაკრძალვა ხდებოდა.

მონაპოვარ არქეოლოგიურ მასალაში უმრავლესობას იარაღ-სამკაული შეადგენს. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ბრინჯაოს სამკაული: სამაჯურები, კირკლები, საკინძები, ჩქიფები, ბეჭდები, ფრინველის და ცხოველის ქანდაკებანი, მძივები (სარდიონის, ქარვის, კვარცის), აქვია ვერცხლის მრგვალგანივეკვეთიანი საყურეები.

იარაღი დამზადებულია მხოლოდ რკინისაგან. ესენია: სხვადასხვა ტიპის სატევარი, მასრაგახსნილი შუბი და ისრისპირები, ყუაყვრიანი ცული, მოხრილი დანები და სხვა.

შედარებით მცირეა კერამიკა. იგი მონაცრისფროა, თხელკეციანი, ამასთან ყურადღებას იქცევს ყურმილიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ბევრია რიყის ქვის საღესები.

მონაპოვარი მასალის ძირითადი ნაწილი და დაკრძალვის წესი დამახასიათებელია აფხაზეთის ტერიტორიისათვის ძვ. წ. 1 ათასწლ. შუა ხანებში. როგორც ჩანს, ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნოს მერხეულის სამაროვანიც.

ლ. წამრთელი

გამოქვაბულის დათვის ნაშთები ქვაჭარასა და იაშთხვაში

საქართველოს არქეოლოგიაში უკანასკნელი წლების მანძილზე მეტად აქტუალური გახდა მეზოლითური ძეგლების შესწავლის საკითხი.

როგორც ცნობილია, მეზოლითი წარმოადგენს იმ გარდამავალ ეპოქას პალეოლითიდან ნეოლითში, რომლის დროსაც გარკვეული ცვლილებები ხდება პირველყოფილ ადამიანთა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში.

ქვის ხანის ადამიანთა განვითარების ისტორიაში მეზოლითი, როგორც დამოუკიდებელი პერიოდი, სულ ამ რამდენიმე ათეული

წლის წინათ იქნა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, მის ირგვლივ წამოჭრილი ბევრი სადაო საკითხი ჯერ ისევ გადაუწყვეტელი რჩება.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მეზოლითური კულტურის შესატყვისი ძეგლები საკმაო რაოდენობით იქნა აღმოჩენილი. მათ შორის არქეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ მასალათა სიუხვით და მრავალრიცხოვნებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეზოლითური ძეგლები: ქვაჭარა და იაშთხვა.

როგორც არქეოლოგიური, ისე ზოოგეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ქვაჭარაში გამოქვაბულის დათვის ძვლების დიდი რაოდენობით აღმოჩენა. ძვლოვანი მასალის თითქმის 95% ზემოთაღნიშნულ სახეობას განეკუთვნება.

გამოქვაბულის დათვის ძვლებს საკმაო რაოდენობით ვხვდებით დასავლეთ ამიერკავკასიის, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებში: ჯრუჭულა, დევისხვრელი, მღვიმევი, საკაჟია, გვარჯილას კლდე. ჭახათი, წონა, კუდარო, ცივი მღვიმე, კეპ-ბოლაზი, ოქუმი და აგრეთვე ცხრა-ჯვარას გამოქვაბული, სადაც აღმოჩენილი იყო გამოქვაბულის დათვის რამდენიმე მთლიანი ჩონჩხი და მათ არავითარი კულტურული ნაშთები არ ხლებიათ თან, ამიტომ იგი დათვების „სასაფლაოდა“ მიჩნეული.

ქვაჭარისა და იაშთხვის გამოქვაბულებში ამ სახეობის დათვის ძვლების აღმოჩენა ნათლად მოწმობს, რომ ამიერკავკასიის დასავლეთ რაიონებში იმ დროს თავისებური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები არსებობდა, რის გამოც აღნიშნულ მხარეში პლეისტოცენის დასასრულამდე და ჰოლოცენის დასაწყისამდე შემორჩა ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე ფართოდ გავრცელებული გამოქვაბულის დათვი.

ამრიგად, აქ მოპოვებული თავისებური პალეონტოლოგიური მასალები ახლა უფრო სწორ წარმოდგენას გვაძლევს იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ვითარებაზე, რომელიც არსებულა მეზოლითში, პალეოლითიდან ნეოლითისაკენ გარდამავალ ხანაში.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კისტოფორის შესახებ

1966 წ. ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია კისტოფორს¹, რომლის ზუსტ ატრიბუციას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ვანის ნაქალაქარის სტრატეგრაფიისათვის.

ამ მონეტის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ იგი მოჭრილია იონიაში, ქალაქ ეფესში პრეკვესტორ ანტონიოსის დროს ძვ. წ. 50—49 წწ. მონეტა განსაზღვრულია B. Head-ის მიხედვით². სამწუხაროდ, ავტორებს სრულად არ გამოუყენებიათ საინტერესო მონეტის შესახებ არსებული ლიტერატურა, რომელიც ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს შეიცავს და მათი მოყვანა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია. გარდა ამისა, მცდარია ვანში აღმოჩენილი კისტოფორის მიკუთვნება ეფესოს ზარაფხანისადმი. ზემოთქმული გვაძულებს კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს. ვიდრე ვით მონეტის აღწერილობას.

წონა — 12,25 გრ. ზომა — 25 მმ.

შუბლი — ნახევრად ღია მისტიკური (სარიტუალო) კალათი-კისტა, საიდანაც გველი მოძვრება. გარშემო სუროს ფოთლებისაგან გაკეთებული გვირგვინი.

ზურგი: ორ გადახლართულ გველს შორის მოთავსებული საკრალური გამოსახულება. გველის თავებს შორის მონოგრამა APA, გამოსახულების მარცხნივ ასო Q, მარჯვნივ — კვერთხი (ბაკხის?), რომელზედაც გველია შემოხვეული.

დ. კაპანაძე და გ. ლორთქიფანიძე ვანში აღმოჩენილ ცალსამდრამქმიან მონეტად მიიჩნევენ³. ეს არ არის მართებული მოსაზრება. კისტოფორების (რომაულ ავტორებთან „cistophori“) სისტემა ემყარებოდა როდოსის სამონეტო სისტემას, რომლის მიხედვით მოჭრილი ტეტრადრამების წონა ძვ. წ. III ს. მანძილზე დაეცა

¹ ამჟამად ეს მონეტა ინახება საქ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში, განძების ფონდი № 11 846.

² დ. კაპანაძე, გ. ლორთქიფანიძე, ანტიკური ხანის მონეტები ვანის ნაქალაქარდან, ყურნალი „ცისკარი“, 1967, № 8, გვ. 147.

³ B. Head, Catalogue of the Greek Coins of Ionia, London, 1892. გვ. 68, № 176, ტაბ. XII, 10.

⁴ დ. კაპანაძე, გ. ლორთქიფანიძე, მითით. ნაშრ. გვ. 147.

III. არუხლო I ნამოსახლარი შემოსენებული ბორცვის აღმოსავლეთით, მისგან 800—900 მ მანძილზე მდებარეობს. მათ შორისაა არუხლო II ნამოსახლარი.

საანგარიშო კამპანიის სტაციონარული გათხრების მთავარ ამოცანად ამ ბორცვის გარშემოვლებული თხრილების და მათი შევსების თავისებურების გარკვევა მივიჩნიეთ.

წარმოებულ გათხრებით დადგინდა, რომ უძველესი „სველი“ თხრილის გაუქმებისა და ამოვსების შემდეგ ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობების ფარგლებს გარეთ დაწყებული მიწურების მსგავსი „გრძელი“ (დაახლოებით 3—4 მ ნაგებობების გამართვა. მათი ნაწილი „სველი“ თხრილის შევსების ზედა ფენებშიაც გვხვდება. სავარაუდოა, რომ უფრო მოგვიანო ხანისაა ბორცვის მეორე, მცირე დიამეტრის მქონე „მშრალი“ თხრილიც.

ყრველივე ზემოაღნიშნული მიგვითითებს, რომ თავდაპირველ სამოსახლოს კონტურებისა და მისი ცენტრალური ადგილის გასარკვევად გასათვალისწინებელია „სველი“ თხრილის გარშემოწერილობა, რომლის ცენტრი თანამედროვე ბორცვის შუა ადგილიდან დაცილებულია დასავლეთის მიმართულებით დაახლოებით 10—20 მ. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში არუხლო I სამოსახლოს ზრდა არა მარტო.ერთიმეორეზე სამშენებლო დონეების გამართვაში უნდა გამოხატულიყო, არამედ მისი თანდათანობითი გადანაცვლებით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

თუ ჩვენი დასკვნები მართებულია, მაშინ მომავალი გათხრების სწორი დაგეგმვით შესაძლებელი გახდება როგორც ნასოფლარის უძველესი დაგეგმარების, ისე მომდევნო ფენების ყველა დამახასიათებელ თავისებურებათა დადგენაც.

ო. ჯაფარიძე, ა. ჯამახიშვილი

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის

1969 წლის საველე სამუშაოთა შედეგები

საქართველოს მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო-ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1969

წელს ჩაატარა საველე სამუშაოთა მეხუთე კამპანია, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა.¹

ღია ფურცლის (14) შესაბამისად ექსპედიცია აგრძელებდა შულავერის უძველესი ნამოსახლარების შესწავლასა და დაზვერვებს მარნეულის რაიონში. მუშაობა გაიშალა, ძირითადად, ძვ. წ. V—VI ათასწლეულების ნამოსახლარ იმირის გორაზე.² ძირითად ამოცანას შეადგენდა ნასოფლარის ერთ-ერთი სამშენებლო ჰორიზონტის გათხრა მეტნაკლებად დიდ ფართობზე და დასახლების ხასიათისა და დაგეგმარების თავისებურებათა გარკვევა. გადაწყდა, რომ ამ თვალსაზრისით გათხრილი ყოფილიყო გორის ჩრდ. აღმოსავლეთი სექტორი, დაახლოებით 400 კვმ (კვადრატი DD), სადაც ადრევე გაჭრილი სტრატეგრაფიული თხრილის წყალობით ჩანდა ფენათა მონაცვლეობა.

გათხრა წარმოებდა DD კვადრატის მთელ ფართობზე (რომელსაც 15—20° დახრა აქვს ჩრდ. აღმოსავლეთისაკენ) ერთიანად, ჰორიზონტულ თხელ ფენებად. გორის ეს მონაკვეთი, ისევე როგორც მისი ცენტრალური ნაწილი, ზემოდან დაფარულია 60-ოდე სანტიმეტრის სიმძლავრის მკვრივი თიხნარით — ალიზის შენობათა ნანგრევებით, რომლებშიც ჩაშვებულია სხვადასხვა ხანის ორმო-სამარხები.

სამაროვანი გავრცელებული ჩანს გორის აღმოსავლეთ მხარეს; დღემდე გათხრილი 30 სამარხიდან მხოლოდ ათში იყო ინვენტარი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ აქ ასაფლავებდნენ შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებულ გვიან-ფეოდალურ ხანამდე.

მეტნაკლებად გარკვეული სახის მქონე ალიზის შენობათა ნაშთები გამოჩნდა 2,6 მ დონეზე, ე. ი. დაახლოებით 50—60 სმ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ამ დონის ზემოთ მდებარე ფენა უნდა ეკუთვნოდეს სოფლის არსებობის უკანასკნელ პერიოდს და წარმოადგენს მისი მიტოვების შემდეგ ბუნებრივად დანგრეული შენობების ნაშთს; ქვემოთ კი დევს ერთიმეორეზე გადაფარებული ნა-

¹ ექსპედიციის უფროსი — ო. ჯაფარიძე; მოადგილე — ა. ჯავახიშვილი; რაზმის უფროსი — ლ. ლლონტი; მეცნ. თანამშრომლები — ნ. ხოსიტაშვილი, მ. მენაბდე, თ. კილურაძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, თ. ნოზაძე; პედიანტი-ტურტის სტუდენტი ნ. გორგიჯანიძე; ავტომანქანის მძღოლი — ა. ალივეი (მარნეულის ასკ); ასპირანტი — ო. ბენდუქიძე.

² ქვემო-ქართლის ექსპედიციის მიერ მარნეულის რაიონში, კერძოდ იმირის გორაზე წინა წლებში ჩატარებულ სამუშაოების შესახებ იხ. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები; თბილისი, 1969 წ.

12—12³/₄ გრამამდე⁵. ასე რომ ვანში აღმოჩენილი მონეტა შემცირებული წონის ტეტრადრაქმაა და სხვა არაფერი.

დასახელებული ავტორების აღწერით, ვანში აღმოჩენილი კისტოფორი ასე გამოიყურება: „მონეტაზე ვხედავთ სარიტუალო კალათს — კისტას, რომელშიც ინახებოდა ღიონისეგ ან დემეტრას დღესასწაულისათვის საჭირო საკულტო ნივთები. კალათიდან მოძვრება გველი, გარშემო შემოუყვება სუროს ფოთლისა და ყვავილების გვირგვინი. მეორე მხარეზეც კისტა და ერთმანეთში გადახლართული ორი გველია გამოსახული“⁶, ავტორები, როგორც უკვე იყო აღნიშნული, უთითებენ ბრიტანეთის მუზეუმის იონიის მონეტების კატალოგს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი ნებისმიერად ამოკლებენ B. Head-ის მიერ მოცემულ მონეტის ზურგის აღწერილობას. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მთლიანად მოვიტანოთ B. Head-ის სიტყვები: — „Rv. Two coiled serpents, between which bow-case ornamented with aplustre, in field r., Long torch (ხაზი ჩვენია — გ. დ.), in centre, APA., to I. «Q»“⁷.



როგორც ვხედავთ, დ. კაპანაძესა და გ. ლორთქიფანიძეს გამოუტოვებიათ არსებითი დეტალი — ზარაფხანის აღმნიშვნელი სიმბოლო: თუ ვანში აღმოჩენილ კისტოფორისათვის ვსაა კვერთხზე შემოხვეული გველი, Head-ის ცალისათვის ამ ფუნქციას სხვა გამოსახულება — ჩირაღდანი — ასრულებს. ცხადია, აქ განსხვავებულ მონეტებთან გვაქვს საქმე.

⁵ დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. A. H. Зограф, *Античные Монеты*. МИА, № 16, 1951, გვ. 45.

⁶ დ. კაპანაძე და გ. ლორთქიფანიძე, *მითით.* ნაშრომი, გვ. 147.

⁷ B. Head, *მითით.* ნაშრომი, გვ. 68, № 176, ტაბ. XII, 10.

ვანური კისტოფორის იდენტური მონეტა გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ 1855 წ. M. Pinder-ის მიერ.⁸ 1892 წ. ანალოგიური მონეტა შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმმა და მომდევნო წელს იგი W. Wroth-მა გამოსცა.⁹ მისი სიტყვებით, ეს გამოუქვეყნებელი (?) კისტოფორი ზუსტად ჰგავს (გარდა რევერსის სიმბოლოსა) ეფესოს კისტოფორებს, რომლებიც მოჭრილია ძვ. წ. 50—49 წწ. ეს ის დროა, როდესაც იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის ამტყდარ სამოქალაქო ომის გამო პროვინცია აზია დარჩენილი იყო პროკონსულის გარეშე და ლ. ანტონიუსი ასრულებდა კვესტორის მოვალეობას. W. Wroth-ის აზრით, სწორედ მას უნდა ეკუთვნოდეს იმ ანონიმური კისტოფორების ემისია, რომლებზედაც ამოტვიფრულია ასო „Q“ და მონოგრამა APA. ეფესოსა და პერგამონის ზარღუნების პროდუქცია ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ ეფესოში მოჭრილ კისტოფორებზე გვხვდება სიმბოლო — ჩირალდანი, ხოლო პერგამონისაზე კვერთხზე შემოხვეული გველი, რაც გამოსახულია ამ ქალაქის ადრეულ კისტოფორებზე.¹⁰

უფრო გვიან ეს მონეტა გამოაქვეყნა H. Fritze-მ და მთლიანად გაიზიარა W. Wroth-ის აზრი.¹¹

ვანში აღმოჩენილი კისტოფორის ანალოგიური მონეტა 1929 წ. გამოსცა S. Grose-მა. მართალია, მონეტის ის ადგილი, სადაც უნდა იყოს ასო „Q“ ძალიან გაცვეთილია, მაგრამ მისი ფეხი აშკარად მოჩანს. სხვაგვარი იგი აბსოლუტურად იდენტურია ვანური ცალისა.

S. Grose-იც ამ მონეტას პერგამონში მოჭრილად მიიჩნევს, მაგრამ მას ძვ. წ. 200—133 წწ. ათარიღებს.¹²

⁸ M. Pinder, Ueber die Cistophoren etc («Abhandl. d. Kön. Ak. Wiss»). Berlin. 1855. გვ. 571. № 203.

⁹ Warwick Wroth, Greek Coins, Acquired by the British Museum in 1892, «The Numismatic Chronicle». 1893, vol. XIII, გვ. 10, № 17. რომ საეკვო არაფერი იყოს, მოგვყავს Wroth-ის აღწერილობა: „Rv. APA between the heads of two coiled serpents; between serpents, bow-case, ornamented with aplustre, containing a strung bow in field, staff (or thyrsos?) entwined, by serpent (ხაზი ჩვენია. გ. ლ.) in field I., «Q».

¹⁰ W. Wroth, Cat. Mysia, p. 129, № 94. ff.

¹¹ H. Fritze, Die Münzen v. Pergamon, Berlin. 1910, გვ. 16, შენიშ. 1. ტაბ. III, № 12.

¹² S. Grose, Catalogue of the Mc Clean Collection of Creek Coins ტ. III. Cambridge, 1929. ტაბ. 265, № 7, გვ. 65. № 7707.

სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონ-
დებში ინახება ვანში მიკვლეული მონეტის მსგავსი ორი კისტო-
ფორი¹³, რომელთა განსაზღვრა ა. ზოგრაფს ეკუთვნის. ა. ზოგრაფი
ეყრდნობა M. Pinder-ის, W. Wroth-ისა და H. Fritze-ის ნაშრომებს
და იზიარებს მათ აზრს. B. Head-ისა და S. Grose-ის შრომებს ის
არ უთითებს და, როგორც ჩანს, მათ არც ეთანხმება, ვინაიდან ძნე-
ლია წარმოიდგინო, რომ იგი მათ არ იცნობდა.

¹³ იხ. № 14369, Кат. № 42, წ. 11, 93 და იხ. № 14368, Кат. № 41.
წ.-11. 90.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ
В ГРУЗИИ В 1969 ГОДУ

**Изучение памятников каменного века в прибрежной
полосе Грузии (итоги полевых работ 1969 года)**

Многолетние поиски и раскопки на территории Черноморского побережья Грузии установили, что здесь, почти в каждом ущелье больших и малых рек можно открыть следы обитания людей каменного века. Экспедицией Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили выявлены многочисленные местонахождения нижнего палеолита на террасах прибрежной полосы Черного моря и в ущельях, отдаленных от моря на несколько десятков километров.

За истекшие два года остатки нижнего палеолита обнаружены на холмах и на высокогорных южных отрогах Кавказского хребта (Агвавра, Араду на выс. 400—500 м, Оисре — 700 м, Очаке — 1.800 м и т. д.).

Среди находок имеются и ручные рубила (рис. 1, 2).

Эти новые пункты находок еще раз подтвердили несостоятельность террасового метода в датировке памятников каменного века Причерноморья.

В 1969 году продолжалось исследование палеолитической пещерной стоянки в ущелье р. Окуми (Гальский район). Первые следы находок в пещере были зафиксированы в 1964 г., а раскопки были начаты в 1968 г. нач. отряда Г. Хубутия. Пещера расположена на правом берегу р. Окуми, в баремских известняках ущелья, на высоте 400 м от уровня моря. Пещера карстовая. Ширина ее у входа около 14 м, максимальная длина 8 м. Пол пещеры был скреплен известняковым натеком; благодаря этому редкому случаю естественное напластование слоев не было нарушено. В раскопках центральной части до скалистого дна пещеры выявлено 8 слоев. Их общая мощность достигает 1,5 м. Слои эти литологически почти одинаковы. Генезис их образования связан с процессами карстовых явлений в меловых известняках.

В верхней части толщи слоев, между двумя горизонтами карбонатных натеков и брекчий (слои 1—3), залегал гумусный слой (слой 2) с небольшими остатками кремневого инвентаря и керамики.

Остатки палеолита содержали нижние три слоя (4, 6 и 8). Между 6 и 8 прослежен стерильный слой (5-й, мощностью около 0,50 м). Слои с палеолитическими остатками весь-

ма богаты. На каждом квадратном метре площади кремневый инвентарь и другие остатки выявлены сотнями. Имеются изделия из кости и остатки четвертичной фауны. Установлены следующие виды животных: *Capra caucasica*, *Cervus elaphus maral*, *Bison* sp., *Ursus spelaeus*, *Ursus arctos* и т. г.

Типологический состав кремневого инвентаря, а также техника изготовления орудий имеют немало прямых аналогий с остатками из Гварджилис-кльде и Мгвимеви, т. е. обитатели Окумокой пещеры находились на уровне поздней поры верхнего палеолита. Однако в самом нижнем слое (8-м), наряду с верхнепалеолитическими остатками, сохранен комплекс кремневого инвентаря с более архаичным обликом; таковы обломки, пластины и даже нуклеусы, которые несут следы обработки мустьерской техникой. Эти данные позволяют Окумскую стоянку считать многослойной не только по количеству слоев, но и по составу археологических материалов, которые могут быть отнесены к разной фазе верхнего палеолита.

Изучение Окумской стоянки находится в начальной стадии, раскопана лишь только 1/4 часть. Первые итоги явно свидетельствуют, что она должна восполнить существенный пробел в периодизации основных этапов палеолита Восточного Причерноморья, здесь давно открыты первостепенные памятники нижнего палеолита и мезолита, но сравнительно скудные сведения имелись по верхнему палеолиту данного региона.

Продолжались раскопки пещерной палеолитической стоянки Хергулис-кльде (второй основной объект экспедиции), расположенной в с. Вачеви (Чиатурский район).

В отчетном полевом сезоне широко были обследованы ущелья Мачара и Гумиста. Здесь выявлены в основном остатки позднебронзовой эпохи (нач. отряда М. Барамидзе).

Кратковременные разведки проведены также на левом берегу р. Псоу (нач. отряда В. Бжания) и в верховьях р. Кодори (Чхалта-Аджарские ущелья). В этом регионе остатки каменного века экспедицией не обнаружены. Однако одним из отрядов экспедиции (нач. отряда М. Чартолани) впервые были установлены археологические остатки (позднебронзовой и раннефеодальной) на холмах (Ажари, Омариши и др.).

Наиболее важным открытием 1969 г. следует считать на вершине горы Опундже (выс. от уровня моря 1700—1800 м) найденные остатки верхнего палеолита. Данное местонахождение уточняет наши представления о палеоландшафте края и связанный с ним вопрос о процессе древнейшего расселения в Причерноморье Грузии.

Итоги работ археологической экспедиции
в Квирильском ущелье в 1969 году

В отчетном сезоне Квирильская археологическая экспедиция Гос. Музея Грузии им. акад. С. Джанашиа продолжала раскопки в пещере Дзудзуана, а также разведочные работы в Чиатурском районе.

В Дзудзуана работы производились как на передней площадке пещеры, так и в самой пещере.

Было сделано несколько разрезов (два поперечных и один продольный), давших определенное представление о характере слоев и о их последовательности.

В пещере пока представлены два культурных слоя: эпохи ранней бронзы (?) и верхнепалеолитический. Стерильная прослойка между ними не замечается.

Выяснилось, что I культурный слой встречается до 16—16 квадратов, начиная с входа пещеры. Вглубь же он больше не распространяется. Не встречается он и в конце поперечного разреза 18—18 квадратов, где зафиксировано пять геологических слоев (раскоп не доведен до скального основания). Эти слои следующие:

1) Темно-красноватый суглинок; в среднем 0,10—0,12 м мощности;

